კოალიცია
თანასწორობისთვის
საქმიანობის ანგარიში

2018

თბილისი
2019

„კოალიცია თანასწორობისთვის" არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა და ათ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი(EMC), კონსტიტუციის 42-ე მუხლი, კავშირი „საფარი", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC). კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა.

გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

თავი I 7

შესავალი 7

სტატისტიკა 7

1. რასის და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაცია 12

1.1. ბანგლადეშის მოქალაქე აჰსან ჰაბიბ გალიბი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია GDI-ს მიერ) 12

1.2. ფ.ს. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია TDI-ს მიერ) 14

1.3. ი.ნ.ა. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია TDI-ს მიერ) 15

1.4. შ.ა. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია TDI-ს მიერ) 16

1.5. ზ.მ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ) 17

1.6. ჯამალ ალი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს) მიერ 18

1.7 ასლანბეკ დადაევი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ) 20

1.8. ნ.ტ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 22

1.9. PHR საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ 23

1.10. ს.ა.ო; მ.დ; ჰ.რ.ჩ და მ.ი.ნ.კ საქართველოს ეროვნული ბანკის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია TDI-ს მიერ) 24

1.11. მ.უ.ჩ. სსიპ თბილისის №130 საჯარო სკოლის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია ააიპ „საფარის“ მიერ) 26

2. გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაცია 28

2.1. ბადრი ონიანი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 28

2.2. მაყვალა ჯავახია ააიპ ქ.თბილისის №77 საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია GDI-ს მიერ) 28

2.3. ნათია ტუხაშვილი აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 30

2.4. ეკატერინე მიშველაძე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 30

2.5. ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 32

2.6. ლუიზა ლაფერაძე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ) 32

2.7. ნ.ნ. და მ.კ. მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ) 33

3. რელიგია 35

3.1. ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს და TDI-ს მიერ) 35

3.2. არარეგისტრირებული კავშირი „იმამ ალის მეჩეთის შურა“ ქონების მართვის სააგენტოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ) 36

3.3. სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს და TDI-ს მიერ) 39

3.4. ნ.მ. წალკის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ) 42

3.5. „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 44
3.6. რ.ნ. სსიპ „შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ) 45
3.7. კ.კ; ბ.ი. და თ.ხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს და ნ.ყ-ს, დ.ყ-ს ჟ,კ-ს და ზ.კ-ს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ) 48

4. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია 50
4.1. ხ.თ. სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ) 50
4.2. ლელა მითაიშვილი (სახელი და გვარი გამოგონილია მსხვერპლის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით) ზვიად დევდარიანის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 51
4.3. ნ.მ. გორის მუნიციპალიტეტის ააიპ „სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 52
4.4. მაკა გოგიჩაიშვილი, გიორგი მენთეშაშვილის და შპს „იურისტების“ წინააღმდეგ (სახელები, გვარები და იურიდიული პირის დასახელება გამოგონილია მსხვერპლის იდენტიფიცირების თავიდან აცილების მიზნით) (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 52
4.5. ნ.შ. და შ.ლ. სს „საქართველოს ბანკის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 53
4.6. ე.გ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ) 54
4.7. თამარ სამხარაძე შალვა რამიშვილის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ) 55
4.8. თ.ჯ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ) 56
4.9. ნ.კ. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ) ... 57
4.10. ნ.გ. შპს „სტუდია მაესტროს“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ) 57
4.11. PHR ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წინააღმდეგ 58
4.12. მარი ადამაშვილი (სახელი და გვარი მოგონილია მომჩივნის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 59

5. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით 61
5.1. ზ.გ. თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 61
5.2. რ.ჩ. შსს-ს მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 62
5.3. ვ.კ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 62
5.4. ზ.კ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 64
5.5. ნ.მ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ) 66
5.6. დ.კ. ნოტარიუსის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ) 66
5.7. ნ.ტ. შპს „Wonderland Preschool“-ის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ) 67
5.8. ნ.ნ. და მ.ა. ნოტარიუსის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ) 68
5.9. PHR ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წინააღმდეგ 69

6. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით 70
6.1. ნ.მ. ლ.მ-ს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ) 70
6.2. რ.ფ. გ.მ. ვ.მ. თ.გ. და დ.ჩ. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ) 71
6.3. ლ.ბ. თ.კ. და სხვები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას და EMC-ს მიერ) 72

7. დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით 75
7.1. კ.შ. შპს „მოდუსის“ წინააღმდეგ 75
7.2. ნ.ბ. შპს „მოდუსის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 76
7.3. PHR საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ 78
7.4. ნ.ბ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ 79
7.5. PHR საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 81
7.6. ლ.ღ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის N170 საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ) 81

8. დისკრიმინაცია პროფესიის ნიშნით 83
8.1. ე.ფ. საქართველოს პარლამენტის, პარლამენტის აპარატის უფროსისა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 83

9. სხვა ნიშნით დისკრიმინაცია 85
9.1. დისკრიმინაცია იძულებით გადაადგილების ნიშნით 85
9.1.1. ი.მ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 85
9.2. განათლების მიღების ფორმა 85
9.2.1. ბ.კ. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 85
9.3. დისკრიმინაცია პროფკავშირის წევრობის გამო 86
9.3.1. ვ.პ. „ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის“ საქართველოს ფილიალის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ) 87
9.3.2. ს.ბ. თ.ნ. თ.ქ. და სხვები ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ) 88

თავი II 91
1. შევიწროება 91
2. მიგრაცია 93
3. დისკრიმინაციის დადგენის პრობლემატურობა სასამართლოში 96
4. სექსუალური შევიწროება 99
5. სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციული მანდატის გაძლიერება 101
6. სასამართლოსთვის მიმართვის ვადა 102
7. დისკრიმინაციის აკრძალვა საჯაროდ ხელმისაწვდომ საქონელსა და მომსახურებაზე 103
დასკვნა 104
რეკომენდაციები 104
საქართველოს პარლამენტს 104
საერთო სასამართლოებს 104
შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას 104
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს 104

თავი I

შესავალი

ეს არის „კოალიცია თანასწორობისთვის“ რიგით მეოთხე ანგარიში, რომელიც მოიცავს 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშში ასახულია კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების მიერ წარმოებული საქმეები სახალხო დამცველის აპარატსა და საერთო სასამართლოებში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე.

არაფორმალური „კოალიცია თანასწორობისთვის“ შეიქმნა 2014 წლის მაისში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების პროცესში მონაწილეობის მიზნით. აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ კოალიციაში შემავალი ორგანიზაციები სამართალწარმოებისთვის იყენებენ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს.

ამჟამად კოალიციაში შედის 10 არასამთავრობო ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), კავშირი „საფარი“, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი და საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF).

2018 წელს საია მეორე ვადით ერთი წლით იყო არჩეული კოალიციის თავმჯდომარედ. კოალიციის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი. კოალიციას გააჩნია წესდება, სტრატეგია და წევრთა მიღების წესი. კოალიციის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი.

2018 წელს კოალიციამ წარადგინა ერთობლივი ჩრდილოვანი ანგარიში გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მექანიზმის ფარგლებში.[1]

ანგარიშის პირველ თავში საუბარია კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წარმოებულ საქმეებზე, რომლებიც დაჯგუფებულია დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლების მიხედვით, ასევე, ამ საქმეების სტატისტიკაზე. ანგარიშის მეორე თავში საუბარია საანგარიშო პერიოდში თანასწორობის კუთხით არსებულ მიღწევებსა და პრობლემებზე. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის საქმეების მხარეები მოხსენიებულნი არიან ინიციალებით (სახელისა და გვარის პირველი ასო). ამ წესიდან გამონაკლისია გაკეთებული იმ პირებთან მიმართებით, რომლებმაც თანხმობა გამოთქვეს, მათი სახელი და გვარი სრულად ყოფილიყო ანგარიშში მოხსენიებული. სრული სახელითა და გვარით არიან წარმოდგენილნი ის პირებიც, რომელმაც ამ დავებში მათი მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია თავად გახადეს საჯარო ანგარიშის შედგენამდე დიდი ხნით ადრე.[2] მოგონილი სახელებით და გვარებით არიან მოხსენიებულნი სექსუალური შევიწროების მსხვერპლი პირები, ასევე, მათ საქმეში მონაწილე სხვა პირებიც, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ინიციალებით მათი მოხსენიებაც კი ვერ უზრუნველყოფდა პერსონალური მონაცემების დაცვას.

სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა აწარმოვეს 62 საქმე. ამ საქმეებიდან პირველ ადგილზეა გენდერული (სქესი) ნიშნით დისკრიმინაცია (13 საქმე); მეორე ადგილზეა მოქალაქეობისა და რასის ნიშნით დისკრიმინაცია (11 საქმე); მესამე ადგილზეა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია (9 საქმე). ამის შემდეგ მოდის რელიგიის (7 საქმე), ასევე, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ნიშნით დისკრიმინაცია (7 საქმე). ასაკის ნიშნით დისკრიმინაციას (ხანდაზმულებისა და ბავშვების მიმართ დისკრიმინაცია) ეხება 6 საქმე. სამი საქმე ეხება სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციას, ხოლო ორი საქმე – პროფკავშირული ნიშნით დისკრიმინაციას. თითო საქმე ეხება დისტანციური ფორმით განათლების მიღების გამო დისკრიმინაციას, ასევე, იძულებით გადაადგილების ნიშნით დისკრიმინაციას, პროფესიის ნიშნით დისკრიმინაციას. ერთი საქმე ეხება სამუშაო ადგილზე შევიწროებას და ამ საქმეში კონკრეტული ნიშანი არ იკვეთება.

[1] http://equalitycoalition.ge/ge/cat/reports.

[2] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა. იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/29290913.html; https://www.radiotavisupleba.ge/a/29141911.html.



საანგარიშო პერიოდში მომზადებული საქმეების რაოდენობა: საიამ იმუშავა 22 საქმეზე, EMC-მ – 13 საქმეზე, PHR-მა – 12 საქმეზე, WISG-მ – 5 საქმეზე, TDI-მ – 6 საქმეზე; „საფარმა“– 4 საქმეზე, GDI-მ – 2 საქმეზე. ამ მონაცემებში ასახულია საიასა და EMC-ს ერთი, ასევე, TDI-სა და EMC-ს ორი საერთო საქმე.



წინა წლებისგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრი ორგანიზაციები უფრო ხშირად იყენებდნენ სასამართლო მექანიზმს, ვიდრე სახალხო დამცველის აპარატს. საანგარიშო პერიოდში 37 საქმე ნაწარმოები იყო საერთო სასამართლოებში, ხოლო 25 საქმე – სახალხო დამცველის აპარატში.



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მხოლოდ ერთ საქმეზე დაადგინა დისკრიმინაცია, 6 საქმეში – ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი (ამ შემთხვევებში სარჩელი არ დაკმაყოფილდა დისკრიმინაციის დადგენის ნაწილში), ხოლო 10 საქმეში სასარჩელო მოთხოვნა საერთოდ არ დაკმაყოფილებულა. ყველა საქმე გასაჩივრდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში.



საანგარიშო პერიოდში სააპელაციო სასამართლოში წარმატებით დამთავრდა 4 საქმე: ორ საქმეში სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. აქედან ერთ საქმეში სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომ საღმზრდელო დაწესებულების დირექტორის მოადგილის გათავისუფლება იყო კანონიერი შრომის

კოდექსის საფუძველზე, თუმცა, იმავდროულად, დისკრიმინაციის არარსებობასთან დაკავშირებით საააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია (იხილეთ თავი 2.2. მაყვალა ჯავახიას საქმე). მეორე საქმეში სააპელაციო სასამართლომ საქმე დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოსთხოვა დისკრიმინაციის საკითხზე მსჯელობა. დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა ერთ საქმეში. კიდევ ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა შავკანიანი მოსწავლის მიმართ ბულინგს, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა დისკრიმინაცია. 8 საქმეში სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც კოალიციის წევრი ორგანიზაციების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.



უზენაეს სასამართლომდე მივიდა კოალიციის 4 საქმე. აქედან ორი საკასაციო საჩივარი უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად ცნო, თუმცა, გადაწყვეტილება არ მიუღია; ერთზე დასაშვებობის საკითხი არ გადაუწყვეტია; ხოლო ერთი საჩივარი დააკმაყოფილა პოლიციის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის, მაგრამ არა – დისკრიმინაციის ნაწილში.



საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა კოალიციის საქმეებზე გამოსცა 5 რეკომენდაცია, ორი ზოგადი წინადადება და ერთი წინადადება. სახალხო დამცველმა სამ საქმეზე შეწყვიტა საქმის წარმოება. კოალიციის 15 საქმეზე კვლავაც მიმდინარეობს საქმისწარმოება.



1. რასის და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით პირდაპირ არის აკრძალული დისკრიმინაცია რასისა და კანის ფერის საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არ არის მოხსენიებული, თუმცა, მოქალაქეობა მოიაზრება სხვა ნიშანში. საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე“.[3]

ინტერსექციური (ჯვარედინი) დისკრიმინაცია არის მრავალი ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც ხდება რამდენიმე დაცული ნიშნის ურთიერთგადაკვეთის შედეგად, როდესაც აღნიშნული ნიშნები, ცალკე აღებული, არ ქმნის დისკრიმინაციის შემადგენლობას.

საანგარიშო პერიოდში ადამიანები გახდნენ ჯვარედინი დისკრიმინაციის მსხვერპლები ორი ნიშნის – რასის და უცხო ქვეყნის მოქალაქეობის გამო. სერვისების განვითარების სააგენტოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციასა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს აზიიდან და აფრიკიდან მასობრივად ეუბნებოდნენ უარს ქვეყანაში შემოსვლაზე, ბინადრობის ნებართვაზე, თავშესაფრის მინიჭებაზე. მოცემულ შემთხვევაში სწორედ ჯვარედინ დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი. მოქალაქეობა და რასა ცალ-ცალკე არ ქმნიდა არახელსაყრელი მოპყრობის საფუძველს. იმისათვის, რომ ადამიანისთვის უარი ეთქვათ საქართველოში შემოსვლასა და ბინადრობის ვადის გაგრძელებაზე, ერთდროულად საჭირო იყო ორი გარემოების თანხვედრა: უცხოელი უნდა ყოფილიყო აზიის და აფრიკის ქვეყნიდან. მსგავს მოპყრობას ადგილი არ ჰქონია ევროპელ და ჩრდილოეთ ამერიკელ უცხოელებთან მიმართებით. ამგვარ მოპყრობას ვერ დაექვემდებარება ასევე აფრიკული და აზიური წარმოშობის საქართველოს მოქალაქე. შესაბამისად, ამ თავის მიზნებისთვის დისკრიმინაციისგან დაცვის ორი ნიშანი – რასა და მოქალაქეობა – ერთ თავშია მოქცეული. ამ თავში ასევე ვხდებით საქმეებს, რომლებიც ეხება დისკრიმინაციას მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანს არ ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობა, ასევე, უცხოელის სტატუსი ჯვარედინ თანხვედრაშია არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული პირის ჟურნალისტურ საქმიანობასთან.

1.1. ბანგლადეშის მოქალაქე აჰსან ჰაბიბ გალიბი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია GDI-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: 2018 წლის 9 აპრილს აჰსან ჰაბიბ გალიბი თავის მეუღლესთან – საბინე პუსტთან ერთად ლატვიიდან საქართველოში ჩამოვიდა. მათი მიზანი ქვეყნის დათვალიერება, მისი კულტურის გაცნობა და შვებულების სასიამოვნოდ გატარება იყო. საქართველოში ჩამოფრენის შემდეგ, საიმიგრაციო ზონაში კონტროლი თავდაპირველად აჰსანის მეუღლემ გაიარა. საბინე პუსტმა, რომელიც თეთრკანიანია, უპრობლემოდ, ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე, მხოლოდ პასპორტის საშუალებით გაიარა კონტროლი და გადაინაცვლა ბარიერის მიღმა, სადაც განმცხადებელმა დაცდა სთხოვა.

ბატონმა აჰსანმა სამართალდამცავებს ყველა საჭირო დოკუმენტი წარუდგინა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, სამართალდამცავებმა იგი შეაყოვნეს და უხეშად მიუთითეს, რომ კუთხეში დაეცადა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის გარდა კუთხეში, ჯიხურის წინ უამრავი ფერადკანიანი ადამიანი იდგა. როგორც კი ვინმე შეეცდებოდა პოლიციის ოფიცერთან დალაპარაკებას, ისინი უხეშად პასუხობდნენ: „დაიცადეთ კუთხეში.“ ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ აჰსან ჰაბიბ გალიბთან პოლიციის ოფიცერი მივიდა და გაესაუბრა, კერძოდ, მას აინტერესებდა განმცხადებლის საქართველოში ჩამოს-

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე - ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ვლის მიზანი. ბატონმა აჰსანმა პოლიციის ოფიცერს ყველაფერზე დაწვრილებითი პასუხი გასცა და ყველა საჭირო დოკუმენტი წარუდგინა. პოლიციის ოფიცერი ასევე დაინტერესდა ბატონი აჰსანის ოჯახური მდგომარეობით, შემდეგ კი მას კვლავ მიუთითა, კუთხეში დალოდებოდა. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ პოლიციის ოფიცერმა განმცხადებელი ცალკე ოთახში გადაიყვანა, სადაც უამრავი ფერადკანიანი ადამიანი იყო. აქ პოლიციის ოფიცერმა განმცხადებლის ჩანთა გაჩხრიკა, რის შემდეგაც მისი საბუთები ერთ-ერთ ქალს გადასცა. პოლიციის ოფიცერმა რაღაც იხუმრა ქართულ ენაზე, რაზეც მანაც და ქალმაც გაიცინეს, შემდეგ კი ტერიტორია დატოვა.

ბატონ აჰსანს უთხრეს, რომ იგი დეპორტირებული იყო. შსს-სთვის მიმართვის შემდეგ განმცხადებელს განემარტა, რომ მისი დეპორტაცია განხორციელდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი“ პუნქტის საფუძველზე. აღნიშნული მუხლი შეიცავს იმ შემთხვევების ჩამონათვალს, როდესაც უცხოელს საქართველოს ვიზის გაცემასა ან საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას. „ი“ პუნქტი კი არ ამოწურავს აღნიშნულ ჩამონათვალს და ადგენს, რომ საქართველოში შემოსვლაზე უცხოელს უარი შეიძლება ეთქვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქმის მნიშვნელობა: საქართველოს საზღვარზე შესაბამისი უწყებების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად ვლინდება დისკრიმინაციული პოლიტიკა. ბოლო პერიოდში არაერთ უცხოელს ეთქვა უარი საქართველოში შემოსვლაზე „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი“ პუნქტის საფუძვლით. აღნიშნული მუხლი შეიცავს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც უცხოელს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოში შემოსვლაზე, ხოლო „ი“ პუნქტი არის ზოგადი ხასიათის და განსაზღვრავს უარის თქმის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. აღნიშნული ნორმა განიმარტება, როგორც თვითკმარი სამართლებრივი საფუძველი, რაც შესაბამის ორგანოებს დიდ დისკრეციას ანიჭებს.

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუციით, ყველა ადამიანი თავისუფალია და თანასწორია კანონის წინაშე, განურჩევლად რასისა და კანის ფერისა. ამასთან, საქართველოში 2014 წლიდან მოქმედებს საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იკრძალება პირდაპირი დისკრიმინაცია რასისა და კანის ფერის ნიშნით.

საქართველოს აეროპორტის თანამშრომლებისა და სამართალდამცავების მხრიდან დისკრიმინაციული ქმედების გამო განმცხადებელს ხელი შეეშალა გადაადგილების უფლებით სარგებლობაში. სახელმწიფოს დიდი მიხედულების ზღვარი აქვს სახელმწიფო საზღვარზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლისას. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შემოსვლის საკითხი რეგულირდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, უცხოელის საქართველოში შემოსვლა, ყოფნა, ტრანზიტით გავლა და საქართველოდან გასვლა ხორციელდება დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპით. ამგვარად, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, პირის საქართველოში შემოსვლის საკითხი გადაწყვიტოს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელს შეეზღუდა გადაადგილების თავისუფლება, რადგანაც მას უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე. იმავდროულად, განმცხადებლის პოზიციით, ეს შეზღუდვა იყო დისკრიმინაციული ხასიათის. ამ შემთხვევაში კომპარატორებს წარმოადგენენ საზღვრის გადაკვეთის მსურველი თეთრკანიანი და შავკანიანი პირები, ვინაიდან საქართველოს აეროპორტის თანამშრომლები და სამართალდამცავები ნაკლებად აბრკოლებენ საზღვარზე თეთრკანიანი პირების შემოსვლას. განსხვავებულ მოპყრობას ადგილი აქვს არათეთრკანიანი პირების მიმართ, რომლებსაც საათობით უწევთ გაჩერება საიმიგრაციო განყოფილებაში. ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ აეროპორტის თანამშრომლებმა და სამართალდამცავებმა განახორციელეს დისკრიმინაციული მოპყრობა აჰსან ჰაბიბ გალიბის მიმართ მისი კანის ფერის გამო და გაურკვეველია, თუ რა ლეგიტიმური მიზნით დააყოვნეს საქართველოში მისი შემოსვლა.

საქმის მიმდინარეობა: აჰსან ჰაბიბ გალიბმა სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა 2018 წლის 23 ივნისს. სახალხო დამცველმა 2018 წლის 8 აგვისტოს წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას და მოითხოვა დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენა აჰსან ჰაბიბ გალიბის მიერ განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2018 წლის 24 აგვისტოს წერილით დგინდება, რომ აჰსან ჰაბიბ გალიბს საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახალხო დამცველმა საქმის განხილვა შეწყვიტა. ამ მუხლით საქმის განხილვა წყდება მაშინ, როცა დისკრიმინაციის ფაქტი არ დგინდება. თავის გადაწყვეტილებაში სახალხო დამცველმა მიუთითა 2017 წლის 15 ნოემბრის წინადადებაზე, რომლითაც მან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. წინადადება შეეხებოდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „სხვა შემთხვევის“ საფუძვლით საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის პრაქტიკას. წინადადებაში მითითებულია, რომ საქართველოში შემოსვლის შეზღუდვით გამოწვეული უფლებადარღვევის შემთხვევები სისტემურ ხასიათს ატარებს და საჭიროა მომავალში უცხოელთა უფლებების დარღვევის პრევენცია. წინადადებაში მოყვანილია ექვსი საქმე, სადაც უცხოელებს, აჰსან ჰაბიბ გალიბის მსგავსად, უარი ეთქვათ საქართველოში შემოსვლაზე ზემოხსენებული საფუძვლებით. აგრეთვე, წინადადებით მოთხოვნილია საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ფაქტების მოკვლევა, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება და კანონით გათვალისწინებული ყველა ზომის გამოყენება, ასევე, კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის გამოყენების იმ დამკვიდრებული პრაქტიკის შეცვლა, რომელიც აღნიშნულ ნორმას თვითკმარად მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმის შესწავლა განაგრძო სახალხო დამცველის აპარატის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტმა. 2019 წლის 19 აპრილს დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილ N04-4/4546 წერილში მითითებულია, რომ სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში ხაზი გაუსვა შსს-ს მიერ დამკვიდრებულ არასწორ პრაქტიკას განხილულ სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით. ამასთან, წერილში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველი მომავალშიც გეგმავს, ამ მიმართულებით, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელოს საჭირო ღონისძიებები, თუმცა, იმავდროულად, აპარატი მოკლებულია განმცხადებლის სამართლებრივი დახმარების სხვაგვარ შესაძლებლობას. ამდენად, აღნიშნულმა დეპარტამენტმა საბოლოოდ ასევე შეწყვიტა საქმის წარმოება.

1.2. ფ.ს. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია TDI-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ნიგერიის მოქალაქემ, ფ.ს-მ, რომელიც საქართველოში 2012 წლის 20 მაისიდან ცხოვრობს, შრომითი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 2017 წლის 27 სექტემბერს მიმართა. ამავე წლის 9 ოქტომბერს მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ მისი საქმიანობა საქართველოში საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და ქვეყნის უსაფრთხოებას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ეყრდნობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნას.

ფ.ს-მ 2017 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს ერთ-ერთი უნივერსიტეტი. 2012 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში მან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ოთხჯერ შეძლო სასწავლო ბინადრობის ნებართვის მიღება. იგი საქართველოში რელიგიურ საქმიანობასაც ახორციელებს, არის სასულიერო პირი და ეწევა ღვთისმსახურებას ერთ-ერთი ქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობის ეკლესიაში, რომელსაც თავისი მრევლი ჰყავს.

საქმის მნიშვნელობა: აფრიკელი და აზიელი მიგრანტების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა.

სამართლებრივი დასაბუთება: მოცემულ საქმეში დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს აძლიერებს ის გარემოებები, რომ ფ.ს-მ მანამდე დაუბრკოლებლად შეძლო სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოპოვება, ხოლო შრომითი ბინადრობის უფლების მოპოვების პროცესში, მოულოდნელად, იგი „საფრთხის შემცველი“ გახდა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესებისთვის. მოცემულ საქმეში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნის საფუძვლად არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები ფ.ს-ს საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ მოსარჩელე მხარისთვის ხელმიუწვდომელია – აღნიშნული მასალის სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის გამო. იმ პირობებში, როდესაც მხარისთვის შეუძლებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნის საფუძვლად არსებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების გადამოწმება, რაც მის მიმართ სუბიექტური გადაწყვეტილების მაღალ რისკებს შეიცავს, ეს კიდევ უფრო მეტად ამყარებს დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლებლობას და ვარაუდს.

საქმის მიმდინარეობა: 2017 წლის 30 ოქტომბერს ფ.ს-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს და მოითხოვა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე აქტის გამოცემა, დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა, მისი შედეგების აღმოფხვრა და რასობრივი/ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით.

2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე არის სასულიერო პირი, რომელიც ღვთისმსახურებას ეწევა საქართველოში, ერთ-ერთ ეკლესიაში. აღნიშნულ ეკლესიასთან მოსარჩელე შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაშია და იღებს შესაბამის შემოსავალს. ასევე დადგინდა, რომ მოსარჩელეს 2012 წლიდან მოყოლებული რამდენიმეჯერ ჰქონდა მიღებული სასწავლო ბინადრობის ნებართვა. სასამართლომ დახურულ სხდომაზე, მხარეთა დასწრების გარეშე, შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან გამოთხოვნილი სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მქონე ინფორმაცია და მტკიცებულებები მოსარჩელის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტება. რაც შეეხება უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას, სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან გამოთხოვნილი წერილი, საიდუმლო სტატუსის მქონე დოკუმენტაცია და შესაბამისი მტკიცებულებები არ შეიცავდა პირდაპირ თუ ირიბ მითითებას მოსარჩელის დისკრიმინაციაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2018 წლის 7 ივნისს სააპელაციო წესით გასაჩივრდა. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი არგუმენტაცია. 2018 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შრომითი ბინადრობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა.

1.3. ი.ნ.ა. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია TDI-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: კამერუნის რესპუბლიკის მოქალაქემ, ი.ნ.ა-მ, რომელმაც 2017 წლის 9 აგვისტოს საქართველოს მოქალაქეზე იქორწინა და რომელთანაც საერთო ბავშვი შეეძინა, მუდმივი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 2018 წლის 5 აპრილს მიმართა. ამავე წლის 24 აპრილს მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. უარს საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მისი საქმიანობა საქართველოში საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და ქვეყნის უსაფრთხოებას. სწორედ აღნიშნულ დასკვნაზე დაყრდნობით მიიღო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გადაწყვეტილება მუდმივი ბინადრობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მნიშვნელობა: საქმის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ის უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციულ პრაქტიკას აზიის და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რასაც სისტემური ხასიათი აქვს.

სამართლებრივი გარემოებები: მხარისთვის შეუძლებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნის საფუძვლად არსებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების გადამოწმება, რაც სუბიექტური გადაწყვეტილების მაღალ რისკებს შეიცავს, ეს აძლიერებს დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს. ი.ნ.ა. არც წარსულში ახორციელებდა და არც ამჟამად ახორციელებს რაიმე კანონგარეშე საქმიანობას, არ არის ნასამართლევი. არსებობს ვარაუდი, რომ მას უსაფუძვლოდ უთხრეს უარი მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა უკავშირდება უკანასკნელ პერიოდში აზიის და აფრიკის წარმომადგენელი უცხოელების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრებას. ამასთან, სერვისების განვითარების სააგენტოს უარი ეწინააღმდეგება ოჯახის ერთიანობის პრინციპს.

ამ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, არ იმსჯელა და არ გაითვალისწინა ოჯახის ერთიანობის პრინციპი, რაც დადგენილია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით. სასამართლომ დახურულ სხდომაზე, მხარეთა დასწრების გარეშე, შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსა-

ხურიდან გამოთხოვნილი სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მქონე ინფორმაცია და მტკიცებულებები მოსარჩელის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტება. რაც შეეხება უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას, სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვნილი წერილი, საიდუმლო სტატუსის მქონე დოკუმენტაცია და შესაბამისი მტკიცებულებები არ შეიცავდა პირდაპირ თუ ირიბ მითითებას მოსარჩელის დისკრიმინაციაზე.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 22 მაისს ი.ნ.ა-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე აქტის გამოცემა, დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა, მისი შედეგების აღმოფხვრა და რასობრივი/ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით.

2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

1.4. შ.ა. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია TDI-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქემ, შ.ა-მ, რომელმაც 2018 წლის 15 იანვარს საქართველოს მოქალაქეზე იქორწინა და რომელთანაც 2018 წლის 11 ნოემბერს საერთო ბავშვი შეეძინა, მუდმივი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 2018 წლის 20 თებერვალს მიმართა. ამავე წლის 17 აპრილს მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. უარს საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მისი საქმიანობა საქართველოში საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და ქვეყნის უსაფრთხოებას. სწორედ აღნიშნულ დასკვნაზე დაყრდნობით მიიღო „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ გადაწყვეტილება მუდმივი ბინადრობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მნიშვნელობა: საქმის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ის უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციულ პრაქტიკას აზიის და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რასაც სისტემური ხასიათი აქვს.

სამართლებრივი გარემოებები: დისკრიმინაცია გულისხმობს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციებში მყოფი პირების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, ობიექტური და გონივრული დასაბუთების (გამართლების) გარეშე. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს იმის დასაბუთებაც კი, თუ რატომ წარმოადგენს საფრთხეს მოსარჩელის საქართველოში ცხოვრება.

მოპასუხე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მიიჩნია, რომ მოსარჩელის საქმიანობა საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. თუმცა, არ არსებობს არცერთი გარემოება, რომელიც ამ მოსაზრებას დაადასტურებს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მის მიმართ განახორციელა დისკრიმინაციული ქმედება, რომელიც ეფუძნებოდა მის რასობრივ, ენობრივ და მოქალაქეობრივ კუთვნილებას.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და ის კანონიერ ძალაში შევიდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაევალა, საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შედეგად ერთი თვის ვადაში ხელახლა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შ.ა-ს მიმართ მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

2018 წლის 15 ოქტომბერს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ გამოსცა ახალი აქტი, რომლითაც კვლავ უარი უთხრა შ.ა-ს მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიღებაზე, იმავე საფუძვლით. 2018 წლის 9 ნოემბერს შ.ა-მ კვლავ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში გაასაჩივრა სააგენტოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება. სარჩელით შ.ა-მ მოითხოვა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე აქტის გამოცემა, დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა, მისი შედეგების აღმოფხვრა და რასობრივი/ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში სასამართლოს ამ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

1.5. ზ.მ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ზ.მ. არის ეთნიკურად აზერბაიჯანელი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რომელიც 2014 წლიდან საქართველოს მოქალაქე მეუღლესა და მცირეწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობს საქართველოში. იგი არის მუსლიმი და ატარებს ჰიჯაბს. 2017 წლის 16 ოქტომბერს ზ.მ-მ ოჯახთან ერთად გადაკვეთა საქართველოს საზღვარი აზერბაიჯანში, მეუღლის დის ოჯახში სტუმრობის მიზნით. თუმცა, 24 ოქტომბერს, როდესაც ზ.მ. ოჯახთან ერთად საქართველოში ბრუნდებოდა, წითელი ხიდის საზღვარზე მხოლოდ მისი მეუღლე გაატარეს. პოლიციამ დაახლოებით ნახევარსაათიანი ლოდინის შემდგომ ზ.მ-ს განუმარტა, რომ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ მის მეუღლეს შეეძლო და იგი ვერ შეძლებდა საქართველოში შემოსვლას. პოლიციის წარმომადგენლებს არ აუხსნიათ საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის მიზეზი და მხოლოდ ზოგადად მიუთითეს, რომ საქართველოს საელჩოში გაერკვია ინფორმაცია უარის თქმის თაობაზე. ზ.მ-მ საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძველი ვერც აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოსთან კომუნიკაციის და ვერც რუსეთის საელჩოსთვის მიმართვის შედეგად დაადგინა.

ზ.მ-მ რამდენიმე დღეში კვლავ სცადა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა, მაგრამ ისევ არ შემოუშვეს და მიზეზი ამჯერადაც არ განუმარტეს. გარდა ამისა, მოსთხოვეს ქართულ ენაზე შედგენილ დოკუმენტზე ხელის მოწერა, ხოლო როდესაც თარჯიმანი მოითხოვა, პოლიციის თანამშრომლებმა შეურაცხყოფით უპასუხეს და დოკუმენტის ასლი არ გადასცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზ.მ. არის დიასახლისი, არასოდეს ყოფილა ჩართული საჯარო ცხოვრებაში, არც მას და არც მისი ოჯახის წევრებს საქართველოს ტერიტორიაზე ან სხვაგან რაიმე სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ.

საქმის მნიშვნელობა: 2016 წლიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მუსლიმი თემის, სამოქალაქო აქტივისტების მიმართ ფიქსირდება დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები. კერძოდ, მათ ხშირად გაუგებარი მიზეზებით ეშლებათ ხელი საქართველოში შემოსვლაში, რასაც შსს აბსტრაქტული და თვითნებური დასაბუთებით ამართლებს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები).

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქართველოში შემოსვლაზე უარის ერთადერთი „სხვა“ საფუძველი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, არის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას უცხოელს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ისეთ საერთაშორისო დანაშაულებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ტერორიზმი, ნარკოტიკების კონტრაბანდა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). მოსარჩელის მიმართ მითითებული ნორმის გამოყენება სრულიად არარელევანტურია, ვინაიდან მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია არათუ საერთაშორისო, არამედ არანაირ დანაშაულებრივ ქმედებას. შესაბამისად, მხარისთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რა სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს ეყრდნობოდა ადმინისტრაციული ორგანო სადავო აქტების გამოცემისას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი უცხოელისთვის საქართველოს ვიზის გაცემისა ან საქართველოში შემოსვლაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას უქვემდებარებს. კანონმდებელი შესაბამის ორგანოს პირდაპირ კი არ ავალდებულებს, არამედ შესაძლებლობას აძლევს, აღნიშნული ნორმით განსაზღვრული შესაბამისი კრიტერიუმების გამოკვეთისას, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, თავად მიიღოს გადაწყვეტილება უცხოელისთვის საქართველოს ვიზის მიცემისა ან საქართველოში შემოსვლაზე უარი თქმის თაობაზე. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას სჭირდება სათანადო დასაბუთება.

განსახილველ შემთხვევაში კი, შსს-ს მინიმალური დასაბუთებაც არ წარმოუდგენია მოსარჩელისთვის, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა, გაეგო, რატომ არ უშვებდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე. შესაბამისად, შსს-ს მოპყრობა თვითნებურ და დისკრიმინაციულ ქმედებას წარმოადგენს.

ზემოხსენებულის გარდა, ზ.მ-ს მიმართ დაირღვა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელის საქართველოში შემოსვლა, ყოფნა, ტრანზიტით გავლა და საქართველოდან გასვლა რეგულირდება ოჯახის ერთიანობის პრინციპით. მოცემულ შემთხვევაში სრულებით უგულებელყოფილია აღნიშნული პრინციპი და მოსარჩელე, ყოველგვარი დასაბუთებისა და კონკრეტული საფუძვლების მითითების გარეშე, საკუთარ სახლში დაბრუნებასა და ოჯახთან ერთად ცხოვრებას ვერ ახერხებს. აღნიშნული კი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევას.

მოსარჩელე არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. ეს ის ქვეყანაა, რომლის მოქალაქესაც „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის #255 დადგენილების 1-ლი შენიშვნის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სრული 1 წლის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვს.

საქმის მიმდინარეობა: საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლისა და შესაბამისი აქტების ზეპირი კომუნიკაციის გზით მიუღებლობის შემდგომ, EMC-მ განცხადებით მიმართა შსს-ს. ორი თვის შემდეგ EMC-ს შსს-დან ეცნობა, რომ უარის თქმის საფუძველს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი წარმოადგენდა, რომლის თანახმადაც, უცხოელს საქართველოს ვიზის გაცემასა ან საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. არც აღნიშნული აქტი და არც შსს-ს წერილი არ განმარტავს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულმა რომელმა სხვა ნორმამ განაპირობა ზ.მ-სთვის უარის თქმა. შესაბამისად, EMC-მ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა შსს-ს, თუმცა, საჩივარი განუხილველად იყო დატოვებული გასაჩივრების ვადის გასვლის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, EMC-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ითხოვა ზ.მ-ს მიმართ საქართველოს ვიზის გაცემასა და ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლაზე სამი უარის ბათილად ცნობა, საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ შსს-ს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის ქმედების განხორციელების დავალება, ზ.მ-ს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი სარჩელი განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ და, 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ გასული იყო გასაჩივრების ვადები. სასამართლომ მიუთითა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 იანვრის N3 ბრძანებაზე და აღნიშნა, რომ ამ სიტუაციაზე ვრცელდებოდა ხსენებული ბრძანების მოქმედება – შესაბამისად, გასაჩივრების 10 დღიანი ვადა და არა ზაკ-ით დადგენილი ვადა.

სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა, ამ ეტაპამდე არცერთი სასამართლო სხდომა არ ჩატარებულა.

1.6. ჯამალ ალი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს) მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: 2017 წლის 19 აპრილს Meydan.Tv-ის აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ჯამალ ალი, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრინდა თბილისში დაგეგმილ სამსახურებრივ შეხვედრებზე დასასწრებად, საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოუშვეს. ჯამალ ალისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის ოფიციალურ საფუძველს „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები" წარმოადგენს. აღნიშნული საფუძველი განმარტებული არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებაში, შესაბამისად, გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება თითქმის შეუძლებელია. Meydan.Tv აზერბაიჯანულენოვანი ონლაინ მედია-პლატფორმაა, რომელიც გერმანიაში დაფუძნდა. იგი ფარავს როგორც აზერბაიჯანში, ასევე რეგიონში მიმდინარე მოვლენებს სამ ენაზე – აზერბაიჯანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. არხი ალიევის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი და აქტიურად აშუქებს აზერბაიჯანში სახელისუფლებო კორუფციის საკითხებს. ამის გამო, მითითებული მედია-პლატფორმის თანამშრომელთა დიდი ნაწილი, მათ შორის ჯამალ ალიც, საკუთარი საქმიანობის გამო, პოლიტიკური და განსხვავებული შეხედულების ნიშნით იდევნება აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ და სხვა ქვეყ-

ნებში უწევს ცხოვრება. ჯამალ ალი ხშირად იმყოფებოდა საქართველოში სამსახურებრივი თუ პირადი ვიზიტებით და 2017 წლის 19 აპრილამდე მას საქართველოს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ შეჰქმნია. არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქართველოში ჯამალ ალის შემოშვებაზე უარი მის ჟურნალისტურ საქმიანობას, უფრო ზუსტად კი, 2017 წლის იანვარში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარის“ შესახებ მის მიერ მომზადებულ კრიტიკულ სიუჟეტს უკავშირდება.

კერძოდ, Meydan.Tv-ზე 2017 წლის 16 იანვარს გამოქვეყნდა ჯამალ ალის სიუჟეტი, რომლის ძირითადი მიზანი იყო აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარის“ განსხვავებული პოლიტიკის ჩვენება საქართველოსა და აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის სოფლებისა და ბაქოს მიმდებარე რაიონების მაცხოვრებლებს ბუნებრივი აირი შეფერხებით მიეწოდება. ამის გამო, მოსახლეობის დიდ ნაწილს ზამთარში გათბობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს. სიუჟეტის მიზანი იყო იმის ჩვენება, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარი“, საკუთარი რესურსებით, აზერბაიჯანში არსებული პრობლემების მოგვარების ნაცვლად, საქართველოს საკულტო ნაგებობების დიდ ნაწილს გაზით უფასოდ ამარაგებს. აღნიშნული სიუჟეტის შემდგომ, 2017 წლის 29 მარტს, თბილისში გარკვეულმა პირებმა გამართეს საპროტესტო აქცია, რომლის ძირითადი მოთხოვნაც იყო საქართველოს ტერიტორიაზე Meydan.Tv-ისა და ჯამალ ალის საქმიანობის აკრძალვა. სწორედ ამ აქციის შემდგომ, პირველივე ვიზიტის განხორციელებისას, ჯამალ ალიმ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაუსაბუთებელი უარი მიიღო საქართველოში შემოსვლაზე.

საქმის მნიშვნელობა: 2016 წლიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მუსლიმი თემის, სამოქალაქო აქტივისტების მიმართ ფიქსირდება დისკრიმინაციული მოპყრობის პრაქტიკა. კერძოდ, მათ ხშირად გაუგებარი მიზეზებით ეშლებათ ხელი საქართველოში შემოსვლაში, რასაც შსს აბსტრაქტული და თვითნებური დასაბუთებით ამართლებს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები). აღნიშნული კი, ქმნის ვარაუდს, რომ სახელმწიფო გამოხატავს პოლიტიკურ ლოიალობას კონკრეტული სახელმწიფოების მიმართ (აზერბაიჯანი) ან პირის კრიტიკული მოსაზრებების გამო დისკრიმინაციულად უზღუდავს მას საქართველოში შემოსვლას.

სამართლებრივი დასაბუთება: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძირითად საფუძვლად მიიჩნია „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N386 დადგენილების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმად, საქართველოში შემოსვლისას პირი მოწმდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადმოცემული სიების მიხედვით. სასამართლომ განმარტა, რომ ამგვარი ინსპექტირების შესაბამისად, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შსს-მ უარი უთხრა ჯამალ ალის საქართველოში შემოსვლაზე. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიმართ უარყოფითი დასკვნის საფუძველს წარმოადგენდა კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, ამგვარი საქმიანობის შედეგად მიღებული დოკუმენტები გასაიდუმლოებულია და არ გამოიყენება სამართალდაცვითი მიზნებისთვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ შსს-ს გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პიროვნების შემოწმება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ინფორმაცია ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთა შესახებ, რომლებიც ემალებიან გამოძიებას, თავს არიდებენ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებების მოხდას და, ამის გამო, იძებნებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება, რომ ჯამალ ალის შემთხვევაში მითითებული ნორმა სრულებით არარელევანტურია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლოს მხრიდან ჯამალ ალისთვის უარის თქმის გადაწყვეტილების საფუძველი და საქმეში არსებული ძირითადი მტკიცებულება შეფასებულია, როგორც კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფებისა ან ცალკეულ პირთა მხრიდან საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. იმ პირობებში, როდესაც, სადავო გადაწყვეტილებით, ჯამალ ალის შეფასება არ მო-

მხდარა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგის, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისთვის საფრთხის შემცველად და, შესაბამისად, მას უარი არა კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, არამედ სხვა საფუძვლით ეთქვა, სრულიად გაუგებარი და ურთიერთგამომრიცხავია, რატომ წარმოადგენს მის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას.

საქმის მიმდინარეობა: 2017 წლის მაისში ჯამალ ალის საქართველოში შემოსვლაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება EMC-მ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. საჩივრის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა ჟურნალისტისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ვინაიდან გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული და, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ არსებობდა ჟურნალისტისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძველი. ამავე დროს, საქმის ფაქტობრივი გარემოებები ქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობაზე, რის შედეგადაც, სახელმწიფოს მიერ სადავო გადაწყვეტილებით ირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების მოთხოვნები.

2017 წლის 10 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ჯამალ ალის უარი ეთქვა წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსგავსად, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება არანაირ დასაბუთებას არ შეიცავს. შესაბამისად, გაურკვეველია, რა გარემოებაზე დაყრდნობით ეთქვა ჯამალ ალის უარი საქართველოში შემოსვლაზე. გადაწყვეტილება მხოლოდ ბლანკეტურად, კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითების გარეშე, განსაზღვრავს, რომ ჯამალ ალი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რაც საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმისთვის საკმარის საფუძველს წარმოადგენს, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონშესაბამისია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. აღნიშნულის გათვალისწინებით, EMC-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა.

EMC-მ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, თუმცა, საანგარიშო პერიოდში არცერთი სასამართლო სხდომა არ ჩატარებულა.

1.7. ასლანბეკ დადაევი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ევროპისა და ჩრდილო-კავკასიის რადიო თავისუფლების ცენტრის ჟურნალისტს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ასლანბეკ ახმეტ-სულტანის ძე დადაევს 2018 წლის 21 ოქტომბერს უარი ეთქვა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე.

საქართველოში ჩრდილო კავკასიის ქვეყნების მოქალაქეთა უვიზო მიმოსვლის შემოღების შემდეგ, დადაევი რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, რა დროსაც ის თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდა. მისი სამუშაოს ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საზოგადოებაში არსებული სოციალური გამოწვევების, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად ქისტი მოსახლეობის ინტეგრაციის საკითხების (ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში) ანალიზი და დამკვიდრებული სტერეოტიპების გადააზრების პრობლემატიკა.

მოსარჩელე 2018 წლის ზაფხულში რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და პროფესიულ საქმიანობას აგრძელებდა. ამავე პერიოდში მას გამიზნული ჰქონდა ვიდეორეპორტაჟის მომზადება პანკისელი სამართალდამცავის შესახებ, რომელიც ქისტი მოსახლეობის ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციის თვალსაზრისით კიდევ ერთი კარგი მაგალითი იქნებოდა, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უარის გამო რეპორტაჟის მომზადება ვერ მოხერხდა.

2018 წლის შემოდგომაზე ასლანბეკ დადაევმა ოჯახის მონახულების მიზნით საქართველოს ტერიტორია დატოვა და ჩეჩნეთში გაემგზავრა. საქართველოს საზღვრების დატოვების დროს მას რაიმე დაბრკოლება არ შეჰქმნია, თუმცა, 2018 წლის 21 ოქტომბერს, როდესაც ასლანბეკ დადაევი საქართველოში სამსახურებრივი მივლინებით, პროფესიული საქმიანობის გასაგრძელებლად ბრუნდებოდა, საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა.

2018 წლის 7 ნოემბერს იგი განმეორებით შეეცადა საქართველოში შემოსვლას, თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ წარუდგინა 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოში შემოსვლაზე უარი ემყარებოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას.

საქმის მნიშვნელობა: 2016 წლიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მუსლიმი თემის, სამოქალაქო აქტივისტებისა და სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტების მიმართ ფიქსირდება დისკრიმინაციული მოპყრობის პრაქტიკა. კერძოდ, მათ ხშირად გაუგებარი მიზეზებით ეშლებათ ხელი საქართველოში შემოსვლაში, რასაც შსს აბსტრაქტული და თვითნებური დასაბუთებით ამართლებს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები). აღნიშნული ქმნის ვარაუდს, რომ საქართველო იჩენს პოლიტიკურ ლოიალობას კონკრეტული სახელმწიფოების მიმართ ან პირის კრიტიკული მოსაზრებების გამო დისკრიმინაციულად უზღუდავს მას საქართველოში შემოსვლას.

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე მიუთითებს, რომ დადაევს უარი ეთქვა სახელმწიფოს თვითნებური და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამო, რაც დისკრიმინაციულ მოპყრობას წარმოადგენს და არღვევს გამოხატვის თავისუფლებას. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტით, ასევე, „საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის N280 დადგენილების 28-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლებიდან - უცხოელისთვის ვიზის გაცემისა ან საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის თაობაზე - ასლანბეკ დადაევის შემთხვევაში მონიშნულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძველი, რომლის თანახმადაც, უცხოელს საქართველოს ვიზის გაცემასა ან საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას **„საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“**.

არც 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებასა და არც 2018 წლის 30 ნოემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა ფაქტობრივი გარემოებების გამო არ აკმაყოფილებს მოსარჩელე საქართველოში შემოსვლისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძვლებს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარისთვის მოპასუხის დასაბუთება და არგუმენტაცია აბსოლუტურად განუჭვრეტელია და მას სრულად ერთმევა შესაძლებლობა, წარმოადგინოს შესაძლო მტკიცებულებები ან კონტრარგუმენტები სახელმწიფოს დასაბუთების გასაქარწყლებლად.

იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელისთვის დღემდე უცნობია, კონკრეტულად რა გარემოებებმა განაპირობა მისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმა, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, უფლებაში ჩარევის რა სხვა შემთხვევებს ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და კონკრეტულად რა სამართლებრივი გარემოების არსებობისას შეიძლება პირს უარი ეთქვას ქვეყანაში შემოსვლაზე.

საქართველოში შემოსვლაზე უარის ერთადერთი „სხვა“ საფუძველი, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით და, თავის მხრივ, არ იყო მითითებული 2018 წლის 7 ნოემბრის სადავო გადაწყვეტილებაში, განსაზღვრულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ პუნქტით, რომლის თანახმადაც, საქართველოში შემოსვლაზე <u>შეიძლება უარი</u> ეთქვას უცხოელს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ისეთ საერთაშორისო დანაშაულებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ტერორიზმი, ნარკოტიკების კონტრაბანდა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

„სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N386 დადგენილების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საქართველოში შემოსვლისას პირი მოწმდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადმოცემული სიების მიხედვით, რაც ასევე პროცედურულ ნორმას წარმოადგენს. უშუალოდ შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პიროვნების შემოწმება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ინფორმაცია ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთა შესახებ, რომლებიც ემალებიან გამოძიებას, თავს არიდებენ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებების მოხდას და ამის გამო იძებნებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

მოსარჩელის მიმართ მითითებული ნორმის გამოყენება სრულიად არარელევანტურია, ვინაიდან მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია არათუ საერთაშორისო, არამედ არანაირ დანაშაულებრივ ქმედებას. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი უცხოელისთვის

საქართველოს ვიზის გაცემისა ან საქართველოში შემოსვლაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას უქვემდებარებს. კანონმდებელი შესაბამის ორგანოს პირდაპირ კი არ ავალდებულებს, არამედ შესაძლებლობას აძლევს, აღნიშნული ნორმით განსაზღვრული შესაბამისი კრიტერიუმების გამოკვეთისას, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, თავად მიიღოს გადაწყვეტილება უცხოელისთვის საქართველოს ვიზის მიცემისა ან საქართველოში შემოსვლაზე უარი თქმის თაობაზე. თუმცა, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში სახელმწიფოს აკისრია კონკრეტული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება, რაც არ განხორციელდა დადაევის შემთხვევაში, რის გამოც გადაწყვეტილება უნდა მივიჩნიოთ თვითნებურად. იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არანაირ დასაბუთებას არ შეიცავს, მოსარჩელეს უჩნდება ვარაუდი, რომ სადავო გადაწყვეტილება უკავშირდება მის ჟურნალისტურ საქმიანობას, მის მიერ მომზადებულ სიუჟეტებს, მის შეხედულებებს, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სფეროში (გამოხატვის თავისუფლება) ექცევა.

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი ასპექტია მედიათავისუფლება და ჟურნალისტური საქმიანობისთვის თავისუფალი და უსაფრთხო პოლიტიკური გარემოს შექმნა. ჟურნალისტური საქმიანობის ნებისმიერი ხელშეშლა არღვევს არა მხოლოდ ჟურნალისტის, როგორც დემოკრატიის აგენტის თავისუფლებას, არამედ აზიანებს დემოკრატიული, პლურალისტური და ღია საზოგადოების პრინციპებს. ჟურნალისტის თავისუფლების თვითნებურ შეზღუდვას შეიძლება „გამყინავი ეფექტი" ჰქონდეს სხვა ჟურნალისტებისთვის და, ზოგადად, არსებითად დააზიანოს საჯარო დისკუსიის შესაძლებლობები.

მითითებულ შემთხვევაში არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ მოსარჩელისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარი ეფუძნებოდა მის პროფესიულ საქმიანობას, რომლის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საზოგადოებაში არსებული სოციალური გამოწვევების, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად ქისტი მოსახლეობის ინტეგრაციის საკითხების ანალიზი და დამკვიდრებული სტერეოტიპების გადააზრების პრობლემატიკის გამოკვეთა, რაც მიუღებელი აღმოჩნდა სახელმწიფო ორგანოებისთვის. ამ განსხვავებული შეხედულების ჩახშობა კი, გამოხატვის სუბიექტისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმით განხორციელდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში არცერთ სადავო აქტში არ არის მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მოსარჩელის მხრიდან უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის იდენტიფიცირებას. აღნიშნული კი ქმნის იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მიმართ განხორციელდა პირდაპირი დისკრიმინაცია განსხვავებული შეხედულების ნიშნით.

საქმის მიმდინარეობა: სასაზღვრო პოლიციის გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელმაც არ დააკმაყოფილა საჩივარი და მიუთითა, რომ ა.დადაევისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარი ეფუძნებოდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი" ქვეპუნქტს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები). თუმცა, იმავდროულად, შსს-მ არ მიუთითა, თუ რა წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საფუძველს. აღნიშნული გადაწყვეტილება EMC-მ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა შსს-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, შსს-სთვის ქმედების დავალების განხორციელება – უზრუნველყოს ა.დადაევის საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად შემოსვლა. საქმე საანგარიშო პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამზადებელ ეტაპზე იყო.

1.8. ნ.ტ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ნ.ტ. უკრაინის მოქალაქეა. 2007 წლის 4 აგვისტოს დაქორწინდა საქართველოს მოქალაქეზე. 2015 წლის 13 თებერვალს მოიპოვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა. 2018 წლის 8 თებერვალს მომჩივანს შეეძინა მესამე შვილი. მომჩივანმა ანტენატალური მეთვალყურეობისა და მშობიარობა/საკეისრო კვეთის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მეშვეობით. 2018 წლის თებერვლის წერილით მას უარი ეთქვა ხარჯების ანაზღაურებაზე იმის გამო, რომ არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და ვერ ისარგებლა ანტენალური მეთვალყურეობის ვაუჩერით.

ასევე, უარი ეთქვა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ უფასო მშობიარობაზე.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სახეზეა ჯვარედინი დისკრიმინაცია – ერთი მხრივ, ქალისა, მეორე მხრივ, უცხოელის მიმართ. ამ ორი ნიშნის ერთდროულად არსებობის გარეშე, დისკრიმინაციას ადგილი არ ექნებოდა.

სამართლებრივი დასაბუთება: გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში პაქტი) მე-12 მუხლით სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ ჯანმრთელობის უფლებას გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი) განმარტავს, როგორც ინკლუზიურ უფლებას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ დროულ და შესაბამის სამედიცინო მზრუნველობას, არამედ, ასევე, ხაზს უსვამს ჯანმრთელობისთვის გადამწყვეტ ფაქტორებს.

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე- 12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ქალებს შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, სთავაზობენ რა მათ, როცა ეს აუცილებელია, უფასო მომსახურებას, ასევე, შესაბამის კვებას ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მოიცავს პირის უფლებას, დაცული იყოს მისი ფიზიკური, მორალური და ფსიქოლოგიური ერთიანობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა მიერ სოციალური პროგრამებით სარგებლობაზე უარის ლეგიტიმურობა რამდენიმეჯერ ეჭვქვეშ დააყენა და დაადგინა თანასწორობის უფლების დარღვევა.

საქმის მიმდინარეობა: მომჩივანმა სახალხო დამცველს მიმართ 2018 წლის 12 თებერვალს. სახალხო დამცველმა 2018 წლის 4 აპრილს მომჩივნის მიმართ დაადგინა მოქალაქეობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია და რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისთვის. 2018 წლის 6 ივნისს სადავო ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, მომჩივანმა მიმართა სასამართლოს, რომელსაც საანგარიშო პერიოდში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

1.9. PHR საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

ფაქტობრივი გარემოებები: „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N638 დადგენილების თანახმად, აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე პირები არიან საქართველოს მოქალაქეები.[4] დადგენილება ასევე განსაზღვრავს, რომ არანებაყოფლობითი მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიღების უფლება აქვთ საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს.[5] რაც შეეხება ნებაყოფლობით მკურნალობას, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, სახელმწიფო დაფინანსებით ისარგებლონ სტაციონარული მომსახურებით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე აღნიშნული დანაწესი არ ვრცელდება.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მომსახურებაზე წვდომის შესაძლებლობას, როგორიცაა ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული მომსახურება.

სამართლებრივი დასაბუთება: „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორებიც საქართველოს მოქალაქეს და აკისრია ისეთივე მოვალეობები, როგორებიც საქართველოს მოქალაქეს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე კანონის 30-ე მუხლის თანახმად, საქართველოში უცხოელს აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

[4] საქართველოს მთავრობის დადგენილება N638, დანართი 12, მუხლი 2, პუნქტი 1.

[5] საქართველოს მთავრობის დადგენილება N638, დანართი 12, მუხლი 2, პუნქტი 2.

მოცემულ შემთხვევაში, თუკი საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი თავად აცნობიერებს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების საჭიროებას, ვალდებულია, ამის საფასური თავად გადაიხადოს. შესაბამისად, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, სახელმწიფოსგან მიიღოს მომსახურება, რომელიც გათვალისწინებულია ასეთი შემთხვევებისთვის. ამგვარად, ადგილი აქვს დისკრიმინაციას მოქალაქეობის ნიშნით.

საქმის მიმდინარეობა: PHR-მა საჩივრით მიმართა სახალხო დამცველს 2018 წლის 26 თებერვალს. სახალხო დამცველმა 2018 წლის 18 აპრილს ინფორმაცია გამოითხოვა მოპასუხე სამინისტროდან, საიდანაც პასუხი მიიღო 2018 წლის 2 ივლისს. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

1.10. ს.ა.ო; მ.დ; ჰ.რ.ჩ და მ.ი.ნ.კ საქართველოს ეროვნული ბანკის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია TDI-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: 2016 წელს, სხვადასხვა დროს, სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ნიგერიის რესპუბლიკის, ირანის ისლამური რესპუბლიკის და სირიის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქეებმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნისა და სხვადასხვა საბანკო მომსახურების გაწევისას ექმნებათ გარკვეული პრობლემები. მაგალითად, ერთ-ერთმა განმცხადებელმა, რომელიც არის უცხოელი და სწავლობს საქართველოში აკრედიტებულ ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მიმართა „საქართველოს ბანკს“ და ითხოვა ვადაგასული სტუდენტური ბარათის განახლება. ბანკმა სტუდენტს მოსთხოვა ევროკავშირში, ჩრდილოეთ ამერიკასა (აშშ და კანადა) და ავსტრალიაში რეგისტრირებული რომელიმე ბანკიდან სარეკომენდაციო წერილის წარდგენა. ამის გაკეთება მომჩივნისათვის იყო შეუძლებელი, ვინაიდან მას მანამდე არანაირი შეხება ზემოხსენებულ რეგიონებში არსებულ არც ერთ ბანკთან არ ჰქონია.

მსგავს პრობლემას წააწყდნენ სხვა განმცხადებელი პირებიც, რომლებსაც სხვადასხვა საბანკო მომსახურების მისაღებად, როგორიცაა დამსაქმებელი კომპანიის ტრანზაქციების ამონაწერი, ანგარიშის გახსნა ამერიკულ დოლარსა და ევროში, „ვითიბი“ და „თიბისი“ ბანკები სთხოვდნენ სარეკომენდაციო წერილებს ევროკავშირის, კანადის, აშშ-ის ან ავსტრალიის ერთ-ერთი ბანკიდან მაინც. ამ შემთხვევაშიც განმცხადებლებს არ ჰქონიათ საქმიანი ურთიერთობა ზემოხსენებულ ბანკებთან, შესაბამისად, ასეთ რეკომენდაციებს ვერ წარადგენდნენ.

სახალხო დამცველის წერილის საპასუხოდ, „საქართველოს ბანკმა“ მიუთითა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტზე, სადაც აღნიშნულია: „ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია, ჰქონდეს რისკების მართვის სათანადო სისტემა ისეთი კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, რომლის საქმიანობამ შესაძლებელია შექმნას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების მაღალი რისკი და აწარმოოს მის მიმართ გაძლიერებული იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების გაძლიერებული მონიტორინგის პროცესი.“ ნიგერიის მოქალაქისთვის სტუდენტური ბარათის გაცემაზე უართან დაკავშირებით, „საქართველოს ბანკის“ წერილში აღნიშნული იყო, რომ ბანკი ასეთ სტუდენტებს მაღალი რისკის კლიენტებად განიხილავს, ვინაიდან ბანკში დაფიქსირებულია თაღლითობის მცდელობის არაერთი ფაქტი ნიგერიის მოქალაქე ფიზიკური პირების მხრიდან. გარდა ამისა, საქართველოში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ნიგერიელი ფიზიკური პირები დაკავებულები იყვნენ ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შემოტანის და გასაღების ბრალდებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ბანკი ვალდებულია, ნიგერიის მოქალაქეობის მქონე ფიზიკური პირების მიმართ გამოიყენოს გაძლიერებული იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების პროცედურები.

ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მიმართა „ეროვნულ ბანკს“, რომლის საპასუხო წერილით ირკვევა, რომ ნიგერიელ სტუდენტს შეეძლო სტუდენტური ბარათის მიღება „საქართველოს ბანკიდან“. ამასთან, სტუდენტური ბარათით ანგარიშის გახსნა შესაძლებელი იყო მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

„ვითიბი“ ბანკის მიერ სახალხო დამცველისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ ბანკი თავად წყვეტს, რამდენად მისაღებია კონკრეტული მომხმარებელი მისი კომერციული მიზნებისთვის და გაუხსნას თუ არა მას ანგარიში, პოტენციური კლიენტის რეზიდენტობის მიუხედავად.

„თიბისი“ ბანკის განმარტებით, ბანკების მიზანს არ წარმოადგენს კლიენტთა გარკვეული ჯგუფის დისკრიმინაცია, არამედ კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების მზარდი რისკების მართვა.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე „ვითიბი“ ბანკმა განმცხადებელ უცხოელს მისი დამსაქმებელი კომპანიის ტრანზაქციების ამონაწერი მიაწოდა. ამის მიუხედავად, პრობლემად დარჩა ნიგერიის, ირანის და სირიის მოქალაქეებისთვის საქართველოში რეგისტრირებულ ბანკებში ანგარიშების გახსნა ამერიკულ დოლარსა და ევროში. აღნიშნული მომსახურების მიღება მათ მხოლოდ ლარში შეეძლოთ.

საქმის მნიშვნელობა: უცხოელების შესაძლებლობა, ჰქონდეთ წვდომა საბანკო მომსახურებაზე.

სამართლებრივი დასაბუთება: სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ განცხადებებში მითითებული გარემოებები შესაძლოა წარმოადგენდეს დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევებს საბანკო მომსახურებით სარგებლობის სფეროში, სპეციფიკური ნიშნის – გარკვეულ სახელმწიფოთა მოქალაქეობის მქონე ადამიანთა ჯგუფის მიმართ. აღნიშნული დასკვნა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება თავად კომერციული ბანკების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, ბანკები განსაზღვრული კატეგორიის უცხოელების მიმართ განსხვავებული მოპყრობის მიზეზად უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საფრთხეს ასახელებენ.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 211-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ კომერციულმა ბანკმა თავისი მომსახურების მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და მის მიერ განხორციელებული ოპერაციის შემოწმებისას უნდა იცოდეს მომხმარებლის ვინაობა, საქმიანობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით ამ საქმიანობის რისკის დონე.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 211-ე მუხლის მე-3 პუნქტი კომერციულ ბანკებს ანიჭებს უფლებას, ანგარიშის გახსნისას თავად განსაზღვრონ და მომხმარებლისგან მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია. იმავე მუხლის მე-4 პუნქტით კი, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნასა ან მომსახურების გაწევაზე.

მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, კომერციული ბანკები, რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე, უნდა ახორციელებდნენ მათი მომსახურების ისეთი მომხმარებლის (კლიენტის) იდენტიფიცირებას, რომლის საქმიანობამ შესაძლოა შექმნას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საფრთხე. ამასთან, ფინანსური მომსახურების მომხმარებლის (კლიენტის) იდენტიფიკაციისა და მისი ვინაობის გადამოწმების (ვერიფიკაციის) პროცედურა უნდა წარიმართოს, მათ შორის, კლიენტის ტიპისა და ხასიათის გათვალისწინებით.

რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე ფინანსური მომსახურების მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და საქმიანი ურთიერთობების მონიტორინგის განხორციელების საერთაშორისოდ აღიარებული წესები დადგენილია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force – FATF) (შემდგომში – სპეციალური ჯგუფი) მიერ შემუშავებული 40 რეკომენდაციით. სპეციალური ჯგუფის N1 რეკომენდაციის შესაბამისად, რისკების შეფასების და რისკზე დამყარებული მიდგომის მიზნით, ფინანსური ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საფრთხეების გამოვლენისა და შეფასებისთვის, ფინანსური მომსახურების კლიენტების, სახელმწიფოებისა და გეოგრაფიული რეგიონების (არეალის) გათვალისწინებით. ამ მიზნით ხორციელდება ფინანსური მომსახურების მომხმარებლის მონიტორინგი.

N10 რეკომენდაციის თანახმად, როდესაც ვერ ხერხდება ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება (მათ შორის, „რისკზე დამყარებული მიდგომის“ საფუძველზე მათი კორექტირების შემთხვევაში), ბანკი ვალდებულია, უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნაზე, ან შეწყვიტოს საქმიანი ურთიერთობა კლიენტთან. მაშასადამე, ბანკი ვალდებულია, უარი თქვას ანგარიშის გახსნაზე ან/და კლიენტთან შეწყვიტოს ურთიერთობა, როდესაც (a) იგი ვერ ახდენს კლიენტის იდენტიფიკაციას და მისი ვინაობის დადასტურებას სანდო, დამოუკიდებელი და ავთენტური დოკუმენტებისა ან ინფორმაციის მეშვეობით; (b) ვერ ხერხდება კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის განსაზღვრა და მისი პიროვნების გადამოწმება; (c) შეუძლებელია საქმიანი ურთიერთობების ხასიათისა და მიზნის განსაზღვრა; (d) როდესაც ბანკი ვერ ახდენს საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში არსებული გარიგებების ანალიზს იმისთვის, რომ მუდმივად ჰქონდეს ინფორმაცია კლიენტისა და მისი საქმიანობისგან მომავალი პოტენციური საფრთხეების შესახებ.

ერთ-ერთი განმცხადებელი ითხოვდა უკვე არსებული ურთიერთობის გაგრძელებას. როგორც N10 რეკომენდაციის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კლიენტის სათანადო შემოწმების პროცედურა არ გულისხმობს, რომ ფინანსური დაწესებულებები უნდა ახორციელებდნენ არსებული კლიენტის განმეორებით იდენტიფიკაციას და ვინაობის გადამოწმებას ყოველ ჯერზე, როდესაც იგი რაიმე ახალ გარიგებას

დებს. ამგვარად, ამ განმცხადებელთან დაკავშირებით სახალხო დამცველისთვის გაუგებარი დარჩა, თუ რის საფუძველზე მოითხოვა ბანკმა დამატებითი ინფორმაცია შესაბამისი ბანკებიდან რეკომენდაციის სახით.

N17 რეკომენდაციის თანახმად, N10 რეკომენდაციით გათვალისწინებული კლიენტის სათანადოდ შემოწმების პროცედურის "a-d" პუნქტებში მითითებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, სახელმწიფოებს უფლება აქვთ, ნება დართონ ფინანსურ დაწესებულებებს, კლიენტის ვინაობის შემოწმების დროს დაეყრდნონ მესამე პირებისგან მიღებულ ინფორმაციას, თუ ეს პირები, თავის მხრივ, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმის სათანადო კონტროლს ექვემდებარებიან. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ჯგუფის მიერ შემუშავებული N17 რეკომენდაცია მესამე პირებში, უპირველეს ყოვლისა, უცხო სახელმწიფოთა ფინანსურ ინსტიტუტებს მოიაზრებს. როგორც განსახილველი განცხადებებიდან ირკვევა, კომერციულმა ბანკებმა განმცხადებელთა ნაწილს მოსთხოვეს მესამე პირებისგან, კერძოდ კი, ევროკავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა ან ავსტრალიაში რეგისტრირებული ბანკებიდან რეკომენდაციების წარმოდგენა, რაც განმცხადებლებისთვის შეუძლებელი იყო, ვინაიდან მათ ამ სახელმწიფოებში რეგისტრირებულ ბანკებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. შესაბამისად, სწორედ ამ კონკრეტული მოთხოვნის შეუსრულებლობა მოპასუხე კომერციულმა ბანკებმა მიიჩნიეს კლიენტის სათანადოდ შემოწმების პროცედურის მოთხოვნების შეუსრულებლობად, რაც გახდა ანგარიშის გახსნასა და მომსახურებაზე უარის თქმის საფუძველი.

სპეციალური ჯგუფის N17 რეკომენდაციის თანახმად, კლიენტის სათანადოდ შემოწმების მიზნით ე.წ. მესამე პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენების თვალსაზრისით, როდესაც ფინანსური დაწესებულება ეყრდნობა მესამე პირის ინფორმაციას, საბოლოო პასუხისმგებლობა მაინც მას ეკისრება. შესაბამისად, როდესაც კონკრეტულ პირს არ შეუძლია მესამე პირის მიერ გაცემული ამგვარი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, ვერც მხოლოდ ეს გარემოება გახდება საბანკო მომსახურებაზე უარის თქმის საფუძველი საბანკო მომსახურების მომხმარებლის ფულის გათეთრებასა ან/და ტერორიზმის დაფინანსებასთან კავშირის ან N10 რეკომენდაციის „a-d" პუნქტების მოთხოვნების შეუსრულებლობის მოტივით.

რაც შეეხება იმ განმცხადებლებს, რომლებსაც უარი ეთქვათ საბანკო ამონაწერის გაცემაზე, ისინი სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან საქართველოში, შესაბამისად, ქართული კომერციული ბანკებისთვის ნაკლებად პრობლემური უნდა იყოს მათი საქმიანობის გადამოწმება. მხედველობაშია ასევე მისაღები, რომ სირიის მოქალაქე მ.დ. ბანკისგან არ ითხოვდა ანგარიშის გახსნას ან არსებული საქმიანი ურთიერთობის შეცვლას. მისი მოთხოვნა შეეხებოდა ბანკის მომსახურების მომხმარებლის - თურქული კომპანია „ა.ქ.ი.მ.ე.თ.თ"-ის საბანკო ანგარიშიდან ამონაწერს, რისი მოთხოვნის უფლებაც მას კანონიერად ჰქონდა და რაზეც გაუგებარი მიზეზით ეთქვა უარი. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ გარკვეული სახელმწიფოების მოქალაქეებს მართლაც ექმნებათ დაბრკოლება საბანკო მომსახურების გაწევისას, რაც, თავის მხრივ, უფრო ნათელი და მარტივად განჭვრეტადი წესების შემუშავებას მოითხოვს.

საქმის მიმდინარეობა: მართალია, განცხადებები ამ საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატში 2016 წელს შევიდა, ზოგადი წინადადება ომბუდსმენმა გამოსცა საანგარიშო პერიოდში – 2018 წლის 4 აპრილს. ზოგადი წინადადებით სახალხო დამცველმა საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართა:

- ევროკავშირის, ჩრდილოეთ ამერიკის ან ავსტრალიის ბანკებთან უცხოელის კონტაქტის არარსებობის შემთხვევაში, მისცეს მას ალტერნატიული დოკუმენტის წარმოდგენის შესაძლებლობა, რაც მოახდენს ფულის გათეთრების საფრთხის პრევენციას;
- მოსთხოვოს სს „საქართველოს ბანკს", სტუდენტური ბარათით სარგებლობისას, უცხოელ სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა, ბანკში გახსნან ისეთი ანგარიში, რომელზეც შეძლებენ ოჯახებისგან ფულადი გზავნილების მიღებას ან გაგზავნას, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიზნით განხორციელებული სათანადო მონიტორინგის საფუძველზე;
- შეიმუშაოს მარტივად განჭვრეტადი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს კომერციულ ბანკებში საბანკო მომსახურების მიღებას ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

1.11. მ.უ.ჩ.სსიპთბილისის№130საჯაროსკოლისწინააღმდეგ(საქმემომზადებულიაააიპ„საფარის"მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: მ.უ.ჩ. (შემდგომში მიმი) 2014 წლის 9 ნოემბრისთვის იყო თბილისის 130-ე საჯარო სკოლის მე-11 მეორე კლასის მოსწავლე. ქართულის მასწავლებლის – მ.დ-ს და თითქმის მთელი

კლასის – 24 პირის თანდასწრებით თანაკლასელმა ს.ქ-მ მიმის მიაყენა შეურაცხყოფა კანის ფერის გამო. გაკვეთილზე ბავშვები, მათ შორის მიმიც, ხმაურობდნენ. ს.ქ-ს შენიშვნისას - „შენ სად ხარ საერთოდ" მიმიმ უპასუხა „შენ ვისთან ხარ საერთოდ, შენ არ გელაპარაკები", რაზეც ს.ქ-მ მიმის უთხრა: „შენ საერთოდ აქ რა გინდა, წადი აფრიკაში", „შენ წადი აფრიკაში ველურებთან", „შენი ადგილი საზოგადოებაში არ არის". მიმიმ სთხოვა ს.ქ-ს, გადამჯდარიყო მასთან და აეხსნა, თუ რა მნიშვნელობით უთხრა, წადი აფრიკაშიო. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს გარკვევით ესმოდა ს.ქ-ს ყვირილი „წადი აფრიკაშიო", მისთვის რაიმე სახის შენიშვნა არ მიუცია. მეტიც, მან მიმართა მხოლოდ მიმის, დაეტოვებინა კლასი, ხოლო მიმის პასუხის შემდეგ – „რატომ მარტო მე?" – კლასიდან ორივე მოსწავლე გაუშვა. კლასის დატოვების შესახებ გაფრთხილებულნი არ ყოფილან შესაბამისი პირები. რამდენიმე წუთში დერეფანში გამოჩნდნენ დამრიგებელი – ც.თ. ასევე, ს.ბ. და ზ. მიმიმ მასწავლებელს უამბო მომხდარის შესახებ. ც.თ-მ ს.ქ-ს მიმართა – „როგორ შეიძლება ასე მოქცევა? სირცხვილია", ასევე – „ეს რა ხდება ამ სკოლაში". თუმცა, ამის გარდა სხვა სახის კომენტარი არ გაუკეთებია, ხოლო მოგვიანებით მიმის ჰკითხა, დარწმუნებული იყო თუ არა, რომ ს.ქ-მ მას ეს სიტყვები რასისტული მნიშვნელობით უთხრა.

კანის ფერის გამო მიმის შეურაცხყოფის ფაქტს რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი კლასელების თუ მასწავლებლების მხრიდან. მიმის ერთ-ერთმა კლასელმა დაუძახა – „ზანგო". მიმიმ ამის შესახებ აცნობა დამრიგებელს. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მასწავლებელი ც.თ-ც, თუმცა, მისი რეაგირება რასიზმის ფაქტზე იყო შემდეგი: „ისიც მახსოვს, კლასში ჩავიტანე წიგნი „ასი საუკეთესო ქართველის" შესახებ და ვუამბე ბავშვებს ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრების შესახებ, რათა უკეთესად გაეცნოთ მიმის წინაპრები" (მიმი არის ჭაბუა ამირეჯიბის შვილთაშვილი). სპორტის მასწავლებელმა, როდესაც მიმი დარბაზში შევიდა, დაიძახა – ვაა, ზანგი 130-ე სკოლაშიო.

უკანასკნელმა შემთხვევამ მიმის განსაკუთრებით ატკინა გული. შემდეგ გაკვეთილზე მიმიმ დაურეკა დედას და სთხოვა, სკოლაში მისულიყო. მიმის დედას ს.ქ-სთან დაძაბული საუბარი ჰქონდა. ამის შემდეგ დამრიგებელმა საჭიროდ მიიჩნია სიტუაციაში დირექტორის ჩართვა, რომელიც მიუთითებდა მიმის დისციპლინურ გადაცდომებზე, ნაცვლად იმისა, რომ რასიზმის ფაქტზე მოეხდინა რეაგირება.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ბავშვის მიმართ რასობრივ დისკრიმინაციას, ასევე, სკოლის უმოქმედობას, აღმოფხვრას რასიზმი.

სამართლებრივი დასაბუთება: თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ მ.უ.ჩ-ს მისამართით ნათქვამი სიტყვები – „შენი ადგილი აფრიკაშია, საზოგადოებაში – არა", ან სხვა ვერსიით – „წადი აფრიკაში ველურებთან, შენი ადგილი საზოგადოებაში არ არის", „წადი აფრიკაში, შენი ადგილი ცივილიზაციაში არ არის", როგორც მსხვერპლის, ისე გონიერი და მიუკერძოებელი დამკვირვებლის თვალში აღიქმება, როგორც შევიწროება სწორედ კანის ფერის გამო. ასევე, პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სკოლას (მოპასუხეს) მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით თავისი ინიციატივით არ გაუტარებია მყისიერი ღონისძიებები არც ინფორმაციული, არც საგანმანათლებლო და არც დისციპლინური კუთხით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება სკოლის ადმინისტრაციამ მხოლოდ მას შემდეგ გაატარა, რაც 2015 წლის 10 დეკემბერს გადაეგზავნა განათლების სამინისტროს ბრძანება, რომლითაც დაევალა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში მითითებულ დარღვევებზე რეაგირება. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების დასასაბუთებლად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლზე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 და მე-10 მუხლებზე, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 და მე-20 მუხლებზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე.

საქმის მიმდინარეობა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ/აპელანტმა – მიმიმ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმეზე გამოტანილი ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 1 000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოწინააღმდეგე მხარემ (№130 საჯარო სკოლამ). სასამართლომ საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, თუმცა, საანგარიშო პერიოდში უზენაეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

2. გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად იკრძალება დისკრიმინაცია პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი დამატებით მიუთითებს დისკრიმინაციისგან დაცულ ისეთ საფუძველზე, როგორიცაა გამოხატვა. ამ ნიშნით დისკრიმინაციას საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა შრომით ურთიერთობებში. კვლავაც პრობლემად რჩება პოლიტიკური კუთვნილების ან კრიტიკული მოსაზრებების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლება ან დაქირავებაზე უარის თქმა. ასევე, ფიქსირდება ამ ნიშნით ასოცირების დისკრიმინაციის შემთხვევებიც, როდესაც დისკრიმინირებული ადამიანი თავად არ გამოხატავს არანაირ შეხედულებას, არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, თუმცა, არახელსაყრელ მდგომარეობაში ექცევა იმის გამო, რომ მისი ოჯახის წევრს ახასიათებს ეს ნიშანი.

2.1. ბადრი ონიანი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით, ბადრი ონიანი გათავისუფლდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან. ბრძანება არ არის დასაბუთებული და არ შეიცავს რაიმე მითითებებს გათავისუფლების საფუძვლების შესახებ. ბადრი ონიანის თანამდებობიდან გათავისუფლება უკავშირდება წყალტუბოს №58 ოლქის 57-ე მაჟორიტარულ ოლქში მის დასახელებას დეპუტატობის კანდიდატად პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ მიერ. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის შემდეგ გამოიცა ბრძანება მისი გათავისუფლების შესახებ.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურში პოლიტიკური შეხედულებების გამო მოქალაქის დისკრიმინაციის თვალსაზრისით.

სამართლებრივი დასაბუთება: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველი მუხლით აკრძალულია პოლიტიკური შეხედულებების გამო დისკრიმინაცია. ბადრი ონიანის დისკრიმინაცია განხორციელდა იმის გამო, რომ საპარლამენტო არჩევნებში დასახელდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „ეროვნული ფორუმის“ კანდიდატად. პოლიტიკური შეხედულებების გამო ბადრი ონიანი არახელსაყრელ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული სხვა პირებთან შედარებით.

საქმის მიმდინარეობა: წყალტუბოს მაგისტრატმა მოსამართლემ 2017 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი, ბათილად ცნო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იმ მოტივით, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ არ გამოიკვლია გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მაგისტრატ მოსამართლეს სამოტივაციო ნაწილში პასუხი არ გაუცია დისკრიმინაციის თაობაზე მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი არგუმენტებისთვის. ეს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. მოსარჩელე მხარე სააპელაციო სასამართლოში დავობდა დისკრიმინაციაზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 6 ივლისს გააუქმა წყალტუბოს მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, კერძოდ, სასამართლომ იხელმძღვანელა იმ დროს მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, რომლის მიხედვითაც გამგებელსა და მერს არ ევალებოდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების დასაბუთება. დისკრიმინაციასთან დაკავშირებით არც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გაუცია პასუხი აპელანტის სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი არგუმენტისთვის. 2018 წლის 22 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად ცნო ბადრი ონიანის საკასაციო საჩივარი. უზენაეს სასამართლოს საკასაციო საჩივართან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გადაწყვეტილება არ მიუღია.

2.2. მაყვალა ჯავახია ააიპ ქ.თბილისის №77 საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია GDI-ს მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: მაყვალა ჯავახია მუშაობდა ქ. თბილისის №77 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა არ გამოყენებულა და არასოდეს ყოფილა სახდელდა-

დებული. მაყვალა ჯავახია 2006 წლიდან პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური წევრია. 2015 წლის დეკემბერში მას გარდაეცვალა ახლო ნათესავი და რეგიონში წასვლის გამო სამსახურში ვერ გამოცხადდა, თუმცა, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი განცხადება დაწერა.

2015 წლის 2 დეკემბერს საბავშვო ბაღში ჩატარდა შემოწმება, რომლის დასკვნის თანახმად, ბაღში მზარეულის თანაშემწეების მიერ გადამალული იყო პროდუქტი, ამასთან, სამსახურში არ იმყოფებოდა მაყვალა ჯავახია, რომელმაც თვითნებურად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მიატოვა ბაღი და გაემგზავრა ქალაქგარეთ ისე, რომ ამის თაობაზე არ გაუფრთხილებია არც დირექტორი და არც ქ.თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს კადრების სამსახური. აღნიშნულ დასკვნაში გაცემული იყო რეკომენდაცია მაყვალა ჯავახიას გათავისუფლების შესახებ. 2015 წლის 16 დეკემბერს მაყვალა ჯავახია თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

საქმეში არსებული სხვა გარემოებები მიუთითებდა, რომ მაყვალა ჯავახიას გათავისუფლების რეალური მიზეზი მისი პოლიტიკური შეხედულებები იყო. ამას თან ერთვოდა ის ფაქტიც, რომ 2016 წლის პირველ ნახევარში ქ. თბილისის მასშტაბით ათობით საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი და მათი მოადგილეები გაათავისუფლეს. მაყვალა ჯავახიასთან შრომითი ხელშეკრულება ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების და მოკვლევის გარეშე გაწყვიტეს, რაც ამყარებდა ზემოხსენებულ ეჭვებს დისკრიმინაციის თაობაზე.

საქმის მნიშვნელობა: ეს საქმე არის საბიუჯეტო ორგანიზაციებში პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების მასშტაბური პრობლემის მაჩვენებელი.

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით, რაც პირდაპირ არის აკრძალული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონით. დისკრიმინაციული მოპყრობა იყო ერთ-ერთი არგუმენტი, რის გამოც მოსარჩელე ითხოვდა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას და ხელფასისა და განაცდურის სრულად ანაზღაურებას – ყოველ მოცდენილ თვეზე 600 ლარის ოდენობით.

საქმის მიმდინარეობა: პირველი ინსტანციის სასამართლომ 2017 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა უდავო ფაქტობრივი გარემოებები: მაყვალა ჯავახია იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ააიპ №77 ბაგა-ბაღთან. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო დასაქმებულის უფლება-მოვალეობები. 2015 წლის 24 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით მას დროებით დაეკისრა დირექტორის მოვალეობის შესრულება. 2015 წლის 16 დეკემბრის ბრძანებით, მაყვალა ჯავახია, შინაგანაწესის უხეში დარღვევის გამო, გათავისუფლდა სამსახურიდან. ამასთან, იგი არ ყოფილა სახდელდადებული 2008-2015 წლების პერიოდში. მაყვალა ჯავახია 2006 წლიდან არის პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ისნის რაიონული ორგანიზაციის კოორდინატორი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მაყვალა ჯავახიას მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების უხეშ დარღვევას, რადგანაც მან სათანადოდ არ გააფრთხილა შესაბამისი პირები ნათესავის გარდაცვალების გამო სამსახურში გამოუცხადებლობის შესახებ, ამასთან, არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა – ზედამხედველობა გაეწია მზარეულებისთვის, რომლებსაც საკვებ ბლოკში სერიოზული დარღვევები აღმოუჩინეს.

დისკრიმინაციის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულების ობიექტური მიზეზით გაწყვეტის გამო, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი იყო გამორიცხული. ამ გარემოების გათვალისწინებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით დაადგინა შემდეგი: 2015 წლის 2 დეკემბრის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სამზარეულოს თანამშრომლების მიერ გადამალული იყო რამდენიმე დასახელების პროდუქტი; თანამშრომლებმა აღიარეს, რომ აღნიშნული პროდუქტი სახლში წასაღებად ჰქონდათ გადამალული; მონიტორინგის დასკვნის მიხედვით, მაყვალა ჯავახია არ იმყოფებოდა სამსახურში და მან თვითნებურად, გაფრთხილების გარეშე დატოვა ბაღი; სააგენტოს კადრების სამსახურმა ბაღის დირექტორს მისცა მაყვალა ჯავახიას გათავისუფლების რეკომენდაცია; 2015 წლის 15 დეკემბერს №77 ბაგა-ბაღის სათათბირო ორგანომ განიხილა დირექტორის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მაყვალა ჯავახიას 28 ნოემბერს გარდაეცვალა ახლო ნათესავი, პირველ დეკემბერს მან აღნიშნულის შესახებ დაწერა განცხადება, თუმცა, მასში არ მიუთითებია გასაცდენი დღეების რაოდენობა; მაყვალა ჯავახია გათავისუფლდა შინაგანაწესის უხეში დარღვევის გამო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება დისკრიმინაციული საფუძვლით მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, თუმცა, აღნიშნულ პოზიციას შესაბამისი დასაბუთება არ

მოჰყოლია. იმავდროულად, პალატამ მიიჩნია, რომ მაყვალა ჯავახიას მასზე დაკისრებული ვალდებულებები უხეშად არ დაურღვევია, შესაბამისად, არ არსებობდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები. პალატამ მაყვალა ჯავახიას მიერ სამსახურის გაცდენის მიზეზად ახლო ნათესავის გარდაცვალება შეაფასა საპატიოდ. ამასთან, აღნიშნა, რომ მაყვალა ჯავახიას ვერ შეერაცხებოდა ბრალად მზარეულების მიერ პროდუქტის გადამალვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მაყვალა ჯავახიას მიერ შრომითი ვალდებულებების დარღვევა გამოიხატებოდა სამსახურის გაცდენაში უფლებამოსილი პირის წინასწარი გაფრთხილების გარეშე. სასამართლო დაეყრდნო შრომის სამართლის პრინციპს – Ultima Ratio, რაც გულისხმობს, რომ დასაქმებული სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, ჩადენილი გადაცდომის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, მის მიმართ უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი არ აქვს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მაყვალა ჯავახიას მიერ სამსახურის გაცდენა იყო „უბრალო“ და არა „უხეში“ დარღვევა, შესაბამისად, მისი გათავისუფლება იყო უკანონო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე. სასამართლომ ბათილად ცნო ბრძანება მაყვალა ჯავახიას გათავისუფლების თაობაზე, აგრეთვე, დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა აღდგენისა და განაცდურის მიღების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო. უზენაეს სასამართლოს ამ საქმესთან დაკავშირებით შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ მიუღია.

2.3. ნათია ტუხაშვილი აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ნათია ტუხაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში სხვადასხვა წამყვან თანამდებობაზე. 2014 წელს ის კონკურსის შედეგად დაინიშნა იმავე დაწესებულების ერთ-ერთი სამსახურის უფროსად. ნათია ტუხაშვილის თავდაპირველი დანიშვნა მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში. 2012 წლის არჩევნების შემდგომ, ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, ნათია ტუხაშვილი განაგრძობდა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ლიდერების მხარდაჭერას. კერძოდ, იგი დაუფარავად აფიქსირებდა საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს და აქტიურად დადიოდა პარტიის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზე.

2017 წლის მარტში ნათია ტუხაშვილი, აღსრულების ეროვნული ბიუროს სხვა თანამშრომლებთან ერთად, გააფრთხილეს რეორგანიზაციისა და შესაძლო გათავისუფლების შესახებ. რეორგანიზაციის შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებული ახალი პოზიცია იყო ნათია ტუხაშვილის მიერ მანამდე დაკავებული პოზიციის იდენტური, არ მოხდა მისი დანიშვნა კონკურსის გარეშე, დაუსაბუთებლად, ყოველგვარი საფუძვლების გარეშე, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამო.

2017 წლის აპრილში, საქართველოს იუსტიციის მინისტრისგან მიღებული თანხმობის შემდგომ, ნათია ტუხაშვილი გათავისუფლდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ერთ-ერთი სამსახურის უფროსის თანამდებობიდან.

საქმის მნიშვნელობა: საჯარო სამსახურში პოლიტიკური დისკრიმინაციის დემონსტრირება.

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელის მიმართ განხორციელდა პირდაპირი დისკრიმინაცია პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით, რაც აკრძალულია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონით.

საქმის მიმდინარეობა: საანგარიშო პერიოდში, კერძოდ, 2018 წლის 1-ლ მაისს აღნიშნულ საქმეზე გაიმართა მოსამზადებელი სხდომა. მოსარჩელე ითხოვს დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტას/მისი შედეგების აღმოფხრას და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

2.4. ეკატერინე მიშველაძე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2015 წელს (ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყების წინ) საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მრჩეველმა ბასა ჯანიკაშვილმა საჯაროდ განაცხადა შემდეგი: „ქალბატონ ეკას მინდა მივულოცო მთელი გულით და სულით ოჯახის შექმნა. იყო პრომოს დამზადების პროცესი, ველოდებოდით, რომ ეკა უნდა ჩამოსულიყო, ეს პრომო უნდა დაგვემზადებინა და ასეთი კარგი ამბავი დაგვახვედრა, რომ გათხოვდა პოლიტიკურ ლიდერზე, მომავალ პარლამენტის თავმჯდომარეზე, სხვათა შორის, აქვე ვიწინასწარმეტყველე. მაუწყებელს აქვს თავისი კოდექსი, რო-

გორც მარეგულირებელ კომისიას, ასევე მაუწყებელს, სადაც ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი. მე შემიძლია გამოგიგზავნოთ ეს მეილზე. ეს არის პრობლემა“. ბასა ჯანიკაშვილმა ეკატერინე მიშველაძეს მიმართა შემდეგი ფრაზით: „ქალბატონო ეკა, გილოცავთ გაბედნიერებას, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ მაუწყებლის კოდექსის თანახმად, ჟურნალისტმა, რომელიც პოლიტიკური ლიდერის მეუღლეა, უხერხულია, წაიყვანოს პოლიტიკური გადაცემა“.

მას შემდეგ, რაც გადაცემა „პირველი სტუდია“ ეთერში აღარ გადიოდა, „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმატის 4 ახალი გადაცემა დაემატა, რომელთა წამყვანებად „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ახალი თანამშრომლები მიიღო. „პირველ სტუდიაში“ დასაქმებული პირებიდან (სულ 6 თანამშრომელი) შრომითი ურთიერთობა შეწყდა მხოლოდ ერთთან – ეკატერინე მიშველაძესთან.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება პოლიტიკური ასოცირების ნიშნით დისკრიმინაციას. მოსარჩელე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს იმ ნიშნით, რაც მის მეუღლეს ახასიათებდა.

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე ითხოვდა პოლიტიკური ასოცირების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენას. საქმეში ასევე სადავო იყო შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმების დარღვევა.

საქმის მიმდინარეობა: 2017 წლის 24 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ეკატერინე მიშველაძის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია და მოპასუხეს დააკისრა კომპენსაციის გადახდა. სასამართლომ დისკრიმინაცია არ დაადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი ნაწილდება იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომლის მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. როდესაც დასაქმებული მიუთითებს შრომის ხელშეკრულების მოშლის დისკრიმინაციულ საფუძველზე, მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება... ამასთან, მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება არ ნიშნავს, რომ მოსარჩელე სრულად თავისუფლდება მტკიცების ვალდებულებისგან. მან უნდა დაასახელოს ის ფაქტები, რომლებიც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს ქმნის და წარმოადგინოს საჭირო მტკიცებულებები, დაასახელოს კომპარატორი – მიუთითოს ანალოგიურ ვითარებაში მყოფ პირზე, რომლის მიმართაც სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება მოხდა და ა.შ.“

სასამართლო ამ შემთხვევაში იზიარებს მოპასუხის მითითებას, რომ ბასა ჯანიკაშვილის ზემოაღნიშნული ინტერვიუ გამოხატავდა ამ უკანასკნელის პირად მოსაზრებას და მას განცხადება არ გაუკეთებია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სახელით. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბასა ჯანიკაშვილს არ ეკავა სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ხელმძღვანელი თანამდებობა, მის უფლებამოსილებაში არ შედიოდა შრომითი ხელშეკრულებების დადება ან შეწყვეტა. საზოგადოებასა და მესამე პირებთან სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ წარმოადგენს გენერალური დირექტორი. სასამართლო, აქვე იმ გარემოებასაც იღებს მხედველობაში, რომ 2015 წლის განმავლობაში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველ არხზე რამდენიმე გადაცემა დაიხურა, ხოლო გადაცემათა ნაწილი შემოდგომიდან ეთერში გავიდა შეცვლილი ფორმატით ან სახელწოდებით და ა.შ. რაც დასტურდება მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ცნობით, რომელიც მოსარჩელეს სადავო არ გაუხდია.

საანგარიშო პერიოდში ამ საკითხზე იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც, რომელმაც არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, შესაბამისად, მოსარჩელე ვერ გაასაჩივრებდა მის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან დაინტერესებულ პირს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია, თუ იგი მის წინააღმდეგ არის მიღებული, ან რაიმე ფორმით მის კანონიერ ინტერესს შეეხება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა მოპასუხე მხარემ. ეკატერინე მიშველაძეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ გაუსაჩივრებია. საანგარიშო პერიოდში უზენაეს სასამართლოს ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

2.5. ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2016 წლიდან ი.პ-ს ეკავა გორის თემის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა. 2017 წლის 21 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს ი.პ. იყო საარჩევნო სუბიექტის „შენების მოძრაობა“ საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატი. 2017 წლის 21 სექტემბერს ი.პ-მ დატოვა პარტია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიგები და შეუერთდა პარტია „შენების მოძრაობას“.[6]

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ. ქალაქ გორის და გორის თემის მუნიციპალიტეტები გაერთიანდა, შეიქმნა გორის მუნიციპალიტეტის მერია, სადაც მობილობის წესით უნდა გადაეყვანათ გორის გამგეობაში დასაქმებული საჯარო მოხელეები. ვინაიდან ი.პ. იყო „შენების მოძრაობის“ წევრი, იგი არ გადაიყვანეს გორის მერიაში შექმნილ ტოლფას ან დაბალ თანამდებობაზე.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება საჯარო სამსახურში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას.

სამართლებრივი გარემოებები: ი.პ-ს მიმართ განხორციელდა პირდაპირი დისკრიმინაცია პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 12 იანვარს ი.პ-მ მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს. ი.პ. ითხოვს დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენას, მობილობის წესით გორის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნას, 2017 წლის ნოემბრიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე თვეში 1000 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურებას.

2.6. ლუიზა ლაფერაძე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ლუიზა ლაფერაძე მონაწილეობდა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ 2018 წლის ივლისში გამოცხადებულ ღია კონკურსში ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. მოსარჩელე ლაფერაძემ საკონკურსო განაცხადი წარადგინა ფერწერის მიმართულებით – ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის დარგობრივი კომისიის 2018 წლის 12 აგვისტოს №3 სხდომის ოქმის თანახმად, ლუიზა ლაფერაძისა და კიდევ ორი კანდიდატის განაცხადი შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა, კომისიამ იმსჯელა მხოლოდ ე.გ-სა და თ.მ-ის კანდიდატურებთან დაკავშირებით. სხდომის ოქმში არ მოიპოვება ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, თუ რატომ ეთქვა ლუიზა ლაფერაძეს უარი აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მას აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე უარი ეთქვა დისკრიმინაციული მოტივით, რაც უკავშირდება წარსულში აკადემიაში მის საქმიანობას. კერძოდ, ლუიზა ლაფერაძე მუშაობდა აკადემიაში მრავალი წლის მანძილზე და გამოირჩეოდა სწავლების იმგვარი მეთოდით, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სრულად შეესაბამება სწავლების სტანდარტს, მეტად ინდივიდუალურია და მორგებულია თითოეული სტუდენტის კონკრეტულ საჭიროებებზე. სწორედ ეს ხდებოდა სხვადასხვა დროს ადმინისტრაციასთან კონფლიქტის საფუძველი, რასაც, საბოლოოდ, მოჰყვა ლუიზა ლაფერაძის დევნა აკადემიის ადმინისტრაციის მხრიდან. უკვე მრავალი წელია ლუიზა ლაფერაძე ამაოდ ცდილობს, დაიკავოს აკადემიური თანამდებობა და შეძლოს სტუდენტებთან მუშაობა, თუმცა, აკადემიის საკონკურსო კომისიისგან სრულიად დაუსაბუთებელ და არამართლზომიერ უარს იღებს. ლუიზა ლაფერაძეს უკვე მესამედ ეთქვა უარი აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე დისკრიმინაციული მოტივით.

2014 წელს ლუიზა ლაფერაძე ცდილობდა აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობას. 2014 წლის 19 აგვისტოს №6 სხდომის ოქმის თანახმად, „ლუიზა ლაფერაძის განაცხადი პრინციპში შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებამდე კომისიის წევრების ნაწილმა, რომლებიც მუშაობდნენ აკადემიურ თანამდებობაზე, დააფიქსირეს, რომ ლუიზა ლაფერაძე წლების მანძილზე მუშაობდა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე მოწვეული პედაგოგის თანამდებობაზე და, შესაბამისად, იცნობდნენ მის მოღვაწეობას. ლუიზა ლაფერაძის მხრიდან ხშირი იყო არაკოლეგიალური ქცევა, რაც არასახარბიელოდ აისახებოდა საგანმანათლებლო პროცესზე“.

[6] https://www.youtube.com/watch?v=94r1mKY1J_w და http://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/6538-dedashenebispartiashishviliqarthulocnebashi.

ლუიზა ლაფერაძე მიიჩნევს, რომ დასაქმებაზე უარის თქმა განპირობებულია მისი პოლიტიკური და სხვა შეხედულებებით.

საქმის მნიშვნელობა: პოლიტიკური და სხვაგვარი შეხედულებების მიუხედავად, აკადემიური თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა.

სამართლებრივი დასაბუთება: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის პირველი მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით იკრძალება პირდაპირი დისკრიმინაცია. მოსარჩელე ისევე აკმაყოფილებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, იქნება ეს განათლება, პროფესიული გამოცდილება თუ პროფესიული უნარები, როგორც მისი კონკურენტები. ამის მიუხედავად, მისი განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაყენება მოხდა პოლიტიკური და სხვაგვარი შეხედულებების გამო. ეს კი იკრძალება კანონმდებლობით.

კანდიდატების შერჩევა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს მათ შორის ყველაზე მისაღები. დისკრეციული უფლებამოსილების კანონის ფარგლებში გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს სცილდება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია თანასწორობის პრინციპის დარღვევით.

საქმის მიმდინარეობა: საანგარიშო პერიოდში ლუიზა ლაფერაძემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელსაც ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. ლუიზა ლაფერაძე სასამართლოსაგან ითხოვს, რომ დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის თანახმადაც ის დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას. ასევე, მოსარჩელე ითხოვს დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენას და მორალური ზიანის ანაზღაურებას 3000 ლარის ოდენობით.

2.7. ნ.ნ. და მ.კ. მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელეები უდავოდ წარმოადგენენ „სვანეთის ახალგაზრდული მოძრაობის" ლიდერ პირებს, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებიან სვანეთში დაგეგმილი 57 ჰესის მშენებლობას. ისინი ხშირად არიან აქციის ორგანიზატორები, გამოდიან აქციაზე სიტყვით და მედიაში ახმოვანებენ მოძრაობის პოზიციას. გარდა ამისა, ისინი მოსახლეობის სახელით მოძრაობის სხვა წევრებთან ერთად ხშირად ესწრებიან შეხვედრებს სახელმწიფოს, კომპანიისა და სხვა პირების მონაწილეობით, მართავენ საჯარო შეხვედრებს ან არიან მათი თანაორგანიზატორები. მოსარჩელეები, იმავდროულად, იყვნენ მესტიის მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის თანამშრომლები.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი რეგიონში ჰესების მშენებლობას „სასიცოცხლოდ აუცილებელ" პროექტად მიიჩნევს და ღიად აფიქსირებს მხარდაჭერას ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, სვანეთის ახალგაზრდულ მოძრაობას და, მათ შორის, მოსარჩელეებს, მასთან პოლიტიკურად დაპირისპირებული პარტიის წარმომადგენელთან აიგივებს და, როგორც ოპონენტებს, ისე განიხილავს.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა სვანეთში ჰესების მშენებლობის აქციების ერთ-ერთი გააქტიურების პერიოდში მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის აიპების რეორგანიზაციისა და, შედეგად, ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგე პირების სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ კრიტიკული მოსაზრების გამოთქმის გამო შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციას.

სამართლებრივი გარემოებები: მოცემულ საქმეში მოსარჩელე მხარე ეყრდნობა ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მხრიდან რეორგანიზაცია, რომელსაც მოჰყვა მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლება, განხორციელდა დისკრიმინაციული მოტივით, ვინაიდან სამსახურიდან მხოლოდ მოსარჩელეები გათავისუფლდნენ. ასევე, მოგვიანებით, ახალი აიპ-ის დაფუძნების შემდგომ, ხელმძღვანელობამ, მერთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება ჰესების მოწინააღმდეგე სხვა აქტივისტების გათავისუფლების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის აიპების გაერთიანების საფუძველი მათი ეკონომიკური

ეფექტურობა და მართვის გამარტივება იყო, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ საშტატო ნუსხა უმნიშვნელოდ შემცირდა (4 შტატი), ხოლო სახელფასო ბიუჯეტი გაიზარდა, რაც რეორგანიზაციის მათსავე საფუძვლებს ეწინააღმდეგება.

საქმის მიმდინარეობა: საანგარიშო პერიოდში სარჩელი შევიდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. ამავე პერიოდში დასრულდა მთავარი სხდომა პირველი ინსტანციის სასამართლოში. საანგარიშო პერიოდში ამ საქმეზე გადაწყვეტილება არ გამოცხადებულა.

3. რელიგია

კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით რელიგია პირდაპირ გათვალისწინებულ კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა არადომინანტი რელიგიური ჯგუფების მიერ საკულტო ნაგებობების მშენებლობის და საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხი.

3.1. ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს და TDI-ს მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: მუსლიმი მრევლის თვითორგანიზებითა და წარმომადგენლობით დარეგისტრირდა ორგანიზაცია ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“. მაშინ, როდესაც სახელმწიფომ მუსლიმ თემს არ გადასცა მეჩეთის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი, 2016 წლის 7 სექტემბერს მუსლიმმა თემმა, მრევლის შემოწირულობების საფუძველზე, განვადებით შეისყიდა ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთი ახალი მეჩეთის ასაშენებლად. 2017 წლის 8 თებერვალს ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“ განცხადებით მიმართა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და ფონდის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის 1-ლი სტადიის გაცემა, საკულტო ნაგებობის – მეჩეთის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა მოითხოვა. 2017 წლის 4 მაისს, რამდენიმეთვიანი ადმინისტრაციული წარმოების შემდგომ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოსცა ბრძანება სამშენებლო მიწის ნაკვეთზე სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო, მითითებული აქტის საფუძველზე, მოსარჩელეს, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 მაისის ბრძანების საფუძველზე, უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე.

საქმის მნიშვნელობა: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი – ორთა ჯამეს ისტორიული მეჩეთი მდებარეობს. აღნიშნული სივრცე მლოცველებს ვერ იტევს, რის გამოც, ყოველ პარასკევს, ჯუმას ლოცვის დროს, რამდენიმე ასეულ ადამიანს (500-დან 1000-მდე მლოცველს) ქუჩაში, არასათანადო პირობებში უწევს ლოცვა. სადღესასწაულო ლოცვების, ბაირამის დროს, მეჩეთში, ლოცვის მიზნით, 3000-დან 5000-მდე ადამიანი გროვდება. ასეთ დღეებში მრევლის დიდი ნაწილი, ათასობით მუსლიმი, იძულებულია, წვიმაში, თოვლსა და ქარში ქუჩაში ილოცოს. ასეთი სივიწროვე და გარემო ფაქტორები მუსლიმი ქალების დიდ ნაწილს სრულად ართმევს ლოცვის აღსრულების საშუალებას. შესაბამისად, ქალაქ ბათუმში მეჩეთის აშენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუსლიმი თემისთვის.

სამართლებრივი დასაბუთება: მშენებლობის ნებართვის 1-ლი სტადიის გაცემის თაობაზე მერიის სადავო გადაწყვეტილებაში ძირითადად ორი არგუმენტია გამოყენებული: 1. სამშენებლო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6), რომელიც არის მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა და მისი განაშენიანების დომინირებულ სახეობას წარმოადგენს საცხოვრებელი სახლები. ამის გამო საკულტო ნაგებობა არ უნდა აშენდეს; 2. საკულტო ნაგებობას ესაჭიროება განსაკუთრებული ინფრასტრუქტურა გადაადგილების, ავტოტრანსპორტის მოძრაობის, გაჩერების და სხვა თვალსაზრისით, რომლის მოწყობა რთულია მითითებულ მიწის ნაკვეთზე.

მოსარჩელე მხარის შეფასებით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის არგუმენტები აშკარად დაუსაბუთებელი და უკანონოა. კერძოდ, ადგილობრივმა თვითმმართველობამ საცხოვრებელ ზონაში საკულტო ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე დისკრეციული უფლებამოსილება კანონის მოთხოვნების დარღვევით გამოიყენა და ქალაქში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებულ მწვავე სოციალურ საჭიროებას მხოლოდ ქალაქგანვითარების აბსტრაქტული ინტერესი დაუპირისპირა, რითაც, მოცემულ შემთხვევაში, რელიგიის თავისუფლების დაცვის აღმატებული საჯარო ინტერესი სრულად უგულებელყო. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები, მითითებულ ზონაში ასევე დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა. აღსანიშნავია, რომ სწორედ მითითებული დათქმის შესაბამისად, კანონმდებლობის თანახმად, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, საცხოვრებელ ზონა 6-ში, დაშვებულია „საეკლესიო ობიექტების“ მშენებლობა. „საეკლესიო ობიექტი“ უნდა განიმარტოს არადისკრიმინაციულად და ნეიტრალურად, რაც, ეკლესიის გარდა, სხვა სახის საკულტო ნაგებობებსაც მოიაზრებს. თავის მხრივ, ასეთი დანიშნულების ობიექტის მშენებლობისთვის საჭიროა სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღება.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის განმავლობაში ბათუმის მეჩეთთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში გაიმართა ერთი სასამართლო სხდომა, რომელზეც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა ვახტანგ გედენიძემ განაცხადა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალი მერის, ლაშა კომახიძის სურვილს წარმოადგენდა დავის საგანზე მოსარჩელე მხარესთან მოლაპარაკების წარმოება. სასამართლო სხდომა სწორედ მითითებული საფუძვლით გადაიდო და სასამართლოს მიერ მხარეებს მიეცათ 1-თვიანი ვადა დავის საგანზე მოლაპარაკების მიზნით. 2018 წლის 3 აპრილს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით მხარეთა შორის შედგა შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის გამგეობის წევრები, ასევე, ფონდის ინტერესების წარმომადგენელი იურისტები და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, მათ შორის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა კომახიძე.

მერის შეთავაზების თანახმად, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ახალი მეჩეთის მშენებლობა: 1. ა(ა)იპ ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა სასამართლოდან უნდა გამოიხმოს სარჩელი; 2. ფონდმა მეჩეთის ასაშენებლად შეძენილი მიწის ნაკვეთი საკუთრებაში უნდა გადასცეს სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, რომელიც შემდგომ მიმართავს ქალაქის მერიას მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მისაღებად. მერის განცხადებით, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო არის სახელმწიფოსგან სხვადასხვა ბენეფიტის მიმღები სუბიექტი. სახელმწიფო მას აფინანსებს, გადასცემს მეჩეთებსა და მედრესეებს და ამიტომ მხოლოდ ეს ორგანიზაცია შეიძლება გახდეს სახელმწიფოსთან ურთიერთობების მონაწილე.

შეხვედრის ფარგლებში ფონდმა მერიას გაუზიარა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის 2018 წლის 18 თებერვლის საერთო კრების ოქმი, რომელშიც მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის შეძენილ მიწის ნაკვეთზე საკუთრება უპირობოდ მუსლიმ მრევლს ეკუთვნის და მესამე პირებთან წარმომადგენლობას მხოლოდ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი გაუწევს. შეხვედრის ფარგლებში ფონდმა მკაფიოდ გავუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მუსლიმი მრევლის მყარი ნებაა, მეჩეთის მშენებლობის საკითხი მათ მიერ დაფუძნებულმა და სწორედ მრევლის წინაშე ანგარიშვალდებულმა ფონდმა აღასრულოს, რადგან სახელმწიფოს მიერ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ინსტრუმენტალიზების პოლიტიკის პირობებში, საზოგადოების ნდობა სამმართველოს მიმართ შესუსტებულია. შესაბამისად, ფონდმა შეხვედრის ფარგლებში განუმარტა მერიას, რომ მისთვის ისეთი ხასიათის წინადადების შეთავაზება, რომელიც ამ პროცესიდან მთლიანად გამორიცხავდა ფონდის მონაწილეობას, დასაწყისშივე მიუღებელი იყო. მოლაპარაკების პროცესის უშედეგოდ დასრულების თაობაზე ეცნობა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და რამდენიმეჯერ ეთხოვა სხდომის თარიღის განსაზღვრა, თუმცა, საანგარიშო პერიოდში სხდომა არ ჩანიშნულა.

3.2. არარეგისტრირებული კავშირი „იმამ ალის მეჩეთის შურა“ ქონების მართვის სააგენტოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ქ. მარნეულში მდებარეობს 1739 წელს აშენებული იმამ ალის მეჩეთი, რომელიც საბჭოთა მმართველობის პერიოდში სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა და ფაქტობრივად ამორტიზირებული იყო. 1998 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ, საკუთარი ინიციატივითა და დაფინანსებით, საკულტო ნაგებობა აღადგინა. აღდგენითი სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფა, მეჩეთთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის მეჩეთში სასულიერო პირების არჩევა, განხორციელდა დამოუკიდებლად, ადგილობრივი მაცხოვრებლების (მეჩეთის მრევლის) მიერ.

2004 წლიდან იმამ ალის მეჩეთში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანო – მეჩეთის შურა (საბჭო), რომელიც სხვა რელიგიური ორგანიზაციებისა და პოლიტიკური ინსტიტუტებისგან დამოუკიდებლად, დემოკრატიულად, მეჩეთის მრევლის ნების საფუძველზე ახორციელებდა მეჩეთის მმართველობასა და რელიგიურ საქმიანობას. ვინაიდან 2004 წლის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციას, საბჭო საკუთარ საქმიანობას წარმართავდა არარეგისტრირებული კავშირის ფორმით. იმის გამო, რომ არ არსებობდა ამის ფაქტობრივი საჭიროება, საბჭოს 2011 წლის შემდეგაც არ გაუვლია რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 19/08/2011 წლის №05/18464 მიმართვის საფუძველზე, იმამ ალის მეჩეთი სახელმწიფოს საკუთრებაში დარეგისტრირდა. მოგვიანებით, 2014 წლის 31 დეკემბერს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ №5/51681 წერილის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ 2014 წლის 23 დეკემბრის №1/746 წერილს ეფუძნებოდა, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით გადაეცა 22 მეჩეთი, მათ შორის, იმამ ალის მეჩეთი. აღნიშ-

ნული პროცესი სრულიად უცნობი იყო არარეგისტრირებული კავშირისთვის, რომელიც დღემდე ახორციელებს მეჩეთთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

საქმის მნიშვნელობა: ეს საქმე კარგად წარმოაჩენს სახელმწიფოს მიკერძოებულ დამოკიდებულებას სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მიმართ.

სამართლებრივი დასაბუთება: არარეგისტრირებული კავშირის იურიდიული ინტერესი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" სადავო აქტის მიმართ, სწორედ იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ" იმამ ალის მეჩეთის გადაცემა (დაბრუნება) განახორციელა იმ რელიგიური ორგანიზაციისთვის (სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო"), რომელსაც უშუალო ისტორიული (კონფესიური) კავშირი არ გააჩნია იმამ ალის მეჩეთთან. არარეგისტრირებული კავშირის - „იმამ ალის მეჩეთის" მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ადმინისტრაციულ საჩივარზე დანართების სახით წარდგენილი იყო არაერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა მოსარჩელის ისტორიულ და კონფესიურ კავშირს სადავო საკულტო ნაგებობასთან, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 7 ივლისის №1-1/290 ბრძანებით, წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველად იყო დატოვებული მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო მეჩეთთან მიმართებით კანონით გათვალისწინებული უფლების დამდგენი დოკუმენტის წარდგენა.

იმამ ალის მეჩეთის რელიგიური ორგანიზაციისთვის გადაცემის საკითხი არსებითად უკავშირდება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული კონფესიური ქონების რელიგიური ორგანიზაციებისთვის დაბრუნების პოლიტიკას, რომლის სამართლებრივი მოწესრიგება, სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში არ მომხდარა. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემა სპეციალური სამართლებრივი რეგულირების გარეშე ხორციელდება. ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, მოქმედი საკულტო ნაგებობები, სადაც რელიგიური ორგანიზაციები შესაბამის რელიგიურ რიტუალებს აღასრულებენ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს") მიმართვის საფუძველზე, რეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებად, რის შემდგომაც, სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს" რეკომენდაციით, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" სარგებლობის უფლებით გადასცემს შესაბამის რელიგიურ ორგანიზაციას.

აღსანიშნავია, რომ სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო", როგორც რელიგიის სფეროში კვლევითი სამუშაოების განმახორციელებელი და პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო ორგანო, იკვლევს და რეკომენდაციას გასცემს საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების ისტორიული (კონფესიური) მესაკუთრის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რისთვისაც, პირველ რიგში, აუცილებელია ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა. ამის შემდგომ სააგენტოს მიერ გაიცემა რეკომენდაცია (შუალედური აქტი) სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს", როგორც სახელმწიფოს ქონების განმკარგავი სუბიექტის მიმართ, რომელიც მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე გამოსცემს საბოლოო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობის განკარგვის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამავე კოდექსის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მონაწილეობა საქმეში.

მითითებულ შემთხვევაში სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ" დაარღვია აღნიშნული ნორმებით განსაზღვრული ვალდებულებები, ვინაიდან არ გამოიკვლია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები იმამ ალის მეჩეთის კონფესიური/ისტორიული კუთვნილების თაობაზე. აღნიშნული ორმაგ მნიშვნელობას იძენს იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოსთვის კარგად

არის ცნობილი, რომ საბჭოთა პერიოდში არსებული მუსლიმი თემის წარმომადგენელი ორგანიზაციის უშუალო, ერთპიროვნული სამართალმემკვიდრე არ არსებობს და მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, დღესდღეობით ოთხი რელიგიური ორგანიზაციაა რეგისტრირებული. აღნიშნულის გარდა, საქმიანობას ახორციელებენ არასამეწარმეო იურიდიული პირისა და არარეგისტრირებული კავშირის სახით ჩამოყალიბებული რელიგიური ორგანიზაციები.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 19 აგვისტოს №05-18464 მიმართვის საფუძველზე, სახელმწიფოს საკუთრებაში დარეგისტრირდა 191 მეჩეთი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მეჩეთთაგან, სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ რეკომენდაციის საფუძველზე, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ გადაწყვეტილებით, 83 მეჩეთი სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ გადაეცა სარგებლობაში. თუმცა, ისევე, როგორც იმამ ალის მეჩეთის გადაცემის თაობაზე გაცემული რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელი მხარისთვის უცნობია, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა იმ რელიგიური ორგანიზაციის განსაზღვრა, რომელსაც საკულტო ნაგებობა უნდა გადასცემოდა.

შესაბამისად, სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ რეკომენდაციების საფუძველზე, „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მხრიდან 2014 წლიდან დღემდე ყველა ისლამური საკულტო ნაგებობის სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ სარგებლობაში გადაცემა და აღნიშნული ორგანიზაციის ცალსახა პრივილეგირება, სახელმწიფოს მხრიდან მისი კაპიტალისა და ზეგავლენების გაძლიერების მცდელობაა და რელიგიის სფეროში ნეიტრალიტეტის დარღვევის მნიშვნელოვან ეჭვებს აჩენს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, ტრადიციულად, რელიგიური თემები არსებობენ გარკვეული ორგანიზაციული ფორმით. ისინი ემორჩილებიან წესებს, რომლებიც ხშირად მრევლის მიერ აღქმულია, როგორც ღვთაებრივი წარმომავლობის წესები. მე-9 მუხლის მიზნებისთვის, მორწმუნეების უფლება რელიგიის თავისუფლებაზე მოიცავს შესაბამის მოლოდინს, რომ რელიგიურ თემს ექნება შესაძლებლობა, იარსებოს მშვიდობიანად, სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისგან თავისუფალ გარემოში. რელიგიური თემების ავტონომიურობა წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში პლურალიზმის აუცილებელ გარემოებას და, შესაბამისად, არსებითად უკავშირდება კონვენციის მე-9 მუხლის დაცვის სფეროს.[7] დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო არ უნდა იღებდეს რაიმე სახის ზომებს რელიგიური თემების ერთიანი მმართველობის ქვეშ მოქცევის მიმართულებით.[8]

მითითებული ქმედების განხორციელებისა და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის მიზეზი არ შეიძლება იყოს რელიგიურ თემთა შორის არსებული შესაძლო დაძაბულობის პრევენცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ რელიგიური თუ სხვა სახის თემის დაყოფა, შესაძლოა, იწვევდეს დაძაბულობას, მაგრამ აღნიშნულს განიხილავს, როგორც პლურალიზმის აუცილებელ შედეგს. ასეთ სიტუაციაში სახელმწიფოს როლს წარმოადგენს არა დაძაბულობის განმუხტვა პლურალიზმის აღმოფხვრით, არამედ კონკურენტი ჯგუფების ურთიერთტოლერანტობის უზრუნველყოფა.[9]

ფორმალურ-სამართლებრივი ინტერესის გარდა, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას კავშირის მიერ რელიგიის თავისუფლებით სარგებლობას. როგორც უკვე აღინიშნა, ა/კ „იმამ ალის მეჩეთი“ წლების განმავლობაში, დღემდე ახორციელებს რელიგიურ საქმიანობას იმამ ალის მეჩეთში. აღნიშნული მეჩეთი ერთადერთ საკულტო ნაგებობას წარმოადგენს, სადაც რელიგიური გაერთიანება კონფესიურ საქმიანობას ახორციელებს. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მითითებული საკულტო ნაგებობის მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო, ხოლო „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სადავო აქტით სახელმწიფოს მიერ საკულტო ნაგებობა სარგებლობის უფლებით გადაეცა სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“, სამართლებრივად უძრავი ნივთის (საკულტო ნაგებობის) მესაკუთრემ და მფლობელმა, შესაძლებელია, აუკრძალონ არარეგისტრირებულ კავშირს მეჩეთში რელიგიური საქმიანობის განხორციელება, რაც მოსარჩელის რელიგიის თავისუფლებაში უხეში ჩარევის რეალურ საშიშროებას წარმოადგენს.

საქმის მიმდინარეობა: თბილისის საქალაქო სასამართლომ ა/კ „იმამა ალის მეჩეთის“ სარჩელი არ და-

[7] ECHR CASE OF HASAN AND CHAUSH v. BULGARIA A. no.30985/96; 26/10/2000; P-62 ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58921.

[8] ECHR SERIF v. GREECE A. no. 38178/97; 14/12/1999; P-52; ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58518.

[9] (ECHR SERIF v. GREECE A. no. 38178/97; 14/12/1999; P-53; ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58518.

აკმაყოფილა და მხოლოდ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ „არარეგისტრირებული კავშირი არ წარმოადგენს სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ სარგებლობაში მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტს. შესაბამისად, მოსარჩელეს, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე, არ გააჩნია უფლებამოსილება, აღირიცხოს მის მფლობელობაში არსებული ქონების მოსარგებლედ. ამასთან, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ საქმიანობა და მიზნები არ ითვალისწინებს კონკრეტული მეჩეთით სარგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობას, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2014 წლის 31 დეკემბრის №5/51681 წერილი ვერ ჩაითვლება მოსარჩელისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის განმაპირობებელ აქტად. ამდენად, მოსარჩელის ინტერესი მითითებული წერილის ბათილად ცნობის მიმართ დაუსაბუთებელია, რაც გამორიცხავს მისი, ასევე, მასზე წარდგენილი საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 7 ივლისის №1-1/290 ბრძანების ბათილად ცნობას“. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელსაც საანგარიშო პერიოდში გადაწყვეტილება არ მიუღია.

3.3. სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს და TDI-ს მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: აღმაშენებლის №38-ში მდებარე საკულტო ნაგებობის სომხური წარმომავლობა და ის ფაქტი, რომ ტაძარი საბჭოთა ოკუპაციამდე სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქიას ეკუთვნოდა, არაერთი წყაროთი დასტურდება. აღმაშენებლის №38-ში შემორჩენილია სომხურენოვანი წარწერა შემდეგი შინაარსით: „ეს სასწავლებელი აშენებულია პირადი სახსრებით, თბილისელი ქვრივის, კეკელ გრიგორიან-თანდოიანცის მიერ, წარმომავლობით ბაბანასეანისა მისი ძმის ალექსანდრე გრიგორიან-ბაბასიანის ხელშეწყობით, მათი და ამ ეკლესიის ამშენებლების სულების მოსახსენიებლად, რომლებიც დაკრძალულნი არიან ამ ტაძარში – სააკ თანდოიანცის ეკლესიაში ... 1883წ.“ ეკლესიის სომხურ წარმოშობაზე ინფორმაცია გვხვდება სხვა წყაროებშიც. ხელოვნებათმცოდნე სოფიო ჭანიშვილის კვლევაში მითითებულია ლეონ მელიქსეთ-ბეგის ცნობები ტაძრის შესახებ: „წმ. ღმრთისმშობლის ეკლესია, სავარაუდოდ, 1860 წელს ააგო საჰაკ თანდოიანცმა. თბილისის 1867 წლის გეგმაზე უკვე ნათლად ჩანს აქ არსებული ეკლესია. [...] ტერიტორიის მიმდებარედ დგას ყოფილი სასწავლებლის შენობა [...] შენობაზე დღემდე არის შემორჩენილი ფილა სომხურენოვანი წარწერით. წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული სასწავლებელი აშენებულა 1883 წელს თბილისელი ქვრივის კეკელა გრიგოლის ასული თანდოიანცისა და მისი ძმის ალექსანდრე ბაბანასიანცის ღვაწლით”. საკუთარ დასკვნაში ხელოვნებათმცოდნე ლალი ანდრონიკაშვილი წერს, რომ დ. აღმაშენებლის გამზირის №38-ში ეკლესიის გვერდით შენობაზე არსებული წარწერა და ამ ტერიტორიაზე შემორჩენილი სხვა დეკორატიული ელემენტები 1883 წლისთვის არსებული სომხური მონასტრის არსებობას ადასტურებს.

2016 წლის 10 თებერვალს აღმაშენებლის №38-ში მდებარე თანდოიანცის ეკლესია, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიმართვის საფუძველზე, სახელმწიფოს საკუთრებაში დარეგისტრირდა. 2017 წლის 28 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი იაკობ იაკობიშვილი განცხადებით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და, ეკლესიის საპატრიარქოს საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით, სახელმწიფოს საკუთრების უფლების გაუქმებას მოითხოვს. განცხადების თანახმად, დ. აღმაშენებლის გამზ. №38-ში მდებარეობს ნაეკლესიარი, რომელიც ისტორიული წყაროებისა და რუკების თანახმად სოფელ კუკიად იყო ცნობილი. ამავე წყაროზე დაყრდნობით, „1800-1802 წლების გეგმაზე აღნიშნული ყოფილა გალავანშემორტყმული ტაძარი, კოშკებჩაბნელებული ბურჯებიანი ციხე-გალავნითა და საკუთარი ბაღით“. საარქივო მასალების თანახმად, მითითებული ეკლესია წარმოადგენს 1814-1816 წლებში მღვდელ პეტრე იმნაძის თაოსნობით აშენებულ წმინდა ჯვრის გამოჩინების სახელობის ტაძარს.

2017 წლის 10 ივლისს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ №1/1-1600 ბრძანებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსის 28.04.2017 წერილის საფუძველზე, არასათანადოდ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გააუქმა ეკლესიაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რითაც შესაძლებელი გახადა ეკლესიაზე საპატრიარქოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. თანდოიანცის ეკლესიაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების შემდგომ, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ, საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, ეკლესია საპატრიარქოს საკუთრებაში დარეგისტრირდა. საჯარო რეესტრის მხრიდან ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებაში მითითებული მოთხოვნის საპირისპიროდ, განმცხადებლის მიერ წარდგენილიყო

საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი. საბოლოო ეტაპზე საჯარო რეესტრმა საკულტო ნაგებობაზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის საკმარის დოკუმენტად მხოლოდ განმცხადებლის მიმართვა (კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის 2016 წლის 23 ივნისის მიმართვა №700) განიხილა.

საქმის მნიშვნელობა: ეს საქმე ეხება პრობლემას, რომელიც რელიგიური უმცირესობებისთვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის სამართლებრივი ბაზის არარსებობაზე მიუთითებს. სახელმწიფომ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონება დაუბრუნა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე. სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ მსგავსი ქმედება არ განუხორციელებია. ეს საქმე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ დაცული იყოს საქართველოში არსებული ეთნიკური სომხების კუთვნილი ისტორიული მემკვიდრეობა.

აღნიშნული ძეგლები სომეხი და ქართველი ხალხის მშვიდობიანი, კეთილმეზობლური თანაცხოვრების არტეფაქტებია და, კულტურულ მრავალფეროვნებასთან ერთად, სოციალური ღირებულებაც აქვს. ამჟამინდელი მესაკუთრის გაცხადებულ ნებას წარმოადგენს თანდოიანცის ეკლესიის სწორედ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სახით აშენება, რაც ძეგლზე ისტორიული და კულტურული ღირშესანიშნაობის კვალისა და სომეხთა სამოციქულო ეკლესიასთან მისი კუთვნილების ყველა მახასიათებლის წაშლის საფრთხეს ქმნის.

სამართლებრივი დასაბუთება: აღსანიშნავია, რომ არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება სახელმწიფოს პირდაპირ არ აკისრებს ვალდებულებას, აანაზღაუროს საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის შედეგად მიყენებული ზიანი, ან დააბრუნოს ამ პერიოდში ჩამორთმეული ქონება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი (საკუთრების უფლება) არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს დაეკისროს ვალდებულება, დააბრუნონ ის ქონება, რომელიც მათ კონვენციის რატიფიცირებამდე გადაეცათ. თუმცა, იმავდროულად, სასამართლოს პრაქტიკიდან ნათელია, რომ, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო განახორციელებს კონვენციის, მათ შორის, პირველი დამატებითი ოქმის რატიფიცირებას და მიიღებს კანონმდებლობას, რომელიც წინა რეჟიმის დროს ჩამორთმეული ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ რესტიტუციას ითვალისწინებს, ასეთი კანონმდებლობა განიხილება, როგორც ახალი საკუთრების უფლება პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, იმ პირებისთვის რომლებიც აკმაყოფილებენ ამ უფლებისთვის აუცილებელ წინაპირობებს (იხ. EctHR app. 76943/11 CASE OF LUPENI GREEK CATHOLIC PARISH AND OTHERS v. ROMANIA 19/05/2015 №157).

სამწუხაროდ, სხვა სოციალისტური წარსულის მქონე სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოს რესტიტუციის კანონი არ მიუღია. თუმცა, სახელმწიფომ ადმინისტრაციული პრაქტიკითა და ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმებით ნაწილობრივ მაინც აღიარა ვალდებულება, რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაეცა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ჩამორთმეული საკულტო ნაგებობები.

კერძოდ, წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობა, საქართველოს საპატრიარქოს გარდა, სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების სამართლებრივ დაბრუნებას არ ახორციელებდა. 2014 წლიდან, სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ შექმნის შემდეგ, აღნიშნული პრაქტიკა გარკვეულწილად შეიცვალა და სახელმწიფომ დაიწყო რელიგიური ორგანიზაციებისთვის საკულტო ნაგებობების რეგისტრაცია სარგებლობის უფლებით. მართალია, ეს პროცესი შესაბამისი სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე, ფრაგმენტულად ხორციელდება, თუმცა, აღნიშნული ვალდებულების დეკლარირებამ 2015-2016 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმაში, ისევე როგორც „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ მიერ ქონებრივი და საფინანსო საკითხების მექანიზმების შემოღებამ, არადომინანტ რელიგიურ ჯგუფებს შეუქმნა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების გონივრული და ლეგიტიმური მოლოდინი.

შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მთავრობის დადგენილებით პირდაპირ განისაზღვრა ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების იმ რელიგიური ორგანიზაციებისთვის დაბრუნების ვალდებულება, რომლებსაც გააჩნდათ ისტორიული/კონფესიური კავშირი საკულტო ნაგებობასთან, იმავდროულად, აღნიშნული გამყარებული იყო სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ ჩამოყალიბებული ბოლო წლების პრაქტიკით, სომეხთა ეპარქიას ჰქონდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ სახელმწიფო მას დაუბრუნებდა აღმაშენებლის №38-ში მდებარე საკულტო ნაგებობას.

ძეგლის სომხურ წარმომავლობაზე, არაერთი საარქივო წყაროს გარდა, ნათლად მიუთითებს მისი არსებული არქიტექტურული იერსახე და შენობაზე არსებული სომხურენოვანი წარწერა. შესაბამისად, იმ

პირობებში, როდესაც წლების განმავლობაში არცერთი მხარის მიერ სადავო არ გამხდარა ეკლესიის სომხური კუთვნილება და ეს ნათლად დასტურდება ძეგლის გარეგნული მახასიათებლებითაც, მოსარჩელე მხარეს ლეგიტიმური მოლოდინი ჰქონდა, რომ თანდოიანცის ეკლესიის მისთვის დაბრუნება სახელმწიფოს მხრიდან მარტივად, მის კონფესიურ წარმომავლობაზე დავის გარეშე განხორციელდებოდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის მოცემული ლეგიტიმური მოლოდინი ექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი პუნქტით დაცულ სფეროში.

მოპასუხე სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა“ და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ თანდოიანცის ეკლესიის საპატრიარქოს საკუთრებაში რეგისტრაცია განხორციელდა სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის 2016 წლის 23 ივნისის მიმართვის საფუძველზე.

მითითებული ნორმის თანახმად, სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

ნორმა არ არის თვითაღსრულებადი, რაც გულისხმობს, რომ საპატრიარქოს მხრიდან მხოლოდ ეკლესიის კონფესიურ კუთვნილებაზე ზოგადი მითითება არ წარმოადგენს მასზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძველს, ანუ განმცხადებლის – საქართველოს საპატრიარქოს მიმართვა სამართლებრივად არ შეიძლება იყოს უძრავ ნივთზე, განსაკუთრებით კი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტზე, უფლების დამდგენი დოკუმენტი. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის აუცილებელია შესაბამისი უფლების დამდგენი დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტი კი, კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, შეიძლება იყოს დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც რეალურად ადასტურებს უძრავი ნივთის კონფესიურ/ისტორიულ კავშირს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, შესაბამისად, იძლევა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ძეგლის რეალური ისტორიული მესაკუთრისთვის დაბრუნების შესაძლებლობას. ამისათვის საჭიროა სათანადო სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონფესიური კუთვნილების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი და ყოვლისმომცველი გამოკვლევა, რაც მითითებულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. აღნიშნულის საპირისპიროდ, საჯარო რეესტრი, ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე, მთლიანად, ცალმხრივად დაეყრდნო მხოლოდ განმცხადებლის მიერ წარდგენილ ზოგად მითითებას ეკლესიის კონფესიურ კუთვნილებასთან დაკავშირებით, რომელიც, თავის მხრივ, არ იყო გამყარებული არანაირი ვალიდური მტკიცებულებებით. ასეთი მტკიცებულებების წარდგენა არც თავად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოუთხოვია.

წარმოების მასალებში არსებული ვარაუდი, რომ თანდოიანცის ეკლესია ძველი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ნანგრევებზე შეიძლება იყოს აშენებული, გარდა იმისა, რომ არ არის საკმარისად დასაბუთებული კვლევების გზით, ასევე, არ შეესაბამება სამართლებრივი სტაბილურობისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ინტერესს, რადგან ქვედა, წაშლილი არქეოლოგიური ფენის მიხედვით ძეგლის კუთვნილების განსაზღვრა მთლიანად დაარღვევს არსებულ ისტორიულ და სოციალურ წესრიგს. ამ პირობებში არაერთი შენობა-ნაგებობის ისტორიული და კონფესიური წარმომავლობა გახდება სადავო, რაც, ცხადია, იქცევა კონფლიქტების წარმოშობის მიზეზად. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესის გათვალისწინებით, დაცვის ობიექტს სწორედ არსებული შენობა, როგორც კულტურულად და ისტორიულად ღირებული ძეგლი, და არა მის ქვეშ არსებული არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს. სხვა ქვეყნების რესტიტუციის პოლიტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ჩამორთმეული ქონება სწორედ იმ მესაკუთრეს უბრუნდება, რომელსაც ჩამორთმევის მომენტში ქონება ეკუთვნოდა.

საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ, რა თქმა უნდა, საჯარო რეესტრს ვერ ექნება ისეთი ექსპერტიზის ჩატარების რესურსი, რითაც იგი შეძლებს, დამოუკიდებლად დაადგინოს საკულტო ნაგებობის კონფესიური წარმომავლობა და ამის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე. სწორედ ამიტომ ხაზი უნდა გაესვას საჯარო რეესტრის თანამშრომლობის აუცილებლობას სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან. კერძოდ, 2016 წლის 13 ივნისის საქართველოს მთავრობის №1138 დადგენილებით დამტკიცებული „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ (2016-2017წწ.) თანახმად, „საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების ისტორიული (კონფესიური) მესაკუთრის განსაზღვრის“ ვალდებულება აკისრია სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (სამოქმედო გეგმის 11.1.3.4 პუნქტი).

შესაბამისად, მას შემდეგ, რაც სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის“, განცხადებიდან გამომდინარე, ცნობილი გახდა უძრავი ნივთის საკულტო დანიშნულების შესახებ, სწორედ მითითებულ ადმინისტრაციულ ორგანოებთან სათანადო კომუნიკაციით უნდა გამოეკვლია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. აღნიშნულით, მათ შორის, გამოიკვეთებოდა ამ უწყებებში დაცული მტკიცებულებები ეკლესიის სომხური ეპარქიისთვის კონფესიური კუთვნილების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა საჯარო რეესტრის მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას – საკულტო ნაგებობის იმ რელიგიური ორგანიზაციის საკუთრებაში რეგისტრაციას, რომელსაც არ გააჩნია პირდაპირი კონფესიური კავშირი ეკლესიასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იყო გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

მითითებულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან აღნიშნული ვალდებულებები სადავო აქტების გამოცემისას მთლიანად უგულებელყოფილი იყო, რამაც მოპასუხე მხარე, საბოლოოდ, უკანონო გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

საქმის მიმდინარეობა: აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს ორი დამოუკიდებელი სამართალწარმოება: 1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და 2. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით. 2018 წელს ორივე საქმესთან დაკავშირებით გაიმართა რამდენიმე სასამართლო სხდომა, რომლებზეც განხილული იყო არსებითი ხასიათის შუამდგომლობები სარჩელის დაუშვებლად ცნობის, საქმის წარმოების შეწყვეტისა და საქმეთა გაერთიანების შესახებ. პირველ სამართალწარმოებაში სასამართლომ მოპასუხეთა მოთხოვნა სარჩელის დაუშვებლად ცნობის თაობაზე არ დააკმაყოფილა და სარჩელი დასაშვებად ცნო. აგრეთვე, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა საქმეთა გაერთიანების თაობაზე. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-2 სამართალწარმოების დასრულებამდე საქმის განხილვა უნდა შეჩერებულიყო. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საქმეზე მოპასუხეთა მხრიდან კვლავ დაისვა საკითხი სარჩელის დაუშვებლად ცნობის და საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით 2019 წლის იანვარში სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის დაუშვებლად ცნობის შესახებ, რომლის დასაბუთებული ვარიანტი, დღევანდელი მდგომარეობით, მოსარჩელეს არ ჩაჰბარებია.

3.4. ნ.მ. წალკის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ნ.მ-ს წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში (კიარიაკი) საკუთრებაში აქვს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. ნ.მ-ს 2009 წელს დაეწვა ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე ერთადერთი საცხოვრებელი სახლი, რის გამოც იძულებული გახდა, საცხოვრებლად წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში გადასულიყო, სადაც ამჟამად სხვა პირის საკუთრებაში რეგისტრირებულ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობს. კომპენსაციის მიღების შემდეგ, ნ.მ-მ გადაწყვიტა, სოფელ ახალშენში, საკუთარ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. ნ.მ. არის აჭარიდან ჩამოსახლებული მუსლიმი ხოჯა. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარიდან ჩამოსახლებულ მიგრანტებს არ აქვთ წალკის მუნიციპალიტეტთან ბმის შეგრძნება. ადგილობრივ მუსლიმ თემს არ გააჩნია ჯამე (სალოცავი ადგილი) და, როგორც წესი, სალოცავად კერძო სახლებში იკრიბებიან, ან პარასკევის ჯუმა ლოცვის დროს წალკის ცენტრში მდებარე მეჩეთში ჩადიან. ჯამეს საჭიროების მიუხედავად, ადგილობრივი მუსლიმი თემი ფიქრობს, რომ სანამ სოფელთან მათი კავშირი სამართლებრივად არ გაფორმდება და მათი, როგორც ეკომიგრანტების, ცხოვრება სოფელში კვლავ სადავოა, ჯამეს მშენებლობას აზრი არ აქვს.

ნ.მ-მ სოფელ ახალშენში, საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით, შესაბამისი განცხადებით მიმართა წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რის შედეგადაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №1105 30.06.2017), ხოლო მშენებლობის ნებართვის I სტადიის გაცემის შემდგომ, შეთანხმდა II კლასის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა (წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლის №1222 ბრძა-

ნება 11.07.2017; მშენებლობის სანებართვო მოწმობა №000055). გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, ნ.მ-მ დაიწყო შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების წარმოება, ააშენა საცხოვრებელი სახლის საძირკველი, შეისყიდა სამშენებლო მასალა.

2018 წლის 17 აპრილს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა წალკის მუნიციპალიტეტის მერიას და, საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისგან განსხვავებული სახით აშენების საჭიროებიდან გამომდინარე, მოითხოვა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება (კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში უცვლელი დარჩა შენობის გარე ფასადი და ცვლილება შეეხო მეორე სართულის განშლას).

მითითებული განცხადების საპასუხოდ ნ.მ-ს ეცნობა, რომ მერიამ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 27.04.2018წ. №19/1485 წერილით მიიღო ინფორმაცია, რომ მშენებლობა მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში და მიიჩნევა უკანონოდ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 29-ე მუხლის შესაბამისად, რის გამოც, მშენებლობა უნდა შეჩერებულიყო მანამ, სანამ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან არ იქნებოდა გამოკვეთილი პოზიცია მშენებლობის კანონიერების თაობაზე. წალკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 მაისის №402 ბრძანებით, ბათილად იქნა ცნობილი წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლის 11.07.2017 №1222 ბრძანება მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე და მისი ბათილად ცნობის დღიდან – ამ ბრძანების საფუძველზე გაცემული სანებართვო მოწმობა.

ნ.მ-ის შეფასებით, მითითებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სოფელ ახალშენის მართლმადიდებელი მოსახლეობის 10.04.2018 წერილი, სადაც არასწორად მითითებულია, თითქოს მოსარჩელე აშენებს არა საცხოვრებელ სახლს, არამედ მეჩეთს და მოითხოვენ ობიექტის მშენებლობის შეჩერებას. საგულისხმოა, რომ სოფელ ახალშენის მართლმადიდებელი მოსახლეობის მიერ მსგავსი შინაარსის წერილი აგრეთვე წარდგენილი იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში 2018 წლის 16 აპრილს. ნ.მ-ის თქმით, ის გახდა რელიგიური ნიშნით აღქმითი დისკრიმინაციის მსხვერპლი, როდესაც, იმ ვარაუდით, რომ აშენებდა მეჩეთს, შეუზღუდეს საცხოვრებელი სახლის აშენების უფლება.

საქმის მნიშვნელობა: საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქალაქის მიმართ განხორციელებული აღქმითი დისკრიმინაციის მაგალითს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ნ.მ. არ გეგმავდა მეჩეთის მშენებლობას, თუმცა, დისკრიმინაციის განმახორციელებელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმება სწორედ რელიგიურად მოტივირებულ ქმედებად აღიქვა.

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ არასწორად შეაფასა ის, რომ ნ.მ-ის სახლის მშენებლობა იყო უკანონო. სოფელ ახალშენში მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელსაც აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ეს უკანასკნელი ნ.მ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან 195 მეტრით არის დაშორებული.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა (დამცავი ზონა) არის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში ამ კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაა, მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობა დაიცვას არასასურველი ზეგავლენისგან. ამავე კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით. ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით (36-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

რაც შეეხება ვიზუალური დაცვის არეალს, ეს არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება: ა) ძეგლებისათვის – 300 მეტრის

რადიუსით; ბ) ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისათვის – 500 მეტრის რადიუსით; გ) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისათვის – 1000 მეტრის რადიუსით.

იქიდან გამომდინარე, რომ ძეგლის სტატუსის მქონე საკულტო ნაგებობა საპროექტო მიწის ნაკვეთიდან დაშორებულია 195 მეტრით, მიწის ნაკვეთი არ ექცევა ძეგლის ფიზიკური დაცვის ზონაში. 36-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, საპროექტო მიწის ნაკვეთისა და კულტურული ძეგლის ადგილმდებარეობისა და კონფიგურაციის გათვალისწინებით, მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ვერანაირ ფიზიკურ ზეგავლენას ვერ მოახდენდა ძეგლზე, ხელს ვერ შეუშლიდა ძეგლის აღქმადობას და ვერ შეამცირებდა მის მნიშვნელობას, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, სადავო აქტებით გაბათილდა აღმჭურველი აქტები, რომელთა მიმართაც მოსარჩელეს გააჩნდა კანონიერი ნდობა, შესაბამისად, მათი გაბათილება იყო დაუშვებელი. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუფასებია და არ დაუდგენია სამშენებლო პროექტის გავლენა ძეგლის აღქმადობაზე.

საქმის მიმდინარეობა: თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ 2018 წლის 27 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება ნ.მ-ს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას სასამართლომ ზეპირსიტყვიერად განმარტა, რომ იზიარებდა მოსარჩელის პოზიციას უფლების შემზღუდველი აქტების გამოსაცემად საჭირო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესების დარღვევის თაობაზე და მიუთითა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს, დადგენილი წესების შესაბამისად, ჩაეტარებინათ ადმინისტრაციული წარმოება. საანგარიშო პერიოდში EMC-ს სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება არ ჩაჰბარებია.

3.5. „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“ არის შიიტური რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო წარმოადგენს საქართველოში მცხოვრებ შიიტ მუსლიმთა რელიგიური ინსტიტუტების (მეჩეთების, ჰუსეინეების, საშუალო, უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრების, მედრესეების, რელიგიური დანიშნულების მქონე შენობა-ნაგებობების და ისლამური რელიგიური დაწესებულებების) გამაერთიანებელ ადგილობრივ დამოუკიდებელ უმაღლეს სასულიერო ცენტრს“. ამავე წესდების 2.1. მუხლის თანახმად: „სამმართველოს მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში შიიტური ისლამური გაერთიანებების, ცენტრების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, მედრესეების საქმიანობას“. წესდების 2.2. მუხლის თანახმად, სამმართველოს მიზანია: „განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ისლამის შიიტური ფრთის წარმომადგენლების ინტერესების დაცვა და ადვოკატირება“. წესდების 2.3. მუხლის თანახმად, სამმართველო მიზნად ისახავს ყურანის მოთხოვნებსა და დებულებებზე, წმინდა წინასწარმეტყველისა და 12 იმამის საქმეებზე დაყრდნობით, მთელი საშარიათო და, აგრეთვე, თავიანთი იურისდიქციის ქვეშ არსებული რელიგიური საზოგადოებების საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტას.

ამგვარად, მომჩივანი ორგანიზაცია გამოხატავს მუსლიმთა შიიტური თემის ინტერესებს. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც ქ. მარნეულში, ასევე სხვადასხვა სოფელში, სადაც ძირითადად ისლამის აღმსარებლობის მოსახლეობა ცხოვრობს, ასევე, მუსლიმური სასაფლაოების სიახლოვეს, მრავლად არის განთავსებული ქრისტიანული რელიგიური სიმბოლიკა.

2017 წელს სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს“ თავმჯდომარემ განცხადებით მიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“, მიაწოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული სიმბოლიკის განთავსების შესახებ ინფორმაცია და ადრესატებს სთხოვა, გაერკვიათ, რა სამართლებრივი საფუძველი არსებობდა სიმბოლიკის განთავსებასთან დაკავშირებით. სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ 2017 წლის 13 სექტემბრის №1/1105 წერილით განმცხადებელს ეცნობა, რომ, საქართველოს კანონმდებლობით, რელიგიური სიმბოლიკის აღმართვის სპეციალური წესი არ არსებობს.

2018 წლის 26 თებერვალს სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმა-

რთველოს“ თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას, აცნობა, რომ ჰქონდა სურვილი, ქ. მარნეულში აღემართა მუსლიმური რელიგიური სიმბოლიკა და სთხოვა, მოეწოდებინა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ადგილების ჩამონათვალი, სადაც ამგვარი სიმბოლიკის განთავსება შესაძლებელი იქნებოდა. განმცხადებელი ასევე გამოთქვამდა მზადყოფნას, გაევლო ყველა საჭირო პროცედურა, რაზეც მუნიციპალიტეტის მერია მიუთითებდა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 20 აპრილის წერილით განმცხადებელ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლა საკითხი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსებასა და რელიგიური სიმბოლოებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილების გამოყოფასთან დაკავშირებით, თუმცა, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია შესაძლებლობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოს ადგილები რელიგიური სიმბოლოების განსათავსებლად.

საქმის მნიშვნელობა: ამ ეტაპზე საჯარო ადგილებში მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლიკაა აღმართული და არ არსებობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სადაც სხვა კონფესიების რელიგიური სიმბოლოები იქნება განთავსებული. სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის პრინციპს ამ კუთხით შერჩევითი ხასიათი აქვს.

სამართლებრივი გარემოებები: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, „კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რელიგიის ან რწმენის მიუხედავად.

ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით“.

დისკრიმინაციის დასადგენად უნდა დადასტურდეს, რომ პირს/პირთა ჯგუფს: ა) მოექცნენ იმავე მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთაგან განსხვავებულად აკრძალული საფუძვლით; ბ) არ არსებობს მოპყრობაში განსხვავების გონივრული და ობიექტური გამართლება. მოცემულ საქმეში შეგვიძლია გამოვყოთ პირთა ორი კატეგორია: 1. ქრისტიანული აღმსარებლობის პირები, რომელთაც თავისუფლად განათავსეს საკუთარი რელიგიური სიმბოლიკა (ჯვრები) მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში არსებულ ქონებაზე; 2. ისლამის აღმსარებლობის პირები, რომელთაც არ მიეცათ შესაძლებლობა, განეთავსებინათ საკუთარი რელიგიური სიმბოლიკა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, ისევე როგორც თავად მერი, არ განმარტავს, რატომ აქვს ქრისტიანული აღმსარებლობის პირს უფლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმართოს საკუთარი რელიგიური სიმბოლიკა – ჯვარი – და რატომ ვერ მოიძებნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუსლიმური რელიგიის სიმბოლიკის აღმართვისთვის შესაბამისი ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე დიფერენციაციის გამამართლებელ არგუმენტად სეკულარიზმის პრინციპს მოიყვანს, გაუგებარი იქნება, ეს პრინციპი რატომ არ გახდა ხელის შემშლელი ქრისტიანული რელიგიური სიმბოლიკის განსათავსებლად. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის არგუმენტი იქნება ის, რომ ქრისტიანული რელიგიური სიმბოლიკა მათთან შეთანხმების გარეშეა აღმართული, მოპასუხის უმოქმედობა პროცედურების დაუცველად აღმართული სიმბოლიკის ადგილზე დატოვების შესახებ მიანიშნებს, რომ მოპასუხის პოლიტიკა დისკრიმინაციულია.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 17 მაისს „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესმა სამმართველომ“ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს და მოითხოვა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა და მარნეულის მერისთვის რეკომენდაციით მიმართვა საჯარო ადგილებში მუსლიმური რელიგიური სიმბოლიკის განთავსების უზრუნველსაყოფად.

3.6. რ.ნ. სსიპ „შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: რ.ნ. არის ეთნიკურად ირანელი საქართველოს მოქალაქე. იგი დაიბადა და გაიზარდა ირანში, მუსლიმთა ოჯახში. მოგვიანებით, მან მიიღო ქრისტიანობა და საკუთარი რელიგიური პრაქტიკის განხორციელება, ირანში არსებული რელიგიური დევნის გამო, ფარულად, საცხოვრებელ სახლებში დაფუძნებულ ეკლესიებში დაიწყო. 2011 წელს რ.ნ. ირანში რელიგიური საქმიანობისთვის დააკავეს. ციხეში ყოფნის პერიოდში ის არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა. აღ-

ნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ირანის ტერიტორია და სხვა ქვეყანაში გაეგრძელებინა ცხოვრება, სადაც ზეწოლისა და შიშის გარეშე შეძლებდა საკუთარი რელიგიის თავისუფლად გამოხატვას და პრაქტიკის აღსრულებას.

ირანის დატოვების შემდეგ, 2011 წლიდან, განმცხადებელი ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. 2013 წელს რ.ნ-მ დააფუძნა რელიგიური ორგანიზაცია, რომლის მიზანს წარმოადგენს ქრისტეს სიტყვების გავრცელება და მშვიდობის, სიყვარულისა და თავისუფლების ქადაგება. ამასთან, აღნიშნული ორგანიზაცია საქართველოდან ეხმარება ირანში არსებულ სახლ-ეკლესიებს. ორგანიზაცია ასევე თანამშრომლობს თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ რელიგიურ ორგანიზაციებთან.

2018 წლის თებერვალში განმცხადებელი ეწვია თურქეთში არსებულ ერთ-ერთ ასეთ სახლ-ეკლესიას. აღნიშნული ვიზიტის შემდეგ, 2018 წლის 7 თებერვალს, ის მეგობართან ერთად ბრუნდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. საზღვრის გადმოკვეთისას საქართველოს საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებმა შეამოწმეს მისი ბარგი, სადაც ინახებოდა განმცხადებლის კუთვნილი ბიბლია, რომელიც შესრულებულია სპარსულ ენაზე. საქართველოს საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებმა განმცხადებელს დაუსვეს კითხვები წიგნის შინაარსის შესახებ, რაზეც რ.ნ-მ განუმარტა, რომ წიგნი წარმოადგენდა მის კუთვნილ ბიბლიას სპარსულ ენაზე. განმცხადებელმა ასევე მიუთითა წიგნის პირველ გვერდზე არსებულ ინგლისურ წინასიტყვაობაზე, სადაც უშუალოდ იყო აღწერილი წიგნის შინაარსი. ამასთან, განმცხადებელმა საბაჟოს წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მას ოფიციალურად ჰქონდა შემოტანილი აღნიშნული წიგნები საკუთარი რელიგიური ორგანიზაციის სახელით, რის თაობაზეც ინფორმაციის გადამოწმება შესაძლებელი იყო შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე – www.rs.ge.

საბაჟოს წარმომადგენლები, აღნიშნული განმარტებების მიუხედავად, განმცხადებელს ჯიუტად უმეორებდნენ, რომ წიგნი სპარსულად იყო და მათ არ ესმოდათ მისი შინაარსი. მათ იკითხეს, იყო თუ არა ეს წიგნები მართლმადიდებლური ბიბლიის მსგავსი. საბაჟოს წარმომადგენლების ყველა შეკითხვაზე დასაბუთებული პასუხის გაცემის მიუხედავად, განმცხადებელსა და მის მეგობარს, იმის დასადასტურებლად, რომ წიგნი ნამდვილად წარმოადგენდა ბიბლიას და ისინი ნამდვილად იყვნენ ქრისტიანები, სთხოვეს გულზე გაკეთებული ჯვრის ჩვენება. საბაჟოს წარმომადგენლების აღნიშნულ მოთხოვნაზე, განმცხადებელმა განუმარტა, რომ მათ ჯვარი და ქრისტიანობა გულში აქვთ და საკუთარი ქრისტიანობის დადასტურებას ჯვრის ჩვენებით ვერ/არ განახორციელებდნენ. საბაჟოს წარმომადგენლებმა განმცხადებელს დაუწყეს კამათი და სურდათ ბიბლიის კონფისკაცია.

ამის შემდეგ საბაჟოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განმცხადებელს სთხოვა, მას გაჰყოლოდა. განმცხადებელმა იფიქრა, რომ რამე დოკუმენტზე უნდა მოეწერა ხელი ან სხვა სამართლებრივი პროცედურა უნდა გაევლო. საბაჟოს წარმომადგენელმა განმცხადებელი გაიყვანა ბნელ საწყობში, სადაც მან განმცხადებელს მიანიშნა გულზე თითების მიდებით და კვლავ მოითხოვა ჯვრის ჩვენება ქრისტიანობის დასადასტურებლად. ასეთმა მოპყრობამ განმცხადებლის ღირსება განსაკუთრებულად შეურაცხყო. მას კიდევ ერთხელ გაახსენდა ირანში საკუთარი რელიგიური იდენტობის გამო არაადამიანური მოპყრობის შედეგად მიღებული ტრავმები. განმცხადებლისთვის ორმაგად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იყო, რომ ირანში საკუთარი რელიგიის გამო გამოვლილი არაადამიანური მოპყრობის შემდეგ, ქრისტიანობის დასამტკიცებლად აიძულებდნენ გულზე გაკეთებული ჯვრის ჩვენებას. განმცხადებლისთვის მოულოდნელი იყო მსგავსი მოპყრობა საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც გარანტირებული უნდა იყოს რელიგიის თავისუფლება და თანასწორი მოპყრობა.

კამათის შემდეგ განმცხადებელს უფლება მისცეს, სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის ტერიტორია დაეტოვებინა. განმცხადებლის შეფასებით, საქართველოს საზღვრის კვეთისას მისი შეყოვნება, ბარგში არსებული წიგნის შინაარსით დაინტერესება, განმცხადებლისთვის მისი რელიგიის გამჟღავნების იძულება და საკუთარი რელიგიური იდენტობის დასადასტურებლად ჯვრის ჩვენების მოთხოვნა არსებითად უკავშირდებოდა მის ეროვნულ კუთვნილებას და, ეროვნული იდენტობიდან გამომდინარე, აღქმულ რელიგიურ ნიშანს. კერძოდ, იმის მიუხედავად, რომ განმცხადებელი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს, მას მიღებული აქვს მეუღლის ქართული გვარი, პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში არსებული დაბადების ადგილის ჩანაწერით, იმ გარემოებით, რომ განმცხადებელი სრულყოფილად ვერ საუბრობს ქართულ ენაზე, ასევე, ბარგში სპარსულ ენაზე შესრულებული წიგნით მარტივად იყო შესაძლებელი განმცხადებლის ეროვნული კუთვნილების იდენტიფიცირება.

იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებელი ეროვნებით ირანელია, ხოლო ირანის მოსახლეობის უმრავლესობა – მუსლიმი, განმცხადებლის შეფასებით, საკუთარი ეროვნული იდენტობიდან გამომდინარე, ის ავტომატურად იყო მიჩნეული მუსლიმად, ხოლო მის ბარგში არსებული წიგნი ავტომატურად დაუკავშირეს ისლამის სწავლებას, ვინაიდან წიგნი სპარსულ ენაზე იყო შესრულებული. შესაბამისად, განმცხა-

დებლის შეფასებით, სწორედ საბაჟოს წარმომადგენლების აღნიშნული აღქმით იყო განპირობებული მისი შეყოვნება, წიგნის შინაარსისა და განმცხადებლის რელიგიური კუთვნილების გამჟღავნების ზემოაღნიშნული ინტენსიური მცდელობები, რაც წარმოადგენს განმცხადებლის დისკრიმინაციულ შევიწროებას ეროვნული და აღქმითი რელიგიური ნიშნით.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ სახელმწიფო მოხელეები თვითნებურად ახორციელებენ ადამიანების რელიგიური კუთვნილების მონაცემების დამუშავებას. ამავე დროს, ეს საქმე არის ნათელი დემონსტრირება საქართველოს სახელმწიფო მოხელეების მიერ ისლამის მიმართ წარმოებული ნეგატიური პოლიტიკისა, თუნდაც მაშინ, როცა არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული პირი არ არის ისლამური თემის წარმომადგენელი.

სამართლებრივი დასაბუთება: ეთნიკური/რასობრივი „პროფილირება“ არღვევს დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებას. თავის მხრივ, ECRI „რასობრივი პროფილირების“ განმარტებისას ეყრდნობა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიდგომას დისკრიმინაციასთან მიმართებით და ამ ცნების ქვეშ აერთიანებს საკონტროლო, სამეთვალყურეო და საგამოძიებო მოქმედებებისას პოლიციური ღონისძიებების დაფუძნებას პირის რასაზე, კანის ფერზე, ენაზე, რელიგიაზე, ეროვნებაზე, ეროვნულ თუ ეთნიკურ წარმომავლობაზე, ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე. ეთნიკურმა/რასობრივმა „პროფილირებამ“ შეიძლება მოიცვას ისეთი სიტუაციები, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების თითქოს ნეიტრალურ პოლიტიკას ან პრაქტიკას არაპროპორციული გავლენა აქვს მოსახლეობის ასეთი ნიშნებით განსაზღვრულ ცალკეულ ჯგუფებზე.

ევროსასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეთნიკურ „პროფილირებას“ ეხებოდა, Timishev v. Russia, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მას საზღვარზე შეექმნა დაბრკოლებები, როდესაც ვერ მოახერხა, დაემალა საკუთარი ეთნიკური წარმომავლობა, რადგან მისი თანმხლები პირი საუბრობდა ჩეჩნური აქცენტით, ხოლო მათ მანქანას ჰქონდა ჩეჩნური ნომრები. ხუთი დღის შემდეგ კი, მან დამალა საკუთარი წარმომავლობა და საზღვარი დაბრკოლების გარეშე გაიარა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა გადაადგილების თავისუფლებასთან კავშირში. სასამართლომ აღნიშნა, რომ დიფერენციაცია, რომელიც ექსკლუზიურად ან მნიშვნელოვნად ადამიანის ეთნიკურ წარმომავლობას ემყარება, არ შეიძლება გამართლებული იყოს პლურალიზმზე დაფუძნებულ თანამედროვე საზოგადოებაში. სასამართლო ამბობს, რომ ეთნიკურობას აქვს თავისი საფუძველი იმ სოციალური ჯგუფების იდეაში, რომლებსაც აერთიანებთ ეროვნულობა, გვაროვნული (სატომო) კავშირი, რელიგიური რწმენა ან კულტურული და ტრადიციული ფესვები თუ წარსული. ამასთან, სასამართლომ რეალურ ან აღქმულ ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაცია რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახედ აღიარა, დისკრიმინაციის განსაკუთრებით მძიმე ფორმად შეაფასა და, შესაბამისად, გამკაცრებულ ტესტს დაუქვემდებარა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განსაზღვრა სტანდარტი, რომლის თანახმადაც, რელიგიის თავისუფლება მოიცავს ასევე პირის უფლებას, არ გაამხილოს საკუთარი რელიგია და არ იყოს იძულებული, განახორციელოს ან თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც შესაძლებელს გახდის კონკრეტული რწმენის ქონის/არქონის თაობაზე დასკვნის გამოტანას, მით უფრო, როდესაც რისკის ქვეშ კონკრეტული უფლებების განხორციელება დგას.

თავისი არსით, ეთნიკური/რასობრივი „პროფილირება“ ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის ნორმა-პრინციპსაც, რადგან საზღვრის კვეთის დროს მსგავსი უფლების შემზღუდველი ღონისძიება უნდა ემყარებოდეს პირის კონკრეტულ ქმედებას და არა – მის კუთვნილებას ან აღქმულ კუთვნილებას ეთნიკურ, რასობრივ, ეროვნულ ან რელიგიურ ჯგუფთან. ასეთ „პროფილირებას“ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ინდივიდუალურ შემთხვევებში, შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ამავე დროს, შეიძლება იყოს სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკისა და დამკვიდრებული პრაქტიკის შედეგი, რომელიც, შესაძლოა, კონკრეტულ მითითებას არ აკეთებდეს აღნიშნულ ჯგუფებზე, თუმცა, ჰქონდეს არაპროპორციული, ნეგატიური გავლენა. სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების დისკრიმინაციული მოტივით გამოყენების სისტემური პრობლემები, მათ შორის, მიუთითებს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობაზე და, ამასთან, მსგავსი პრაქტიკის აცილების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა.

მოცემულ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ განმცხადებელი არ იყო მუსლიმი, საკუთარი ეროვნული იდენტობიდან გამომდინარე, ის ავტომატურად აღიქვეს მუსლიმად და საზღვრის კვეთის დროს მისი პროფილირება და დისკრიმინაციული შევიწროება სწორედ მის ეროვნულ კუთვნილებასთან დაკავშირებულმა აღქმითმა იდენტობამ განაპირობა. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ განმცხადებელი უშუალოდ არ წარმოადგენდა საზღვრის კვეთის დროს მუსლიმი პირების მიმართ დაფიქსირებული დისკრიმინაციული პრაქტიკის ადრესატს, მის მიმართ აღნიშნული ქმედება განხორციელდა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ასეთი ნიშნების აღქმის გამო.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 25 აპრილს რ.ნ-მ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და მოითხოვა დისკრიმინაციის დადგენას. სახალხო დამცველმა მიმართა სსიპ „შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს“ დამატებითი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის მოძიების მიზნით. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს ამ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია.

3.7. კ.კ; ბ.ი. და თ.ხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს და ნ.ყ-ს, დ.ყ-ს ჟ,კ-ს და ზ.კ-ს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ მოპასუხე კერძო პირებმა მის მიმართ განახორციელეს დისკრიმინაციული ქმედება, რომელიც რელიგიური სიძულვილითა და შეუწყნარებლობით იყო განპირობებული და მიზნად ისახავდა პანსიონატის გახსნისა და მისი ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას. რამდენიმე თვის განმავლობაში აღნიშნული ჯგუფის წევრები მორიგეობით აკონტროლებდნენ პანსიონატის თანამშრომლებისა და ბენეფიციარების გადაადგილებას და, პრაქტიკულად, უზღუდავდნენ შენობაში შესვლის შესაძლებლობას. გარდა ამისა, პანსიონატის წინ დაკლეს ღორი და ღორის თავი მიამაგრეს პანსიონატის კარზე. მუსლიმი თემის წევრების მიმართ განხორციელებული ქმედებები აღქმადი იყო ადგილზე მყოფი პოლიციის თანამშრომლებისთვის, თუმცა, მათ გამოიჩინეს გულგრილობას მოპასუხე კერძო პირებისა და მათი ორგანიზებული ჯგუფების მიერ რელიგიური სიძულვილით ჩადენილ სამართალდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით და არცერთი ფაქტი არ აღკვეთეს.

საქმის მნიშვნელობა: სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ეფექტურობის შემთხვევაში, მოცემული პრეცედენტი მუსლიმი თემის სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის პროცესს გააძლიერებს.

სამართლებრივი გარემოებები: სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ქონებით თავისუფლად სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონატის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, განგრძობადი დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრა. გარდა ამისა, მოთხოვნილი იყო რელიგიური ნიშნით განხორციელებული პირდაპირი დისკრიმინაციის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის სიმბოლური თანხით – 1 ლარით ანაზღაურება. მოსარჩელე მხარის მითითების თანახმად, მოპასუხე ფიზიკური პირებისთვის ხელის შეშლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობის შედეგად, დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით (საკუთრების უფლება), პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით (განათლების უფლება) და მე-14 მუხლით (დისკრიმინაციის აკრძალვა) გარანტირებული უფლებები.

საქმის მიმდინარეობა: 2016 წლის 19 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ მოპასუხე ფიზიკურ პირებთან მიმართებით. მათ დაევალათ განგრძობადი დისკრიმინაციის აღკვეთა და მორალური ზიანის ანაზღაურება – სიმბოლურად 1 ლარის ოდენობით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია შსს-ს მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ ამ ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

2016 წლის 28 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა მოპასუხე ფიზიკური პირების სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად, ძალაში დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მუსლიმი თემის მოთხოვნა. მეორე მხრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე მხარის სააპელაციო საჩივარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (სასარჩელო მოთხოვნა შსს-ს წინააღმდეგ) განსჯადობით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადაუგზავნა. სასამართლოს შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ არსებული დავის სა-

განი, არსებითად, ადმინისტრაციული პალატის განსჯად თემას წარმოადგენდა. 2017 წლის 18 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნული სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მოპასუხის საჩივარი (ფიზიკური პირების ნაწილში), ხოლო დასაშვებად ცნო მუსლიმი თემის წარმომადგენლების საკასაციო საჩივარი შსს-ს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის თაობაზე, რაც შსს-ს უმოქმედობით იყო გამოხატული. 2018 წლის 15 მარტს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ ქმედებებსა და მის მოტივებთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზე იყო „პოლიციის მიერ მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში გამოყენებული პრევენციული ღონისძიებების არასათანადოობა, თუმცა, აღნიშნული არ ადასტურებდა პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ“. სასამართლომ მიუთითა, რომ „პოლიციის მიერ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობის პირობებშიც კი, არ დასტურდებოდა ვალდებულებების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით“.

რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას – შსს-ს დავალდებულებას, თანაზომიერი და პროპორციული მმართველობის ღონისძიებების გამოყენებით დაიცვას კასატორთა უფლება ხელყოფისაგან, უზენაესმა სასამართლომ საქმე დაუბრუნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ მოთხოვნის ხელახალი განხილვის პროცესში ყურადღება გაამახვილოს არსებული მდგომარეობით პანსიონატით სარგებლობის შეუძლებლობის რეალურობასა და შსს-ს დავალდებულების აუცილებლობაზე. საქმეს ამ ეტაპისთვის განიხილავს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო და მსჯელობს შსს-სთვის ვალდებულების დაკისრების თაობაზე.

4. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ კრძალავს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ეს ნიშანი ასევე გათვალისწინებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონში. საანგარიშო პერიოდში ქალები ძირითადად დისკრიმინაციას განიცდიდნენ ორსულობის, დეკრეტული შვებულების მოთხოვნის და შვილების მოვლის გამო. სამუშაო ადგილზე ასევე ადგილი ჰქონდა ქალების სექსუალურ შევიწროებას.

4.1. ხ.თ. სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის" მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ხ.თ. 2014 წლის 1-ლი აპრილიდან მუშაობს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსში". 2015 წლის 24 ივლისს მას შეეძინა პირველი შვილი; 2017 წლის 12 აგვისტოს – მეორე შვილი. 2018 წლის 8 იანვარს მოსარჩელესა და დამსაქმებელს – სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსს" შორის დაიდო შეთანხმება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ხელშეკრულება შეწყდა 2018 წლის 8 იანვარს, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად. 2018 წლის 8 იანვრის შეთანხმების ხელმოწერის მომენტში მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა, რომ შტატი, რომელიც მას ჰქონდა დაკავებული, გაუქმდა. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წინადადება მოსარჩელემ მიიღო დამსაქმებლისგან.

ხელშეკრულების შეწყვეტას წინ უსწრებდა შემდეგი ფაქტები: სამსახურის შინაგანაწესის თანახმად, ხ.თ-ს სამსახურში სამუშაო დღე იწყებოდა 10:00 საათზე და სრულდებოდა 18:00 საათზე. დეკრეტული შვებულებიდან გამოსვლის შემდეგ (2017 წლის 1-ლი ნოემბრიდან) ხ.თ. სამსახურში ცხადდებოდა დილის 12:00 საათზე – იმის გამო, რომ უმცროსი შვილი (2017 წლის 12 აგვისტოს დაბადებული) მოსარჩელეს ჰყავდა ძუძუთი კვებაზე, მოსარჩელე სარგებლობდა საქართველოს შრომის კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული დამატებით ერთსაათიანი შესვენებით, აგრეთვე, ყველა დასაქმებული პირისთვის კანონით დადგენილი ერთსაათიანი შესვენებით და სამსახურში ცხადდებოდი ორი საათით გვიან – 12:00 საათზე ისე, რომ სამუშაო დღის განმავლობაში მოსარჩელე აღარ იყენებდა შესვენების საათებს. 2018 წლის 8 იანვარს ორგანიზაციის იურისტმა ხ.თ-ს უთხრა, რომ მას ხელი უნდა მოეწერა ხელშეკრულების შეწყვეტის შეთანხმებისთვის, რადგან მას სხვა გზა არ ჰქონდა – მისი შტატი გაუქმებული იყო და მას ისედაც გაათავისუფლებდნენ სამსახურიდან, რითაც „გაუფუჭდებოდა" პირადი შრომითი საქმე.

გარდა ამისა, 2017 წლის დეკემბერში (დაახლოებით 15-დან 20 დეკემბრამდე შუალედში), ერთ-ერთ სამუშაო დღეს ხ.თ. თავისთან იხმო კლინიკის დირექტორმა. მათ შორის შედგა ასეთი შინაარსის საუბარი: დირექტორმა ხ.თ-ს უთხრა, რომ იყო ყოჩაღი, ახალგაზრდა დედა, რომ იყო საჭირო კადრი, თუმცა, არ მოსწონდა, რომ ის სამსახურში 12:00 საათზე მოდიოდა. დირექტორმა უთხრა, რომ ხალხი ცუდად ილაპარაკებდა ამ თემაზე. დირექტორმა ხ.თ-ს შესთავაზა, აეღო კალამი და ფურცელი და ჩამოეწერა, თუ რა სახის საქმიანობაში ხარჯავდა დროს სახლში ყოფნისას და მოეფიქრებინა, როგორ დაეზოგა დრო იმისთვის, რომ სახლიდან უფრო მალე გამოსულიყო, მაგალითად, დაეზოგა ის დრო, რომელსაც მოსარჩელე ხარჯავდა ჩაიდნით წყლის ადუღებაში და ა.შ. დირექტორმა ხ.თ-ს მოსთხოვა სამსახურში ყოველდღიურად დილის 10:00 საათზე გამოცხადება.

საქმის მნიშვნელობა: საქმე შეეხება შრომით ურთიერთობებში დასაქმებულისადმი ორი ნიშნით – სქესისა და ოჯახური მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევას.

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას. ამის გამო სასამართლოსგან ითხოვს: სპეციალისტის შტატის გაუქმების შესახებ „ევექსის" გადაწყვეტილების ბათილად ცნობას; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და „ევექსში" სპეციალისტად აღდგენას; 2018 წლის 8 იანვრიდან თანამდებობაზე აღდგენის დღემდე პერიოდში მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას; მორალური ზიანის ანაზღაურებას 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

საქმის მიმდინარეობა: სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2018 წლის 20 თებერვალს. საანგარიშო პერიოდში სასამართლოს ამ სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია.

4.2. ლელა მითაიშვილი (სახელი და გვარი გამოგონილია მსხვერპლის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით) ზვიად დევდარიანის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ლელა მითაიშვილი 20-21 წლის იყო, როცა სამსახურის ძიება დაიწყო. მან მოძებნა არასამთავრობო ორგანიზაცია სიდა-ს მიერ გამოცხადებული ვაკანსიები და გაარკვია, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო ზვიად დევდარიანი. ამის შემდეგ ლელა მითაიშვილი ვაკანსიის თაობაზე დაუკავშირდა ზვიად დევდარიანს, რომელმაც ლელა მითაიშვილი გასაუბრებაზე დაიბარა. როცა ეს უკანასკნელი ოფისში მივიდა, უკვე საღამო იყო. კარი თავად ზვიად დევდარიანმა გააღო და შემდეგ გადაკეტა. ოფისში სხვა არავინ იყო. ზვიად დევდარიანმა ლელა მითაიშვილს ჩაი შესთავაზა და ზოგადი ხასიათის შეკითხვები დაუსვა. ყველა კითხვაზე ლელა მითაიშვილი გულწრფელად პასუხობდა. ამის შემდეგ ზვიად დევდარიანი და ლელა მითაიშვილი კიბეებზე ავიდნენ. ზვიად დევდარიანმა ლელა მითაიშვილს ხელი მოჰკიდა, კაბინეტში შეიყვანა და კარი ჩაკეტა. დევდარიანმა ლელა მითაიშვილს უთხრა, რომ თუკი მას სამსახურში აიყვანდა, დილით სამსახურში მოიყვანდა და საღამოს სახლში წაიყვანდა, სადმე დაპატიჟებდა, ლელა მითაიშვილს სამსახურში ყავა უნდა მოედუღებინა და ხელფასს ამაში გადაუხდიდა. ზვიად დევდარიანმა ბევრი ილაპარაკა იმაზე, თუ რას ნიშნავს მისთვის ქალები და ურთიერთობები, ასევე, უთხრა, რომ იმდენად მოსწონდა, შეიძლება ცოლს დაშორებოდა. ამის შემდეგ ზვიად დევდარიანი გადავიდა ლელა მითაიშვილის ფიზიკურ შეხებაზე და კოცნას ითხოვდა. ლელა მითაიშვილმა უთხრა, რომ თავს ცუდად გრძნობდა და წასვლა უნდოდა. ამაზე ზვიად დევდარიანმა უპასუხა, რომ მანამ ვერ წავიდოდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ამაზე ლელა მითაიშვილი დასთანხმდა. ზვიად დევდარიანმა ლელა მითაიშვილს სთხოვა, ერთი სურვილი შეესრულებინა: მას ჭკუა ეკეტებოდა ქალის ტერფებზე და სთხოვა, ფეხზე გაეხადა და მისთვის ფეხები ეჩვენებინა. ლელა მითაიშვილს იმდენად უნდოდა წასვლა, რომ ფეხზე გაიხადა. დევდარიანმა მას ფეხებზე კოცნა დაუწყო. ლელა მითაიშვილმა ზვიად დევდარიანს სახლში წაყვანა სთხოვა. ლელა მითაიშვილი პირობას დებდა, რომ მეორე დღეს დაბრუნდებოდა. დევდარიანი გზაში მას ესაუბრებოდა თავის წიგნზე და ჰპირდებოდა, რომ წიგნს აჩუქებდა. მეორე დღეს ლელა მითაიშვილი სიდას ოფისში აღარ მივიდა.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში დადგინდა სექსუალური შევიწროების მტკიცების სტანდარტი.

სამართლებრივი დასაბუთება: შევიწროების (როგორც დისკრიმინაციის ფორმის) დასადგენად გამოიყენება დისკრიმინაციისგან განსხვავებული ტესტი. მთავარი განმასხვავებელი არის ის, რომ შევიწროების დასადგენად არ მოითხოვება ანალოგიურ პირობებში მყოფი ჯგუფის – კომპარატორის იდენტიფიცირება და მათგან განსხვავებული მოპყრობის მტკიცება: შევიწროების დამტკიცებას არ სჭირდება კომპარატორი. შევიწროება თავად არის ბოროტება, მისი ფორმის და შედეგის გამო, რაც პირის ღირსების შელახვამ შეიძლება გამოიწვიოს.

გენდერული თანასწორობის შესახებ ევროკავშირის განახლებული 2006/54/EC დირექტივის მე-6 პუნქტისა და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სქესის ნიშნით შევიწროება და სექსუალური შევიწროება არის სქესის ნიშნით დისკრიმინაცია. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი კრძალავს შრომით ურთიერთობაში სექსუალური ხასიათის ნებისმიერ არასასურველ სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კომიტეტი სექსუალურ შევიწროებას მიიჩნევს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად და აღნიშნავს, რომ თანასწორობას რეალური საფრთხე ექმნება, როდესაც ქალი ექვემდებარება გენდერული ნიშნით ძალადობის ისეთ ფორმას, როგორიც არის სექსუალური შევიწროება.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 16 აპრილს ლელა მითაიშვილმა მიმართა სახალხო დამცველს და მოითხოვა ზვიად დევდარიანის მხრიდან სექსუალური შევიწროებისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა.

2018 წლის 1-ლ ნოემბერს სახალხო დამცველმა დააკმაყოფილა განცხადება და დისკრიმინაციული ქმედებისგან თავის შეკავების თაობაზე რეკომენდაციით მიმართა ზვიად დევდარიანს. სახალხო დამცველის განმარტებით, პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის პირობებშიც კი, განმცხადებლის მიმართ ზვიად დევდარიანის ქცევისა და გარემოებების საერთო მახასიათებლების გათვალისწინებით, სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების განხორციელების ვარაუდი. მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ვარაუდის გასაქარწყლებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ზვიად დევდარიანის მხრიდან ადგილი ჰქონდა სექსუალური ხასიათის ვერბალურ და ფიზიკურ ქცევას, რომელმაც მსხვერპლ ქალებს შეუქმნა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემო. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით

მიმართა ზვიად დევდარიანს, რომ მომავალში, პროფესიულ თუ სხვა სახის ურთიერთობებში, არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და ადამიანის ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო.

4.3. ნ.მ. გორის მუნიციპალიტეტის ააიპ „სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2018 წლის 1-ლი ოქტომბრიდან ნ.მ. დაინიშნა გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სოფელ ქვემო ხვითის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების აღმზრდელის პოზიციაზე 1-თვიანი გამოსაცდელი ვადით. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულება მოსარჩელეს მიეცა 2018 წლის 18 ოქტომბრიდან 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე. 2018 წლის 19 ოქტომბერს ნ.მ-მ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს აცნობა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების თაობაზე და წარუდგინა შესაბამისი საავადმყოფო ფურცელი. 2018 წლის 2 ნოემბრის ბრძანებით, ნ.მ-სთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ორსულობის გამო ქალის მიმართ დისკრიმინაციას.

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე მხარე ამტკიცებს, რომ სამუშაო ადგილზე მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული მოპყრობა სქესისა და ორსულობის ნიშნით. მოსარჩელე მხარე დავობს პირდაპირ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. მოსარჩელის მიმართ უნდა გამოყენებულიყო ხელშეკრულების ვადის შეჩერების წესი საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად (შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია: შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

საქმის მიმდინარეობა: მოსარჩელემ 2018 წლის 25 დეკემბერს სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს. საანგარიშო პერიოდში სასამართლოს ამ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია.

4.4. მაკა გოგიჩაიშვილი, გიორგი მენთეშაშვილის და შპს „იურისტების“ წინააღმდეგ (სახელები, გვარები და იურიდიული პირის დასახელება გამოგონილია მსხვერპლის იდენტიფიცირების თავიდან აცილების მიზნით) (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: მაკა გოგიჩაიშვილმა მუშაობა დაიწყო შპს „იურისტებში“ სტაჟიორის პოზიციაზე. შეთანხმებისამებრ, მისი ფუნქციები იყო დამსაქმებლის კორპორატიულ კლიენტ-კომპანიაში სრული განაკვეთით (10:00-დან 18:00 საათამდე) მუშაობა. მის მოვალეობაში შედიოდა იურიდიული დახმარების გაწევა, ხელშეკრულებების მომზადება, კონსულტაციის გაწევა და სხვა ნებისმიერი იურიდიული საკითხის მოგვარება. მაკა გოგიჩაიშვილმა ინგლისური ენა კარგად იცოდა. მას უწევდა დამსაქმებლის ყველა შეხვედრაზე დასწრება და თარჯიმნის ფუნქციის შეთავსება. აღსანიშნავია, რომ ძალიან ხშირად შეხვედრები იმართებოდა დამსაქმებელ კომპანიაში სამუშაო საათების დასრულების შემდგომ და გრძელდებოდა გვიანობამდე. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ მაკა გოგიჩაიშვილს და კომპანიის იურისტს, ერთ-ერთ თანაპარტნიორს, გიორგი მენთეშაშვილს კორპორატიული კლიენტი კომპანიისთვის უნდა მოემზადებინათ დოკუმენტი შაბათ დღეს. იმის გამო, რომ მაკას ნათესავი იყო ავად, მას მოუწია საავადმყოფოში წასვლა, ამიტომ სამუშაოს გასაგრძელებლად ის საღამოს 6 საათისთვის დაბრუნდა ოფისში. ოფისში მას ელოდებოდა იურიდიული კომპანიის ერთ-ერთი თანაპარტნიორი, რომელთან ერთადაც საქმეზე უნდა ემუშავა. ისინი ოფისში მარტო იყვნენ. თანაპარტნიორი მაკა გოგიჩაიშვილს დალევას აძალებდა. ვინაიდან მაკა ენდობოდა მას, როგორც თანამშრომელს, დალია ალკოჰოლური სასმელი. ამას მოჰყვა თანაპარტნიორის მხრიდან კარის ჩაკეტვა. თანაპარტნიორმა ისარგებლა მაკას სიმთვრალით, გასვლისას ძლიერად მოჰკიდა ხელი და, მაკა გოგიჩაიშვილის სურვილის საწინააღმდეგოდ, აკოცა. მაკა გოგიჩაიშვილი შეეწინააღმდეგა და უთხრა, რომ აღნიშნული ქმედება შეეწყვიტა, რაზეც მან უპასუხა, რომ ნუ შეეშინდებოდა, რადგან ამის შესახებ ვერავინ გაიგებდა. მაკა თავს ცუდად გრძნობდა, რის გამოც თანაპარტნიორმა შესთავაზა დივანზე წამოწოლა. ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მაკას წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და თანაც ფიქრობდა, რომ თანაპარტნიორი მსგავს ქმედებებს მეტად აღარ გააგრძელებდა და დივანზე ჩამოჯდა. თანაპარტნიორმა ისარგებლა მაკას ფიზიკური სისუსტით, ალკოჰოლისგან გამოწვეული თავბრუსხვევით და არაერთი სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა. მაკამ მხოლოდ სიტყვიერი წინააღმდეგობის გაწევა მოახერხა და

ეუბნებოდა, რომ თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, რის შემდეგაც თანაპარტნიორმა შეწყვიტა ზემოხსენებული ქმედებები და ჯერ კიდევ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი მაკა თავად მიიყვანა სახლში. მაკა გოგიჩაიშვილისთვის აუტანელი იყო ასეთ გარემოში მუშაობა, ამიტომ მომდევნო სამუშაო დღეს დამსაქმებელი კომპანიის დირექტორს ყველაფერი მოუყვა, დაწერა განცხადება და სამსახურიდან წამოვიდა. მაკა გოგიჩაიშვილმა მიიღო ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა, რასაც ადასტურებს ფსიქოლოგის დასკვნა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების განსაკუთრებით მძიმე შემთხვევას.

სამართლებრივი დასაბუთება: „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი კრძალავს შრომით ურთიერთობაში სექსუალური ხასიათის ნებისმიერ არასასურველ სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კომიტეტი სექსუალურ შევიწროებას მიიჩნევს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად და აღნიშნავს, რომ თანასწორობას რეალური საფრთხე ექმნება, როდესაც ქალი ექვემდებარება გენდერული ნიშნით ძალადობის ისეთ ფორმას, როგორიც არის სექსუალური შევიწროება.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 24 აპრილს მაკა გოგიჩაიშვილმა მიმართა სახალხო დამცველს და მოითხოვა კომპანიის თანამშრომლის მხრიდან დისკრიმინაციის დადგენა, ასევე, რეკომენდაციის გამოცემა კომპანიის მიმართ, უზრუნველყოს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების აღკვეთა.

4.5. ნ.შ. და შ.ლ. სს „საქართველოს ბანკის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელეები მუშაობდნენ სს „საქართველოს ბანკის“ დეპარტამენტის სერვისცენტრში. ნ.შ. იყო სერვისცენტრის მენეჯერი, შ.ლ. კი – უნივერსალური ბანკირი. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების განმავლობაში განმცხადებლებს არც ერთხელ არ დაჰკისრებიათ დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა. ისინი ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ასრულებდნენ ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. ამის მიუხედავად, 2018 წლის 15 თებერვალს გამოცემული ბრძანებების საფუძველზე, მოსარჩელეებს დამსაქმებელთან შრომითი ხელშეკრულება შეუწყდათ.

ტესტირებებზე მოსარჩელეთა შედეგები იყო ძალიან კარგი. აღსანიშნავია, რომ სერვისცენტრი, სადაც მოსარჩელეები მუშაობდნენ, მთლიანად გაუქმდა და იქ მომუშავე პერსონალი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – სს „საქართველოს ბანკის“ სხვადასხვა სერვისცენტრში დასაქმდა. თანამშრომელთა შემცირებისას დამსაქმებელს უნდა ეხელმძღვანელა დასაქმებულების მიერ მოვალეობების ჯეროვნად შესრულების ხარისხის, ტესტირებებზე ნაჩვენები შედეგების, გამოცდილების, კომპეტენტურობისა და სხვა პროფესიული კომპონენტების მხედველობაში მიღებით.

ნ.შ-ს სამსახურიდან გათავისუფლება დაემთხვა იმ პერიოდს, როცა მას შეეძლო, მოეთხოვა კანონით გათვალისწინებული დეკრეტული შვებულება. შ.ლ. კი მაშინ გაათავისუფლეს, როცა ახლად დაბრუნებული იყო დეკრეტული შვებულებიდან და, შეეძლო, მოეთხოვა დამატებითი შვებულება, ასევე, ყოველდღიურად 1 საათით დასვენება, რაც არ ჩაითვლებოდა დასვენების დროში. ეს გარემოებები აჩენს დასაბუთებულ ეჭვს, რომ მომჩივნების განსხვავებული მოპყრობა განხორციელდა ორსულობისა და ბავშვის შეძენის გამო.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხმაურება ორსულობის და ბავშვის ყოლის გამო ქალთა მიმართ დისკრიმინაციას, ამასთან, მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისითაც.

სამართლებრივი დასაბუთება: სარჩელში მითითებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №ას-792-757-2014-ზე გადაწყვეტილებაზე, სადაც აღნიშნულია: „შრომით ურთიერთობაში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვა, რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო ... მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში დამსაქმებელს ეკისრება, კერძოდ, თუ დასაქმებული უთითებს, რომ მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დისკრიმინაციული ქმედება იყო, სწორედ დამსაქმებელმა უნდა

ამტკიცოს საკუთარი ნების გამოვლენის მართლზომიერება და გათავისუფლების არადისკრიმინაციული საფუძვლის არსებობა“. შესაბამისად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სარჩელებზე სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დისკრიმინაციული მოპყრობის პრეზუმფციით და მისი გაქარწყლების ვალდებულება დააკისროს დამსაქმებელს.

შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული თავისი ორსულობის შესახებ შეატყობინებს დამსაქმებელს. ორსული ქალისთვის დასაქმებაზე უარს, იმ მიზეზით, რომ ის არის ორსული, არ აქვს გამართლება და წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ორსული ქალის მიმართ დისკრიმინაციის დასადგენად შესადარებელი პირის არსებობა აუცილებელი არ არის. აღნიშნულის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ორსულობა თავისთავად განსხვავებული/უნიკალური მდგომარეობაა და მისი თანასწორი/შესადარებელი სუბიექტი კაცი ან არაორსული ქალი ვერ იქნება.[10]

განსხვავებული მოპყრობა ორსულების მიმართ შრომით ურთიერთობაში ითვლება დისკრიმინაციად, რადგან მას გავლენა მხოლოდ ქალებზე შეუძლია მოახდინოს. ძალიან ხშირად დისკრიმინაციული მოპყრობა სწორედ სამსახურიდან გათავისუფლებაში ვლინდება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია თავის რეკომენდაციებში ხაზს უსვამს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქალებს მიეცეთ საშუალება, განახორციელონ თავისი ერთ-ერთი ფუნქცია, დედობა, საზოგადოებისგან მარგინალიზაციის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით: „საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საერთაშორისო აქტებით ორსული ქალებისა და მათი უფლებების განსაკუთრებული დაცვის სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა ობიექტური მდგომარეობით არის განპირობებული. ორსული ქალის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ფსიქიკა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. ორსულობა (სამედიცინო ტერმინოლოგიით – გესტაცია ან გრავიადულობა) – ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესი – გრძელდება 40 კვირა, რაც არა მხოლოდ ქალისთვის, არამედ მთელი ოჯახისთვის განსაკუთრებული პერიოდია, რადგან ორსულის ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები მათ ცხოვრებაზეც აისახება. ორსულობის ყველა ტრიმესტრს თან ახლავს როგორც სხეულის, ისე ფსიქოემოციური სფეროს დამახასიათებელი ცვლილებები. სპეციალური სამედიცინო ლიტერატურა, სამეცნიერო კვლევები, მიძღვნილი ორსულთა განსაკუთრებული სტატუსისადმი, ადასტურებს სპეციფიკური დამოკიდებულების სისტემის აუცილებლობას, მათ შორის სამართლებრივი თვალსაზრისით, ორსული ქალის, როგორც განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალის მიმართ“ (იხ. უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის საქმე – ბს-463-451(კ-13)).

ამდენად, გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ემსახურებოდა დასაქმებულის მიერ კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი ბენეფიტებით სარგებლობის შეზღუდვას. ამ შემთხვევაშიც დამსაქმებლის გადაწყვეტილებას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება. ხაზგასასმელია, რომ ე.წ. შემცირებას ემსხვერპლა სერვისცენტრის ორი ისეთი თანამშრომელი, რომლებიც საჭიროებდნენ მომეტებულ ზრუნვას და მიეკუთვნებოდნენ მოწყვლად ჯგუფს.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 7 ივლისს ნ.შ-მ და შ.ლ-მ მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელეები ითხოვდნენ: გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენას და მის აღმოფხვრას, სამსახურში აღდგენას, განაცდურის ანაზღაურებას – ჯარიმის გადახდევინებას ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის 0,07%-ის ოდენობით, ასევე, დისკრიმინაციული მოპყრობიდან გამომდინარე, მორალური ზიანის ანაზღაურებას თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 1000-1000 ლარის ოდენობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსარჩელე მხარის წარმომადგენელს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გადაწყვეტილების დასაბუთებული ნაწილი არ ჩაჰბარებია.

4.6. ე.გ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: 2015 წლის 12 ივნისს ე.გ-ს ფიზიკური დაზიანება მიაყენა მისმა მეუღლემ – ტ.წ-მ. მსხვერპლმა მეორე დღესვე საჩივრით მიმართა ქობულეთის პოლიციას, რომელმაც გამოძიება დაიწყო დაგვიანებით – 2015 წლის 27 ივნისს. 2015 წლის 30 ივნისს ტ.წ. დააკავეს. მანამდე ის და მისი ახლობლები ე.გ-ს ემუქრებოდნენ და მოითხოვდნენ საჩივრის უკან გამოტანას. ე.გ-მ მუქარის შესახებ

[10] იხ. სახალხო დამცველის რეკომენდაცია, შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედოს წინააღმდეგ.

ასევე განაცხადა პოლიციაში, თუმცა, ამას რეაგირება არ მოჰყოლია. საპატიმრო დაწესებულებიდან გამოსული ტ.წ. 2016 წლის 7-8 ოქტომბერს კვლავ დაესხა თავს ე.გ-ს. საჩივრის მიუხედავად, ქობულეთის პოლიციის განყოფილების უფროსმა ე.გ-ს მოსთხოვა მეუღლის სახლში შეშვება. 2017 წლის 2 ივნისს ტ.წ-მ კვლავ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა ე.გ-ს და შეეცადა მის მოკვლას. შემაკავებელი ორდერი გამოიცა გვიან, 2017 წლის 8 ივნისს. 2017 წლის 11 ივლისს ტ.წ-მ დაარღვია შემაკავებელი ორდერის პირობა, მსხვერპლთან მივიდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. საჩივრის მიუხედავად, პოლიციის მუშაკებს არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევის ფაქტზე.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია გენდერული ნიშნით ქალზე ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით ადეკვატური რეაგირების კუთხით.

სამართლებრივი დასაბუთება: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

ტ.წ-ს მიერ ე.გ-ს მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე, ასევე, ე.გ-ს მიერ პოლიციის/პროკურატურის ორგანოებში საჩივრების წარდგენის ფაქტებზე პოლიციის და პროკურატურის ორგანოების უმოქმედობა წარმოადგენდა მათი მხრიდან სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევას. აღნიშნულმა გამოიწვია/წაახალისა ძალადობა ქალი მსხვერპლის მიმართ, რამაც ე.გ-ს მიაყენა მორალური და მატერიალური ზიანი.

საქმის მიმდინარეობა: სასამართლოში სარჩელი წარდგენილი იყო 2018 წლის 5 ივნისს. მოსარჩელე ითხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურისგან მატერიალური ზიანის სახით 1 800 ლარის ანაზღაურებას და მორალური ზიანის სახით 2 500 ლარის ანაზღაურებას. საანგარიშო პერიოდში საქმის განხილვა არ დასრულებულა.

4.7. თამარ სამხარაძე შალვა რამიშვილის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: შალვა რამიშვილი იყო თამარ სამხარაძის უშუალო ხელმძღვანელი 2013 წლიდან. 2014 წლიდან თამარ სამხარაძე მუშაობდა შპს „ზენიტში“, რომლის სამხატვრო დირექტორიც იყო შალვა რამიშვილი, შესაბამისად, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, თამარის მონაწილეობით, მზადდებოდა რამდენიმე გადაცემა ტელეკომპანია „იმედისთვის“. შალვა რამიშვილის მხრიდან თამარის მიმართ ადგილი ჰქონდა სექსუალურ შევიწროვებას როგორც ფიზიკური, ისე – ვერბალური ფორმით. 2016 წლის 5 თებერვალს შალვა რამიშვილმა თამარ სამხარაძეს შესთავაზა სექსუალური კონტაქტი სამსახურებრივი წინსვლის სანაცვლოდ. თამარ სამხარაძემ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. მომდევნო პერიოდში შალვა რამიშვილი აკეთებდა კომენტარებს, რომ შეთავაზებაზე უარის თქმით თამარმა დაკარგა მისი კეთილგანწყობა. 2016 წლის 30 მარტს თამარმა სამსახური დატოვა.

საქმის მნიშვნელობა: ეს იყო პირველი საქმე საქართველოში, რომელიც სექსუალური შევიწროების მსხვერპლმა სასამართლოში მოიგო.

სამართლებრივი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ საქმეში დაადგინა სექსუალური შევიწროება თამარ სამხარაძესა და შალვა რამიშვილს შორის მიმოწერებით, ასევე, შპს „ზენიტის“ დირექტორის ნ.ხ-ს ჩვენებით. ამ უკანასკნელის მიხედვით, შპს „ტელეიმედსა“ და შპს „ზენიტს“ შორის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდა მოსარჩელის განცხადებები მოპასუხის მიერ მისი სექსუალური შევიწროების შესახებ.

სექსუალური შევიწროების აკრძალვის სამართლებრივი დასაბუთებისას თბილისის საქალაქო სასამართლო დაეყრდნო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს, სადაც აღნიშნულია: „შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია: სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“.

საქმის მიმდინარეობა: თამარ სამხარაძემ სასამართლოში სარჩელი წარადგინა 2016 წლის 20 ივნისს. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მოპასუხე მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

4.8. თ.ჯ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: თ.ჯ. ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული ქალია და ცხოვრობს ა(ა)იპ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" მიერ მოწყობილ თავშესაფარში. მის მიმართ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის განხილვა განმცხადებლის მამის წინააღმდეგ მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში. თ.ჯ. სტუდენტია და სწავლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე. მისი სწავლის საფასურის გადახდას უზრუნველყოფდა ოჯახი, თუმცა, მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობის შესახებ განაცხადა, მათ შეწყვიტეს თ.ჯ-ს ფინანსური მხარდაჭერა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, თ.ჯ. ვეღარ აგრძელებს სწავლას და ესაჭიროება შესაბამისი დაფინანსება ნაწილობრივ ან სრულად.

განმცხადებელმა შეიტყო, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გააჩნია სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მექანიზმი. აქედან გამომდინარე, მან 2018 წლის 5 ივლისს მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით. მისთვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №745 ბრძანების შესაბამისად, დაფინანსების მოპოვებას შეძლებდა, თუ წარადგენდა ამონაწერს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

სოციალურმა აგენტმა შეავსო მომჩივნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის ოქმი იმ მოტივით, რომ ცხოვრობდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში.

საქმის მნიშვნელობა: ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების განათლების უფლების უზრუნველყოფა.

სამართლებრივი დასაბუთება: მომჩივანი მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელდა პირდაპირი დისკრიმინაცია თავშესაფარში ცხოვრების გამო. თავშესაფარში ქალი ხვდება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, რაც გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას წარმოადგენს. შესაბამისად, პირდაპირი დისკრიმინაცია, რაც გამოიხატა სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში დარეგისტრირებაზე უარში, ეფუძნება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტს. სოციალური აგენტის მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში ცხოვრების ნიშნით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციაზე უარმა გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული განათლების უფლებით სარგებლობის ხელშეშლა.

მომჩივანი ასევე მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს №01-36/ნ ბრძანებაზე, სადაც აღნიშნულია: ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის ოქმი ივსება: ა) ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული; ბ) ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი; გ) ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს; დ) ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას; ე) ოჯახი უარს აცხადებს დეკლარაციის შევსებასა და/ან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე; ვ) ვერ ხერხდება ოჯახის წევრებსა ან უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა; ზ) ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები; თ) სხვა მიზეზი, როცა ვიზიტის დროს რაიმე გარემოების გამო სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ვერ ხერხდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ან, როდესაც შეუძლებელია ოჯახის იდენტიფიცირება (მაგალითად, განაცხადში მითითებული მისამართი არ არსებობს, ან მითითებულ მისამართზე არ მდებარეობს შენობა-ნაგებობა). ხსენებული ჩამონათვალი არ ითვალისწინებს ოქმის შევსებას შემდეგი საფუძვლით: „მითითებული ოჯახი არის თავშესაფარი. ოჯახი ცხოვრობს თავშესაფარში", როგორც ამას ადგილი ჰქონდა თ.ჯ-ს შემთხვევაში.

საქმის მიმდინარეობა: მომჩივანმა სახალხო დამცველს მიმართა 2018 წლის 25 აგვისტოს. ამ საკითხზე სახალხო დამცველს საანგარიშო პერიოდში საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

4.9. ნ.კ. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ნ.კ. დასაქმებული იყო თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში. საქმიანობის განმავლობაში მოსარჩელის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის არც ერთი ზომა, მეტიც, წახალისების მიზნით, დამსაქმებელს მისთვის რამდენიმეჯერ ჰქონდა გადაცემული პრემია. დასაქმებული სამსახურიდან გათავისუფლდა ორსულობის პერიოდში. სამსახურიდან გათავისუფლებას წინ უძღვოდა მოსარჩელის გართულებული ორსულობა. აღნიშნულის გამო მას თითქმის ერთთვიანი შვებულების გამოყენება დასჭირდა, რასაც მოსარჩელე სამსახურიდან მისი გათავისუფლების გადაწყვეტილების მოტივად ასახელებს.

ხანგრძლივი შვებულების გამო დამსაქმებლისთვის აღნიშნული თანამშრომელი აღარ იყო საინტერესო. არსებობდა მოლოდინი, რომ ნ.კ. ნებაყოფლობით დატოვებდა სამსახურს საკუთარი განცხადების საფუძველზე. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მენეჯერის მხრიდან არსებობდა მითითება (ე.წ. „მეგობრული რჩევა“) სამსახურიდან ნებაყოფლობით წასვლის თაობაზე. ამ გადაწყვეტილების მისაღებად მას შესაბამისი ვადაც მიეცა – 2018 წლის 2 თებერვლამდე. მოსარჩელის უარის შემდგომ, იმავე დღეს, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე), პირველი დისციპლინური წარმოების დასრულებამდე (დასრულდა 2018 წლის 27 თებერვალს), ხოლო პირველი დისციპლინური წარმოების დასრულებისთანავე, მეორე დღესვე, სასამართლოს თავმჯდომარემ განმეორებით მიიღო გადაწყვეტილება ნ.კ-ს სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე, საბოლოოდ, სამსახურიდან მის გათავისუფლებამდე.

მნიშვნელოვანია, რომ ნ.კ-ს სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების საფუძველი გახდა დისციპლინური დარღვევა, რომელიც შეეხებოდა განმცხადებლის მიერ საჯარო ინფორმაციის თაობაზე განცხადების დაკარგვის ფაქტს. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დარღვევა, რომელსაც მისი დამსაქმებელი ედავებოდა, მას არ ჩაუდენია, მეტიც, საქმეში არ არსებობდა მისი ბრალეულობის დამადასტურებელი არცერთი დოკუმენტი. გარდა ამისა, მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მის პოზიციაზე ამავე პერიოდში დასაქმებული იყო სხვა პირიც, რომლის ახსნა-განმარტება მოსარჩელის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავდა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ორსულობის გამო ქალის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას შრომით ურთიერთობაში.

სამართლებრივი გარემოებები: მოცემულ საქმეში, მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნას აყრდნობდა ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას. საქმეში მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე დისკრიმინაციული იყო და, რომ არა მისი ორსულობა, ამგვარ გადაწყვეტილებას მოპასუხე მხარე არ მიიღებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საქმეში წარმოდგენილი ოფიციალური კორესპონდენცია ადასტურებდა, რომ ბოლო წლების მანძილზე თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოდან, დისციპლინური დარღვევის გამო, მოსარჩელის გარდა სამსახურიდან არავინ გათავისუფლებულა.

დისციპლინური წარმოების შედეგები მასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მკაცრი იყო, ვინაიდან დისციპლინურ წარმოებაში მოსარჩელესთან ერთად ჩართული პირის მიმართ დამსაქმებელმა გაცილებით მსუბუქი დისციპლინური სახდელი გამოიყენა.

საქმის მიმდინარეობა: საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიდა მოსარჩელის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების დისკრიმინაციულობის ვარაუდს.

4.10. ნ.გ. შპს „სტუდია მაესტროს“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ნ.გ. 2016 წლის 1-ლი ივლისიდან მუშაობდა შპს „სტუდია მაესტროში“ ერთ-ერთი გადაცემის ხელმძღვანელის/პროდუსერის/ჟურნალისტის თანამდებობაზე. აღნიშნული შრომითი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის ვადა შეადგენდა 3 თვეს.

დასაქმებული და დამსაქმებელი სიტყვიერად შეთანხმდნენ ხელშეკრულების შემდგომ ავტომატურ გაგრძელებაზე, თუმცა, მას შემდეგ, რაც ტელეკომპანიისთვის ცნობილი გახდა, რომ ნ.გ-ს ორსულობის

ნიადაგზე შეექმნა ჯანმრთელობის დროებითი პრობლემა, დამსაქმებელმა უარი თქვა მასთან შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებაზე. საგულისხმოა, რომ დამსაქმებელმა ნ.გ-ს აცნობა, რომ ხელშეკრულება აღარ გაგრძელდებოდა არა ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე, არამედ 11 დღის შემდეგ, როდესაც ნ.გ-ს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და კლინიკაში პოსტოპერაციული წოლითი რეჟიმი განესაზღვრა. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ ნ.გ. ჩვეულებრივად აგრძელებდა მუშაობას. დამსაქმებელი, შესაბამისად, იღებდა მის მიერ შესრულებულ სამუშაოს. აღნიშნული მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნ.გ. საავადმყოფოში მოხვდა.

კომპანიამ ნ.გ-ს ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან 11 დღის შემდგომ შეატყობინა, რომ დამსაქმებელი მასთან შრომითი კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებდა, თუმცა, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ნამუშევარ დღეებს აუნაზღაურებდნენ. კომპანიის დირექტორმა აღნიშნულის მიზეზად გადაცემის დაბალი რეიტინგი და სპონსორის არარსებობა დაასახელა, რაც, მოსარჩელის აზრით, არალოგიკურია, ვინაიდან იმ დროისთვის ეთერში მხოლოდ 3 გადაცემა იყო გასული. მოსარჩელეს გაუჩნდა დასაბუთებული ეჭვი, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი ორსულობის გამო ჯანმრთელობის მდგომარეობის დროებითი დამძიმება გახდა. ამას ადასტურებს მასთან პირად საუბარში არხის გენერალური პროდუსერის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით თავად ნ.გ-სთვის უკეთესი იქნებოდა, სახლში დაესვენა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ორსულობის გამო ქალის მიმართ დისკრიმინაციას შრომით ურთიერთობებში.

სამართლებრივი გარემოებები: დამსაქმებლის მხრიდან მოსარჩელის დისკრიმინაცია განხორციელდა მას შემდეგ, რაც დამსაქმებელმა ორსულობის ნიადაგზე ნ.გ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის დროებითი დამძიმებისა და ოპერაციული მკურნალობის შესახებ შეიტყო. ამასთან, თუ დამსაქმებელს ნ.გ-სთან შრომითი ურთიერთობის გაწყვეტა სურდა, ხელშეკრულების მიხედვით, იგი გაფრთხილებული უნდა ყოფილიყო ერთი თვით ადრე, რაც ასე არ მოხდა.

განსხვავებული მოპყრობა ორსულების მიმართ შრომით ურთიერთობაში მიიჩნევა დისკრიმინაციად, რადგან მას მხოლოდ ქალებზე შეუძლია გავლენის მოხდენა. ძალიან ხშირად დისკრიმინაციული მოპყრობა ვლინდება სამსახურიდან გათავისუფლებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ „შრომის კოდექსი“ ქალებთან მიმართებით დისკრიმინაციული შინაარსის ნორმას არ ადგენს, ნორმათა ხარვეზის და ბუნდოვანების გამო, დამსაქმებელს ეძლევა თეორიული შესაძლებლობა, კანონი დისკრიმინაციულად გამოიყენოს, რაც პრაქტიკაში იშვიათობას არ წარმოადგენს. კერძოდ, იკვეთება ტენდენცია, რომ დასაქმებული პირის უფლებების რეალიზაცია მთლიანად დამსაქმებლის კეთილ ნებასა და მის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. სასამართლოს მიაჩნია, რომ დასაქმებულ ქალთა დეკრეტული შვებულებით სარგებლობის დამდგენი ნორმები შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან და, შესაბამისად, ქალის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების, დედობის, სათანადო რეალიზაცია უკიდურესად პრობლემურია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ნ.გ. შპს „სტუდია მაესტროს“ მხრიდან გახდა დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი და, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის საბაბით, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ემსახურებოდა მხოლოდ ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის გადაფარვის მიზანს.

საქმის მიმდინარეობა: მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტისა და მისი შედეგების აღმოფხვრის, კერძოდ, შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებისა და იძულებითი განაცდურის, ასევე, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, PHR-ის დახმარებით, ნ.გ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის ნაწილში, თუმცა, აღნიშნულ საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოსარჩელეს არ ჩაჰბარებია.

4.11. PHR ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წინააღმდეგ

ფაქტობრივი გარემოებები: შშმ პირთა პანსიონატებში ვიზიტებისას, ერთ-ერთ პანსიონატში მცხოვრები პირებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გამოიკვეთა პანსიონატში მამაკაცი მომვლელების (ძიძა) დასაქმების საჭიროება. პანსიონატის ბენეფიციარების განმარტებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცებისთვის გარკვეულ უხერხულობასთან/უსიამოვნებასთან არის დაკავშირებული

ქალი მომვლელების მხრიდან დახმარების მიღება ჰიგიენურ საკითხებთან დაკავშირებით. PHR-მა განცხადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ზომების გატარების მოთხოვნით, რათა კაცი ბენეფიციარებისთვის შესაძლებელი გამხდარიყო მათ საჭიროებაზე მორგებული სერვისის მიწოდება მათი პატივისა და ღირსების შელახვის გარეშე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განცხადება გადაუგზავნა სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“, რომელმაც აღნიშნა, რომ ფონდის მიერ ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების გზით. ვინაიდან მომვლელის პოზიციის მაძიებელთა შორის მამრობითი სქესის წარმომადგენლები თითქმის არასდროს ფიქსირდებიან, ფონდი მოკლებულია შესაძლებლობას, კონკურსის წესების მოთხოვნათა გვერდის ავლით, ხელოვნურად გაზარდოს კაცი მომვლელების რიცხვი პანსიონატში.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გენდერულად სენსიტიური მომსახურების შეთავაზებას.

სამართლებრივი დასაბუთება: „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ მომვლელის პოზიციაზე კანდიდატის შერჩევისას ნეიტრალურია კანდიდატის სქესის მიმართ. ამის შედეგად, კონკურსზე განაცხადი შეაქვთ ძირითადად ქალებს და, შესაბამისად, მხოლოდ მათი დასაქმება ხდება. ეს გარემოება უარყოფითად აისახება პანსიონატში მყოფ ბენეფიციარ მამაკაცებზე, რომლებსაც ჰიგიენური საჭიროებების მოგვარება უწევთ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა დახმარებით. ფონდის გენდერულად ნეიტრალური საკადრო პოლიტიკა მძიმე ტვირთად აწვება პანსიონატის მამაკაც ბენეფიციარებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ მხრიდან სახეზეა ირიბი დისკრიმინაცია.

საქმის მიმდინარეობა: საანგარიშო პერიოდში PHR-მა განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ მხრიდან თანასწორობის უფლების დარღვევის დადგენისა და რეკომენდაციის გამოცემის მოთხოვნით.

საქმის შესწავლის პროცესში სახალხო დამცველმა გამართა შეხვედრა, რომელზეც ტრეფიკინგის ფონდის წარმომადგენლების მხრიდან დაიგეგმა გარკვეული ღონისძიებები. შემდგომში სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა ფონდს განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. თუმცა, ამ ეტაპისთვის ორგანიზაციისთვის უცნობია, თუ რა რეაგირება მოჰყვა ფონდის მხრიდან აღნიშნულ წერილს.

4.12. მარი ადამაშვილი (სახელი და გვარი მოგონილია მომჩივნის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: მარი ადამაშვილი სექსმუშაკია. მას ყოველდღიურად ემუქრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით აკრძალული ქმედების – პროსტიტუციის ჩადენისთვის.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ჩაგვრის მიმართ ყველაზე მოწყვლადი ქალების ჯგუფს – სექსმუშაკებს.

სამართლებრივი გარემოებები: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, პროსტიტუცია არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. აღნიშნული კანონმდებლობა დისკრიმინაციულია ქალთა მიმართ, რადგან სექსსამუშაო არაპროპორციულად ეხება ქალებს (მსოფლიოს მასშტაბით სექსსამუშაოში ჩართულია ბევრად მეტი ქალი, ვიდრე მამაკაცი). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სექსუალური მომსახურების გამყიდველის, ანუ სექსმუშაკის (რომელიც, როგორც წესი, ქალია) მიმართ, ხოლო არავითარ პასუხისმგებლობას არ აკისრებს სექსუალური მომსახურების მყიდველს, ანუ კლიენტს (რომელიც, როგორც წესი, კაცია). აღნიშნული კანონმდებლობა აბრკოლებს სექსმუშაკისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, რადგან ძალადობის შემთხვევაში სექსმუშაკები თავს იკავებენ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვაზე.

ასევე, უკიდურესად პრობლემურია დისკრიმინაციული შევიწროება, რომელსაც სექსმუშაკი ქალები განიცდიან. საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, სექსმუშაკი ქალები არ ასრულე-

ბენ საკუთარ გენდერულ როლს პირნათლად, მათი საქმიანობა მიუღებელია სოციუმისთვის, აქედან გამომდინარე, ხშირად უწევთ, ოჯახის წევრებისა და ახლობლებისაგან დამალონ ის ფაქტი, რომ მსგავს საქმიანობას ახორციელებენ. სექსმუშაკები ექვემდებარებიან სტიგმას, რადგან არ მოქმედებენ დამკვიდრებული ტრადიციების – ღირებულებების შესაბამისად და მათი ქმედება ეწინააღმდეგება გენდერთან დაკავშირებული „მორალურობის“ მოთხოვნებს.

საქმის მიმდინარეობა: მარი ადამაშვილმა სახალხო დამცველს მიმართა 2018 წლის 8 ივნისს. მომჩივანი ითხოვს, სახალხო დამცველმა შეიმუშაოს რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტის სახელზე, რათა საკანონმდებლო ცვლილებების გზით მოხდეს პროსტიტუციის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ამოღება. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს აღნიშნულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

5. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში შეზღუდული შესაძლებლობა პირდაპირ არ არის მოხსენიებული. საქმეში „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შესაძლებელია, იყვნენ „სოციალური ჯგუფის” წევრები, რაც, თავის მხრივ, კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი, პირდაპირ არის აკრძალული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის პირველ მუხლში. საანგარიშო პერიოდში ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენდა შშმ პირებისთვის უარი გონივრულ მისადაგებაზე.

5.1. ზ.გ. თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 5 დეკემბრიდან ზ.გ. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, სხვა სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, იგი მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. არის ომის ვეტერანი.

იგი ყოველი ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე გადიოდა სამედიცინო შემოწმებას და ყოველ ჯერზე მიიჩნეოდა სამხედრო სამსახურისთვის ვარგისად. კერძოდ, 2011 წლის 2 ნოემბრის სამედიცინო შემოწმების ბარათის მიხედვით, იგი მიჩნეული იყო ვარგისად სამხედრო სამსახურში კონტრაქტით მისაღებად. ანალოგიურად, ვარგისად იყო მიჩნეული 2013 წლის 20 აგვისტოს შემოწმების შედეგადაც. შესაბამისად, ამ წლების განმავლობაში პირნათლად ასრულებდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. 2015 წლის სექტემბერში მორიგი კონტრაქტის გაფორმებამდე ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის შედეგად, ზ.გ-ს დაუდგინდა მარჯვენა თირკმლის აგენეზია. აქედან გამომდინარე, სამედიცინო შემოწმების ბარათის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის 24 დეკემბრის №360 ბრძანებით გათვალისწინებულ დაავადებათა ცხრილის მე-80 პუნქტის „ბ“ ნაწილის შესაბამისად, მიჩნეული იყო შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისთვის. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული დაავადებების ნუსხას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2011 წლის 22 იანვრის №48 ბრძანებით შეტანილი ცვლილებებით, დაემატა თირკმელების თანდაყოლილი ანომალიები, ფუნქციის დარღვევის გარეშე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2015 წლის 9 ნოემბრის ბრძანებით, სწორედ არსებული სამედიცინო დასკვნის გამო, ზ.გ. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. შესაბამისად, ზ.გ-ს გათავისუფლება მოხდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას აღმოაჩნდა თანდაყოლილი ცალი თირკმელი. თუმცა, აღნიშნული გარემოება არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რაც დასტურდება წლების განმავლობაში სამხედრო სამსახურში ყოფნით.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ხელმისაწვდომობას სამუშაოზე, როდესაც მას გააჩნია საკმარისი უნარები, ეს სამუშაო შეასრულოს.

სამართლებრივი გარემოებები: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ყველა საჯარო დაწესებულებაზე, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზეც. იმის მიუხედავად, საზოგადოებრივ ურთიერთობას არეგულირებს თუ არა სპეციალური კანონი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, დაცული უნდა იყოს ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

თავდაცვის მინისტრის ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით დადგენილი შეზღუდვა წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას.

საქმის მიმდინარეობა: საანგარიშო პერიოდში მომჩივანმა მიმართა სახალხო დამცველს და მოითხოვა ზ.გ-ს მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა, ასევე – თავდაცვის სამინისტროსთვის რეკომენდაციით მიმართვა, ბათილად იყოს ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის 24 დეკემბრის №360 ბრძანებით გათვალისწინებულ დაავადებათა ცხრილის მე-80 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვები „...თირკმელების თანდაყოლილი ანომალიები ფუნქციის დარღვევის მიუხედავად...“ დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით, სახალხო დამცველმა 2018 წლის 19 მარტს წერილით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომელმაც, თავის მხრივ, უპასუხა 2018 წლის 30 მარტის წერილით. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდში არ მიღებულა.

5.2. რ.ჩ. შსს-ს მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: რ.ჩ. დაიბადა 1987 წელს. 14 წლის ასაკში ავთვისებიანი სიმსივნის გამო გაუკეთდა მარჯვენა ფეხის ამპუტაცია მთლიანად და ამჟამად სარგებლობს პროთეზით. რ.ჩ-ს აქვს ძალიან დიდი სურვილი, აიღოს მართვის მოწმობა. ამ მიზნით, მან დაამთავრა ქ.ბათუმში ერთ-ერთი ავტოსკოლა, სადაც თეორიულ ნაწილთან ერთად წარმატებით გაიარა სწავლების პრაქტიკული კურსიც (ავტომობილის მართვა საგამოცდო მოედანსა და ქუჩაში).

რ.ჩ-მ ზეპირი ფორმით რამდენიმეჯერ მიმართა სსიპ „შსს მომსახურების სააგენტოს" მართვის მოწმობის გამოცდაზე დასაშვებად, მაგრამ მომსახურების სააგენტომ მომჩივანს მოსთხოვა ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების მიყვანა. ოჯახში არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, რ.ჩ-ს არ აქვს ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შესაძენად სათანადო სახსრები, მაგრამ აქვს ძალიან დიდი სურვილი, აიღოს მართვის მოწმობა და დამოუკიდებლად შეძლოს გადაადგილება.

რ.ჩ-მ მიმართა სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს", რათა რ.ჩ-ისთვის მიეცათ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდის ჩაბარებისა და მართვის მოწმობის აღების შესაძლებლობა. 2016 წლის 27 აგვისტოს წერილობით პასუხის თანახმად, მომსახურების სააგენტოს არ გააჩნია სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მორგებული იქნებოდა შშმ პირებზე, შესაბამისად, მისი წარდგენა თავად მძღოლს უნდა უზრუნველეყო.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1-ლი აგვისტოს №598 ბრძანების თანახმად, როცა აუცილებელი არ არის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება, ასეთ დროს მძღოლობის კანდიდატთა სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფას ახორციელებს მომსახურების სააგენტო, ხოლო შშმ პირების შემთხვევაში სსიპ „შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო" მძღოლობის კანდიდატს ავალდებულებს, თავად მიიყვანოს ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებით სარგებლობის თვალსაზრისით.

სამართლებრივი დასაბუთება: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, კონვენციის პრინციპია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობისადმი პატივისცემა და მათი აღიარება ადამიანთა შორის არსებული განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად, კონვენცია ადგენს, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ვალდებულია, პატივი სცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციფიკურ საჭიროებებს და უზრუნველყოს შესაბამისი გარემო, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა სხვებთან თანასწორ პირობებში შეძლონ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება.

საქმის მიმდინარეობა: 2016 წლის 9 სექტემბერს რ.ჩ-მ მიმართა სახალხო დამცველს და მოითხოვა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა და სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის რეკომენდაციით მიმართვა.

2018 წლის 9 აგვისტოს, მხარეთა მორიგების მიზნით, რ.ჩ-ს საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა ჩაატარა ზეპირი მოსმენა, რომელსაც ესწრებოდა შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი. მხარეებმა წარადგინეს ახსნა-განმარტებები, რის შემდეგაც საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაევალა სახალხო დამცველისთვის დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის აპარატში რ.ჩ-ს მიერ განცხადების შეტანის შემდეგ შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს რუსთავის სერვისცენტრმა შეიძინა ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება. შსს-ს მომსახურების სააგენტომ გამოთქვა მზადყოფნა, რომ ქუთაისისა და ბათუმის სერვისცენტრებისთვის წლის ბოლომდე შეიძენდა ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებებს. შედეგად, შშმ პირებს მიეცათ შესაძლებლობა, მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდასთან ერთად ჩააბარონ პრაქტიკული გამოცდაც, რისი საშუალებაც, განცხადების შეტანის მომენტში, 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით, შშმ პირებს შსს-ს მომსახურების სააგენტოს არცერთ სერვისცენტრში არ ჰქონდათ.

5.3. ვ.კ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ვ.კ. არის უსინათლო, რის გამოც მას მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. 2011 წელს მომჩივანმა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით.

განმცხადებელი, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, დარეგისტრირდა ბაზაში და მიენიჭა სოციალურად დაუცველის სტატუსი. აღნიშნულის საფუძველზე ვ.კ. სარგებლობდა სოციალური შეღავათებით. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა რამდენჯერმე შეაფასა განმცხადებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. თითოეული შემოწმების დროს განმცხადებელი აგენტს აწოდებდა სრულყოფილ ინფორმაციას, თუმცა, აგენტმა ერთ-ერთი ასეთი შემოწმების დროს არასწორად შეავსო დეკლარაცია. კერძოდ, არ შეიტანა მონაცემი რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის სტავროპოლის მხარის ქალაქ კისლოვოდსკში დანიშნული პენსიის შესახებ, რის გამოც, იმ საფუძვლით, თითქოს ვ.კ-მ ყალბი/არასწორი მონაცემები მიაწოდა სააგენტოს უფლებამოსილ პირს, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 10 ივლისის ბრძანებით, მას „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაცია გაუუქმდა.

განმცხადებელი აგენტს ენდობოდა და დეკლარაციას ხელი მოაწერა. უსინათლობის გამო მან ვერ შეძლო დეკლარაციის წაკითხვა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანება განსაზღვრავს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესს, სადაც დეტალურად არის გაწერილი დეკლარაციის შევსების პროცედურა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბრძანება არ ითვალისწინებს, თუ როგორ უნდა მოხდეს დეკლარაციის გაცნობა ისეთი პირისთვის, რომელსაც ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით დამოუკიდებლად არ შეუძლია დეკლარაციის წაკითხვა. სპეციალური რეგულაციის არარსებობის გამო განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეამოწმონ, შესაბამისობაშია თუ არა მათ მიერ სოციალური აგენტისთვის მიწოდებული ინფორმაცია დეკლარაციაში ასახულ მონაცემებთან და დეკლარაციაზე ხელმოწერით დაადასტურონ დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სიზუსტე.

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ სახალხო დამცველისთვის 2017 წლის 6 ოქტომბერს მიწოდებული ინფორმაციით, ის გარემოება, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბრაილის შრიფტით ოჯახის დეკლარაციის ფორმის წარმოებას, არ მიუთითებს მხედველობის მქონე პირების დისკრიმინაციის ფაქტზე.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გარემოს სათანადოდ ადაპტირებას, ასევე, მათ შესაძლებლობას, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ თავად ეხებათ.

სამართლებრივი დასაბუთება: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება თავისი უფლების განხორციელებაში ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულებით, კრიტერიუმით ან პრაქტიკით, არსებობს თანაბარი მოპყრობა არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ პირებს შორის, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისთვის სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოს ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების/სისტემების თანაბარი მისაწვდომობა.

კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, კომუნიკაცია მოიცავს ენებს, ტექსტის გაფორმებას, ბრაილს, ტაქტილურ კომუნიკაციას, მსხვილი შრიფტით ბეჭდვას, მისაწვდომ მულტიმედიურ საშუალებებს, ასევე, ბეჭდვით მასალებს, აუდიოსაშუალებებს, ჩვეულებრივ მეტყველებას, მკითხველებს, გამაძლიერებელ და ალტერნატიულ მეთოდებს, ხერხებსა და ფორმატებს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.

28-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უფლებას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და იღებენ შესაბამის ზომებს მისი დაცვისა და რეალიზებისთვის.

სახალხო დამცველმა ვ.კ-ს საქმეზე განაცხადა, რომ ბრაილის შრიფტის ან სხვა ალტერნატიული საშუალების არარსებობის პირობებში, ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს შეზღუდული ან სრულად დაქვეითებული მხედველობა, მოკლებულია შესაძლებლობას, პირადად გაეცნოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დეკლარაციაში ჩაწერილ არსებითად მნიშვნელოვან ინფორმაციას. მოცემულ საქმეში განმცხადებელს ეპყრობიან იმ პირების თანასწორად, რომლებსაც არ აქვთ მხედველობის პრობლემა. ამდენად, განმცხადებელი არსებითად უთანასწორო მდგომარეობაშია იმ პირებთან

მიმართებით, რომლებსაც სპეციალური საჭიროება არ გააჩნიათ. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არ დასახელდა ის ლეგიტიმური მიზანი, რომლითაც გამართლდებოდა უსინათლო პირების მიმართ სხვათა თანაბრად მოპყრობა. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში კი, განსხვავებულ მოპყრობას და მისგან მომდინარე შესაძლო უარყოფით შედეგებს ობიექტური და გონივრული გამართლება არ აქვს.

საქმის მიმდინარეობა: ვ.კ-მ სახალხო დამცველს მიმართა 2017 წლის 9 აგვისტოს. სახალხო დამცველმა განცხადება სრულად გაიზიარა და 2018 წლის 4 მაისს რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს. სახალხო დამცველის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით და ამისთვის შესაბამისი ცვლილება შეიტანოს 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებაში. საანგარიშო პერიოდში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე პასუხი არ გაუცია.

5.4. ზ.კ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ზ.კ. არის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. განცხადების თანახმად, მას გააჩნია მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, გადატანილი აქვს ინსულტი, მოიხმარს ინსულინს და პარალიზებული აქვს ცალი მხარე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ურთულებს ფეხით გადაადგილებას. როგორც მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (მნიშვნელოვნად გამოხატული პარეზი), ზ.კ. საკუთარი ავტომანქანით გადაადგილებისას სარგებლობდა საკრებულოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე გაცემული სპეციალური საცნობი ნიშნით, რაც მას შესაძლებლობას აძლევდა, მანქანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილ პარკირების ადგილზე გაეჩერებინა. თუმცა, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეს შეღავათი გაუუქმდათ.

ქალაქ თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ წერილით მიმართა სახალხო დამცველის აპარატს და შეეცადა, აეხსნა, თუ რას ემსახურებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შორის დიფერენცირება. იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თქმით: თავად მოქმედი კანონმდებლობა მიჯნავს და სიმძიმის ხარისხის მიხედვით განასხვავებს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსს. ის გარემოება, რომ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გადაეცემათ პარკირების საცნობი ნიშანი, გამოწვეულია ქმედუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვით (მაგალითად, თვითმომსახურებისა და გადაადგილების უნარების მესამე (ყველაზე მაღალი) ხარისხის შეზღუდვა). ამის გამო, აღნიშნული კატეგორიის პირები ვერ იქნებიან მიჩნეულნი მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არსებითად თანასწორად, მათი ანატომიური და გონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. კომისიის თავმჯდომარის აზრით, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო მეტ მზრუნველობას საჭიროებენ.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არაერთი პირის დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას.

სამართლებრივი გარემოებები: სახალხო დამცველის მიერ ქალაქ თბილისის საკრებულოს მიმართ გამოცემულ რეკომენდაციაში მითითებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მე-9 მუხლზე, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზრუნველყოფს გარემოზე მისაწვდომობის უფლებით. კერძოდ, ამ ნორმის შესაბამისად, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისთვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ ტრანსპორტის თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ისე სოფლის პირობებში. აღნიშნული ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენა-აღმოფხვრას, შეეხება ტრანსპორტს. ამგვარად, ტრანსპორტის პარკირება განსაზღვრულ ადგილას არის შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის საქართველოსთვის სავალდებულო საერთაშორისო ინსტრუმენტით გარანტირებული უფლება.

საქართველოს სახალხო დამცველმა არ შეადარა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის მქონე პირს პარკირების ადგილებზე წვდომასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში. ამის ნაცვლად, მან შესაბამის რეკომენდაციაში მიუთითა, რომ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი შეიძლება იყოს არსებითად თანასწორი იმ პირისა, რომელსაც კიდურები აქვს ამპუტირებული, თუმცა, არ აქვს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებს, შესაძლოა, არ ჰქონდეთ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, მაგრამ გარემოსთან ურთიერთქმედების დაბრკოლების აღმოსაფხვრელად საჭიროებდნენ პარკირების ადგილების გამოყოფას. საკრებულოს დადგენილებით, სწორედ ამის გამო გადაეცემათ პარკირების საცნობი ნიშნები პირებს, რომლებსაც კიდურები აქვთ ამპუტირებული. ამ პირების მსგავსად, განმცხადებელსაც ესაჭიროება პარკირების ადგილის გამოყოფა, ვინაიდან მას ცალი მხარე აქვს პარალიზებული და უჭირს ფეხით გადაადგილება.

სახალხო დამცველმა შესადარებელი პირების ერთსა და იმავე მდგომარეობაში ყოფნის საკითხი გადაწყვიტა არა იმის მიხედვით, რა ხარისხით აქვთ პირებს შეზღუდული შესაძლებლობა ან რა სამედიცინო დიაგნოზი აქვთ დასმული, არამედ იმის მიხედვით, გარემოსთან ურთიერთქმედების დაბრკოლების დასაძლევად ესაჭიროებათ თუ არა მათ სატრანსპორტო საშუალება. სახალხო დამცველმა განაცხადა: „სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სწორედ ზემოაღნიშნული მიდგომით, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, მათ შორის, სპეციალური სადგომით სარგებლობის საჭიროების საკითხიც. ამგვარი მიდგომა, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სოციალურ მოდელს, რომლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობა წარმოადგენს არა იმდენად სამედიცინო, არამედ სოციალურად განპირობებულ გამოწვევას, რასაც პასუხი სათანადო სოციალური პოლიტიკისა და ერთგვარი პოზიტიური ღონისძიებების გატარების მეშვეობით უნდა გაეცეს“.

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ის პირი, რომელსაც ქვედა კიდურები აქვს ამპუტირებული, სახალხო დამცველი შეეცადა იმის შემოწმებას, თუ რა იყო დიფერენცირების ლეგიტიმური მიზანი და რამდენად გამოსადეგი იყო შერჩეული საშუალება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. საკრებულოდან მიღებული წერილით განმარტებული იყო, რომ სპეციალური პარკირების ადგილით ჯანმრთელობის მსუბუქი დარღვევების მქონე პირების სარგებლობამ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ ამ ადგილებით ვეღარ ისარგებლონ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, რომლებიც უფრო მეტ მზრუნველობას საჭიროებენ, ვიდრე მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დიფერენცირება ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ადეკვატური საშუალება იყო.

ამის მიუხედავად, სახალხო დამცველის აზრით, დიფერენცირება ვერ აკმაყოფილებდა პროპორციულობის მოთხოვნებს. პირველი, მიზეზი რის გამოც, სახალხო დამცველმა დიფერენცირება არაპროპორციულად მიიჩნია, იყო ის, რომ საკრებულოს არ ჩაუტარებია ემპირიული კვლევა – მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე შეღავათის გავრცელების შემთხვევაში იმდენად ხომ არ გაიზრდებოდა პარკირების ადგილებით მოსარგებლეთა რიცხვი, რომ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ავტომანქანის პარკირების სივრცე აღარ დარჩებოდა.

მეორე მიზეზი, რის გამოც სახალხო დამცველმა დიფერენცირება დისკრიმინაციულად მიიჩნია, იყო ის, რომ საკრებულოს არ გააჩნდა კომპეტენცია, განესაზღვრა, რომ პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობა ესაჭიროებოდათ მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ასევე პირებს, რომლებსაც ქვედა კიდურები ჰქონდათ ამპუტირებული და არა – სხვა პირებს. სახალხო დამცველმა რეკომენდაციაში მიუთითა „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონზე, რომლის მიხედვითაც, სოციალური დაცვის საჭიროებებს, უნარების შეფასების საფუძველზე, განსაზღვრავს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება. სახალხო დამცველის თქმით, საკითხი, საჭიროებს თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საპარკინგე ადგილებს, უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, იმის მიხედვით, თუ რას სახის დახმარება ესაჭიროება მას კონკრეტული დაბრკოლების აღმოსაფხვრელად: „სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, მათ შორის, სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის უფლების მინიჭების საჭიროება უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ყველა ზემოაღნიშნული მეთოდების გათვალისწინებით, შესაბამისი ექსპერტული კომპეტენციის მქონე პირების მიერ“. თბილისის საკრებულოს ამგვარი კომპეტენცია არ გააჩნია.

ამგვარად, სახალხო დამცველის რეკომენდაციით, საკრებულოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც,

საპარკინგე ადგილებით სარგებლობდნენ პირები, რომელთაც ქვედა კიდურები ჰქონდათ ამპუტირებული და ვერ სარგებლობდნენ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, იყო დისკრიმინაციული.

საქმის მიმდინარეობა: მომჩივანმა სახალხო დამცველს მიმართა 2017 წლის 21 აგვისტოს. სახალხო დამცველმა 2018 წლის 6 აგვისტოს თბილისის საკრებულოს მიმართ გამოსცა რეკომენდაცია, რომლითაც მოითხოვა: ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი განისაზღვროს იმგვარად, რომ სპეციალური საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობა დაკავშირებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალური სადგომით სარგებლობის ინდივიდუალურ საჭიროებასთან და არა – სტატუსთან. საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ გაუზიარებია.

5.5. ნ.მ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ნ.მ. არის 14 წლის, ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც 2009 წლიდან ირიცხება თელავის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. სკოლამ, სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, 2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისში შეიცვალა შენობა, რომელიც მდებარეობს ნ.მ-ს სახლიდან მოშორებით, ამიტომ ნ.მ-ს მშობელი სკოლაში ბავშვის ტარებას ტრანსპორტის გარეშე ვერ ახერხებს.

სკოლამ გამოყო სპეციალური ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მოსწავლეების მიყვანას, თუმცა, ის არ არის ადაპტირებული, შესაბამისად, ნ.მ. აღნიშნული ტრანსპორტით ვერ სარგებლობს. ნ.მ-ს კანონიერმა წარმომადგენელმა – დედამ, ადაპტირებული ტრანსპორტის გამოყოფის მიზნით, განცხადებით მიმართა სკოლას, რათა ბავშვს არ შეზღუდვოდა განათლების მიღების უფლება. ასევე, 2017 წლის 1-ლ ნოემბერს მან ანალოგიური თხოვნით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნულის მიუხედავად, არც სკოლის და არც განათლების სამინისტროს მხრიდან ტრანსპორტის უზრუნველყოფის მიზნით რაიმე სახის ქმედება არ განხორციელებულა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება შშმ პირის მიერ განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნის გონივრულ მისადაგებას.

სამართლებრივი დასაბუთება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტის განმარტების თანახმად, როდესაც პირს აქვს განსაკუთრებული საჭიროებები და მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის მისაწვდომობის სტანდარტი, უნდა მოხდეს გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენება. აღნიშნული პრინციპის განხორციელების პირდაპირი ვალდებულება აქვთ სახელმწიფოებს იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იწვევს გაუმართლებელ ტვირთს/სიძნელეს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობის მოსწავლეებისთვის მისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყო ტრანსპორტის დანიშვნით, ნ.მ-სთვის, მისი შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს მომსახურება არ იყო ხელმისაწვდომი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახეზეა უარი გონივრულ მისადაგებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლას, ზოგადი სტანდარტისგან განსხვავებით, მოსარჩელისთვის უნდა შეეთავაზებინა მასზე მორგებული, მისი საჭიროებების შესაბამისი მომსახურება, რაც უნდა გამოხატულიყო ადაპტირებული ტრანსპორტით უზრუნველყოფაში, ვინაიდან უბრალოდ ტრანსპორტის დანიშვნით ვერ დაკმაყოფილდა მისი განსაკუთრებული საჭიროებები, შესაბამისად, ნ.მ. აღმოჩნდა უთანასწორო მდგომარეობაში სკოლის სხვა მოსწავლეებთან მიმართებით.

საქმის მიმდინარეობა: საანგარიშო პერიოდში ნ.მ-მ მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს, რომელსაც საანგარიშო პერიოდში ამ საქმეზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

5.6. დ.კ. ნოტარიუსის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: დ.კ. არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც იმყოფება სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ და ირიცხება სათემო ორგანიზაციაში. საგულისხმოა, რომ იგი არასოდეს ყოფილა აღიარებული ქმედუუნარო პირად. იქიდან გამომდინარე, რომ დ.კ-ს სოციალური გასაცემლით სარგებლობის კუთხით ესაჭიროებოდა დახმარება, გადაწყვიტა სათემო ორგანიზაციის თანამშრომლისთვის მიენიჭებინა მისი სახელით საპენსიო საქმის წარმოებისა და ბანკთან ურთიერთობის უფლებამოსილება.

სათემო ორგანიზაციის თანამშრომლისთვის რწმუნებულების გაფორმების მიზნით, დ.კ-მ 2017 წლის 19 მაისს მიმართა ერთ-ერთ ნოტარიუსს. სანოტარო ბიუროში ასევე იმყოფებოდნენ დ.კ-ს თანმხლები პირე-

ბი. ერთ-ერთმა თანმხლებმა პირმა ნოტარიუსს განუმარტა, რომ დ.კ. იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და არ იცოდა წერა-კითხვა. მას შემდეგ, რაც ნოტარიუსისთვის ცნობილი გახდა, რომ დ.კ. იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, გადაწყვიტა შეკითხვების დასმის გზით შეეფასებინა მისი ქმედუნარიანობა.

კითხვების დასმის შემდეგ ნოტარიუსმა უარი განაცხადა სანოტარო მომსახურების გაწევაზე იმ საფუძვლით, რომ შეკითხვებზე არაზუსტი პასუხების გაცემის გამო მან ეჭვი შეიტანა დ.კ-ს ქმედუნარიანობაში. აღსანიშნავია, რომ ნოტარიუსმა დ.კ-ს ისე დაუსვა კითხვები, არ გაუთვალისწინებია მისი ინდივიდუალური საჭიროებები, არ იყო გამოყენებული მარტივი საკომუნიკაციო ენა, რაც დაეხმარებოდა დ.კ-ს გარემოსთან ადაპტაციაში. ამასთან, ნოტარიუსის მიერ დ.კ-სთვის დასმული კითხვები ძირითადად შეეხებოდა იმას, თუ როდის და სად დაიბადა იგი. რეალურად, ნოტარიუსს არ დაუსვამს არცერთი კითხვა, რომელიც მიმართული იქნებოდა დ.კ-ს ნების ნამდვილობის დადგენისკენ.

საქმის მნიშვნელობა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ გარიგების დადების შესაძლებლობა.

სამართლებრივი გარემოებები: მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ირიბი დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, ვინაიდან ნოტარიუსის მხრიდან არ იყო გათვალისწინებული დ.კ-ს ინდივიდუალური საჭიროებები და კითხვები არ იყო დასმული მისი ინტელექტუალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ნოტარიუსმა დ.კ-ს დაუსვა სტანდარტული შეკითხვები, რომლებსაც დაუსვამდა ნებისმიერ სხვა, ინტელექტუალური შეზღუდვის არმქონე პირს. სადავო შემთხვევამ აჩვენა, რომ ნოტარიუსებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების დროს აქვთ ერთიანი მიდგომა/პრაქტიკა, რომელიც გამორიცხავს ადაპტირებული ფორმით ინფორმაციის მიწოდებას და მიღებას, კომუნიკაციის დამყარებას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი არ არის სასამართლოს მიერ გამოცხადებული მხარდაჭერის მიმღებად, ის გარიგებაუნარიანი პირია და სარგებლობს იმგვარი ნების გამოვლენის უფლებით, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, გახდეს კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილე, სხვებთან თანასწორად და კანონის შესაბამისად. ნების გამოვლენის ნამდვილობის განსაზღვრა, თუკი პირს აქვს გაცნობიერებული ნება ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის მიღწევისა და გარეშე პირთათვის გასაგები ფორმით ავლენს აღნიშნულ ნებას, არ უკავშირდება მენტალური ქმედუნარიანობის სტატუსს. მსგავსი მიდგომა იქნებოდა დისკრიმინაციული ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებით და ჩაითვლებოდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის მიერ დამკვიდრებული და საქართველოს კანონმდებლობით გაზიარებული ქმედუნარიანობის პოლიტიკის აშკარა დარღვევად.

ამრიგად, სრულად ქმედუნარიანის სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მინიჭებულია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის მხარდაჭერის რეფორმის ფარგლებში და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის მიერ დამკვიდრებული სტანდარტის შესაბამისია, გულისხმობს მათ აღიარებას გარიგებაუნარიან პირებად. გარიგებაუნარიანობა კი მოიაზრებს უფლებას იმგვარი ნების გამოვლენისთვის, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ამიტომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა მიერ გამოვლენილი ნება სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისთვის ლეგიტიმურია იმდენად, რამდენადაც ლეგიტიმური და კანონმდებლობით აღიარებულია მათთვის განსაზღვრული სრულად ქმედუნარიანის სამართლებრივი სტატუსი.

საქმის მიმდინარეობა: საანგარიშო პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს არ ჩაჰბარებია.

5.7. ნ.ტ. შპს „Wonderland Preschool“-ის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ნ.ტ. სკოლამდელი აღზრდის განათლების მიღების მიზნით ირიცხებოდა შპს „Wonderland Preschool“-ის 2 წლის ასაკის აღსაზრდელთა ჯგუფში. 2018 წლის იანვარში ბაღის ადმინისტრაციამ დაწესებულებიდან გარიცხა ნ.ტ. იმ საფუძვლით, რომ იგი არის აგრესიული, ზედმეტად აქტიური და არ შეუძლია ჯგუფში მუშაობა. გარიცხვის დოკუმენტში ასევე მიეთითა, რომ სხვა აღსაზრდელების მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ნ.ტ-ს ქმედებებთან დაკავშირებით.

შპს „Wonderland Preschool“-ის განმარტებით, ჯგუფური აქტივობის დროს ბავშვი აგრესიულ ქცევას ამჟღავნებდა, რაც გამოიხატებოდა სხვა ბავშვებისთვის სათამაშოს თავში ჩარტყმაში, სკამის მოქნევაში, და-

კაწვრაში, კბენაში, თმების მოქაჩვასა და ბავშვის წაქცევაში. მსგავსი ქცევების სიხშირე 10 წუთის განმავლობაში 3-4 ინციდენტს უტოლდებოდა.

საბავშვო ბაღიდან გარიცხვამდე, 2017 წლის ნოემბერში, ბაღის დირექტორი და ფსიქოლოგი შეხვდნენ ნ.ტ-ს მშობლებს და განუმარტეს, რომ ფსიქოლოგის რეკომენდაციის თანახმად, ბავშვს ბაღი დროებით – ერთი ან ორი თვის განმავლობაში უნდა დაეტოვებინა. მოგვიანებით, პოზიცია შეცვალეს და მშობლებს შესთავაზეს, ბავშვი ნახევარ განაკვეთზე ეტარებინათ, რასაც მშობლები არ დათანხმდნენ, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ბავშვს თავისუფლად შეეძლო სრულ განაკვეთზე დარჩენა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება აღქმით დისკრიმინაციას, რამაც გამოიწვია ბავშვისთვის სკოლამდელი განათლების უფლების ხელშეშლა.

სამართლებრივი შეფასება: ამ საქმეში ბავშვი არ იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ამის მიუხედავად, ამ ნიშნით მოხდა მისი აღქმითი დისკრიმინაცია. სახალხო დამცველის რეკომენდაციაში აღნიშნულია: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. მითითებული ნორმა თავის თავში მოიცავს აღქმით დისკრიმინაციას. აღქმითი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ადამიანს განსხვავებულად ეპყრობიან იმის გამო, რომ, დისკრიმინაციის ჩამდენის აღქმით, მას დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე ნიშანი აქვს. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, პირი რეალურად იყოს დაცული ნიშნის მატარებელი. მოცემულ შემთხვევაში ბავშვს არ ახასიათებდა ჰიპერაქტიური ქცევა. ამის მიუხედავად, მისი ჩაყენება არახელსაყრელ მდგომარეობაში სწორედ ამ ნიშნით მოხდა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მე-5 სტანდარტის თანახმად, აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ახორციელებენ ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული ბავშვის მიმართ. მართალია, ამ საქმეში უტყუარად არ დადგინდა, რომ ნ.ტ-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა აგრესიულ ქმედებას სხვა ბავშვების მიმართ, თუმცა, ამის მიუხედავად, ბაღის დირექციას მასთან ინდივიდუალური სამუშაო არ ჩაუტარებია.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ბაღმა არ გადადგა სათანადო და აუცილებელი ნაბიჯები მის მიერვე დასახელებული პრობლემის აღმოსაფხვრელად. აღნიშნულის ნაცვლად, ბაღის ადმინისტრაციამ ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება ბავშვის გარიცხვის შესახებ, რაც ვერ იქნება მიჩნეული გამართლებულად. მოპასუხე მხარემ ვერ დაასახელა ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოშობილ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს გააქარწყლებდა.

სახალხო დამცველის შეფასებით, მოპასუხე მხარე არ მოქმედებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ბავშვის ბაღიდან გაშვება ვერ იქნება მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესად, ვინაიდან გარიცხვამ, შესაძლებელია, მძიმე ტრავმა მიაყენოს აღსაზრდელის ფსიქიკას. გარდა ამისა, ჰიპერაქტიურობის გამო ბაღიდან ბავშვის გარიცხვა საგანგაშოა იმ მხრივაც, რომ ბავშვები, რომელთა ქცევის მართვა სხვა აღსაზრდელებთან შედარებით მეტ რესურსს მოითხოვს, შესაძლოა, დამატებით ტვირთად იყვნენ აღქმულნი. აღნიშნული კი, წარმოშობს საბავშვო ბაღის მხრიდან ერთპიროვნული, დისკრიმინაციული გადაწყვეტილების მიღების მაღალ რისკს.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 16 აპრილს სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ „Wonderland Preschool”-ის მხრიდან ნ.ტ. გახდა ქცევის ნიშნით აღქმითი პირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლი და რეკომენდაციით მიმართა მოპასუხე მხარეს, აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მომსახურების განხორციელების პროცესში იხელმძღვანელოს თანასწორობის დაცვის პრინციპით.

5.8. ნ.ნ. და მ.ა. ნოტარიუსის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ნ.ნ. და მ.ა. არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ და ირიცხებიან სათემო ორგანიზაციაში. ისინი არასოდეს ყოფილან აღიარებულნი ქმედუუნარო პირებად. იქიდან გამომდინარე, რომ გარკვეულ საკითხებში ესაჭიროებოდათ დახმარება, მათ გადაწყვიტეს კონკრეტული პირებისთვის მიენიჭებინათ სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

სანოტარო მომსახურების მიღების მიზნით, 2017 წლის 11 სექტემბერს მათ მიმართეს ერთ-ერთ ნოტარიუსს და მოითხოვეს მათ მიერ მითითებულ პირებზე სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამო-

სილების მინიჭება. თანმხლებმა იურისტმა ნოტარიუსის თანაშემწეს აცნობა, რომ მარწმუნებლები იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და არ იცოდნენ წერა-კითხვა. სწორედ ამიტომ, სანოტარო მომსახურების მიღების უზრუნველსაყოფად, ადგილზე წარმოდგენილი იყო ორი მოწმე. თანაშემწემ ნოტარიუსს მიაწოდა ინფორმაცია მოქალაქეთა სტატუსის შესახებ, რის შემდეგაც ნოტარიუსმა, წამიერი დათვალიერების შედეგად, ნ.ნ-ს, მ.ა-ს და თანმხლებ იურისტს განუმარტა, რომ ვიზუალური შეფასებიდან გამომდინარე კატეგორიულ უარს აცხადებდა მინდობილობის გაფორმებაზე. მიუხედავად იურისტის დაჟინებული თხოვნისა, გასაუბრებოდა, შეემოწმებინა აღნიშნულ პირთა ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, მან უარი განაცხადა და მიუთითა, რომ ვიზუალური შეფასებით ყველაფერი ნათელი იყო.

საქმის მნიშვნელობა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობა, დადონ გარიგება.

სამართლებრივი დასაბუთება: შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების სრულუფლებიან წევრებს, აქვთ სანოტარო მომსახურების შეუზღუდავად მიღების უფლება. აღნიშნულის საპირისპიროდ, ნოტარიუსმა მოსარჩელეებს თვითნებურად შეუზღუდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების უფლება. ამასთან, საგულისხმოა, რომ ნოტარიუსის შეფასებით, მოსარჩელეები „იყვნენ აშკარა ვიზუალური, ფიზიკური და გამოხატული ფსიქიკური მოშლილობის მქონე პირები, რომელთაც ახასიათებდათ სხეულის უნებლიე მოძრაობები, ვერ იმორჩილებდნენ მიმიკურ კუნთებს და იყვნენ არაადეკვატურები“.

ნოტარიუსის მხრიდან მოსარჩელეებისთვის მსგავსი საფუძვლით უფლების შეზღუდვა შესაძლებელია შეფასდეს, როგორც უარი სამართლის სუბიექტად აღიარებაზე, რაც არ არის თანხვედრაში საერთაშორისო სტანდარტებთან და წარმოადგენს თანასწორობის უფლებაში უხეშ ჩარევას.

ქმედუნარიანობის შემოწმებასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ პირის ქმედუნარიანობის შემოწმება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და მის ხედვას პირის ნების გამოვლენის თაობაზე. არ შეიძლება ის დაემყაროს მხოლოდ სუბიექტურ აღქმას და მრავალჯერადად გამოყენებულ პრაქტიკას. განსახილველ შემთხვევაში ნოტარიუსს არ დაუსვამს არცერთი კითხვა და შემოიფარგლა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით, რაც წარმოადგენს სანოტარო მოქმედების განხორციელების თვითმიზნურ შეზღუდვას.

საქმის მიმდინარეობა: მომჩივანმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საანგარიშო პერიოდში სასამართლოს ამ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

5.9. PHR ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წინააღმდეგ

ფაქტობრივი გარემოებები: ინსტიტუციაში მცხოვრებ იმ პირებს, რომელთა მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურებიც მიმდინარეობს სასამართლოში, არ აქვთ წვდომა საკუთარ პენსიაზე. ამის საპირისპიროდ, სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც არ არიან ინსტიტუციაში მოთავსებულნი, მაგრამ საჭიროებენ სტატუსის ცვლილებას, ეფექტური სამართლებრივი დახმარების მიღების პირობებში, უპრობლემოდ სარგებლობენ სოციალური გასაცემლით.

საქმის მნიშვნელობა: მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთა წვდომა ფულად დახმარებაზე.

სამართლებრივი შეფასება: აღნიშნული მიდგომა არათანაბარ პირობებში აყენებს ერთსა და იმავე მდგომარეობაში მყოფ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ადამიანებს. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები, რომელთა სტატუსის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუღია, სარგებლობენ სოციალური გასაცემლით. ასეთი შესაძლებლობა არ აქვთ იმ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს, რომლებიც ინსტიტუციებში იმყოფებიან. ამგვარად, სახეზეა განსხვავებული მოპყრობა საცხოვრებელი ადგილისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. ორივე ჯგუფს აქვს ერთნაირი ინტერესი, მიიღოს სოციალური გასაცემელი. მსგავს მოპყრობას არ გააჩნია სათანადო და ობიექტური გამართლება.

საქმის მიმდინარეობა: PHR-მა სახალხო დამცველს მიმართა 2018 წლის 17 იანვარს. 2018 წლის 2 თებერვალს სახალხო დამცველმა ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით მიმართა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს, რომლისგანაც პასუხი მიიღო 2018 წლის 15 მარტს. სახალხო დამცველმა დამატებით წერილობით მიმართა ფონდს 2018 წლის 6 აგვისტოს და აღნიშნულ წერილზე პასუხი მიიღო 2018 წლის 9 აგვისტოს. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს ამ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ მიუღია.

6. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით

სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა პირდაპირ არის მოხსენიებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში. საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრმა ორგანიზაციამ – WISG-მა აწარმოა ორი საქმე გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით. ასევე, სახალხო დამცველმა მიიღო ერთი ზოგადი წინადადება საიასა და EMC-ის ერთ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება როგორც სექსუალური ორიენტაციის, ისე გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციას. ტრანსგენდერი ადამიანები კვლავაც აწყდებიან პრობლემებს საცხოვრებელი ადგილის ქირავნობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესაძლებლობას.

6.1. ნ.მ. ლ.მ-ს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: 2018 წლის 8 თებერვალს ნ.მ-სა და ლ.მ-ს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება ლ.მ-ს უძრავი ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებით. შეთანხმების თანახმად, ნ.მ-ს სარგებლობაში გადაეცა ლ.მ-ს კუთვნილი უძრავი ქონება, სადაც უნდა ეცხოვრა პარტნიორთან და ორ მეგობარ ტრანსგენდერ ქალთან ერთად, სანაცვლოდ კი, ნივთის მეპატრონისთვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 550 ლარი. შეთანხმებიდან რამდენიმე დღეში ლ.მ-მ შეიტყო, რომ ნ.მ. ტრანსგენდერი ქალია. 2018 წლის 16 თებერვალს მან და მისმა შვილმა ზ.მ-ს მიაყენეს შეურაცხყოფა და მოსთხოვეს აღნიშნული ფართის დაუყოვნებლივ დატოვება. ნ.მ. ვარაუდობს, რომ ლ.მ-ს მოთხოვნა მოტივირებულია ტრანსფობიური სიძულვილით და მისი გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მიმართ შეუწყნარებლობით.

2018 წლის 16 თებერვალსვე ნ.მ-მ გამოიძახა პოლიცია, რადგან შეეშინდა, ლ.მ-სა და მის შვილთან კონფლიქტი ფიზიკურ დაპირისპირებასა და მისი და მისი მეგობრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებაში არ გადაზრდილიყო. 2018 წლის 21 თებერვალს ზ.მ. სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ნ.მ-ს მეგობარ ტრანსგენდერ ქალებს. მუქარის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 2018 წლის 23 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის მე-2 განყოფილებაში (მდებარე ქ. ბათუმში, გორგილაძის ქუჩაზე). პოლიციის ძალისხმევითა და დახმარებით მოხერხდა ზემოხსენებული ფართის მეპატრონესა და მის შვილთან მედიაცია. მედიაციის შედეგად ნ.მ-სა და მის მეგობრებს საშუალება მიეცათ, ახალი საცხოვრებლის მოძებნამდე დარჩენილიყვნენ ლ.მ-ს კუთვნილ ფართში. 2018 წლის 7 მარტს ქალებმა შეძლეს ახალი საცხოვრებლის მოძიება და აღნიშნული ფართი დატოვეს.

საქმის მნიშვნელობა: ტრანსგენდერი ადამიანების უფლება, ხელი მიუწვდებოდეთ ბაზარზე გამოტანილ საცხოვრებელ სახლზე.

სამართლებრივი დასაბუთება: მომჩივანს მიაჩნია, რომ ადგილი ჰქონდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის დარღვევას, რომლითაც იკრძალება დისკრიმინაცია გენდერული იდენტობის ნიშნით. ასევე, ადგილი ჰქონდა ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალულ პირდაპირ დისკრიმინაციას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი ვალდებულია, გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. ამავე კოდექსის 69-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ნ.მ-ს განმარტებით, ის და ლ.მ. შეთანხმდნენ, რომ გარიგების ზეპირი ფორმა ორივე მხარისთვის მისაღები იყო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 561-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 562-ე მუხლი განსაზღვრავს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს და მიუთითებს, რომ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა გამქირავებელს შეუძლია მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას (პუნქტი 1). ამავე მუხლის მეორე პუნქტში ჩამოთვლილია პატივსადები მიზეზები: ა) დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია; ბ) გამქირავებელს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავებისთვის; გ) დამქირავებელი უარს ამბობს, გადაიხადოს გამქირავებლის მიერ შეთავაზებული გაზრდილი ქირა, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ბინის ქირას; დ) დამქირავებელმა გამქირავებლის მიმართ ჩაიდი-

ნა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას.

ნ.მ. მიიჩნევს, რომ არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი საფუძველი სახეზე არ ყოფილა მაშინ, როდესაც გამქირავებელმა მასთან ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვა. შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ გამქირავებელს უნდა განემარტა, თუ რატომ გადაწყვიტა ხელშეკრულების მოშლა ვადამდე და თანაც კანონის მოთხოვნათა დაუცველად.

საქმის მიმდინარეობა: სახალხო დამცველმა ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტს. დეპარტამენტის 2018 წლის 14 მაისის წერილის თანახმად, ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე – ნ.მ-ს მეგობარი ტრანსგენდერი ქალის ა.მ-ს მიმართ განხორციელებულ მუქარის ფაქტზე. წერილში აღნიშნული იყო, რომ პოლიციის მიერ გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, გამოიკითხნენ მოწმეებიც, თუმცა, მითითებული დროისთვის დისკრიმინაციული მოტივი არ იკვეთებოდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობდა და არავინ იყო ცნობილი დაზარალებულად ან ბრალდებულად, თუმცა, გამოძიება კვლავ გრძელდებოდა.

სახალხო დამცველმა თავის 2018 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ორჯერ გამოითხოვა ინფორმაცია მოპასუხე ლ.მ-სგან, თუმცა, წერილობითი პასუხი არ მიუღია. გამქირავებელთან ზეპირი გასაუბრების დროს ლ.ნ-მ განაცხადა, რომ ის არ იცნობს ნ.მ-ს და ქირავნობის ხელშეკრულება დადო სხვა პიროვნებასთან ერთი თვის ვადით.

სახალხო დამცველმა გადაწყვეტილებაში მიუთითა საქართველოს კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ მტკიცებულებების არარსებობის გათვალისწინებით, განსახილველ საქმეში დისკრიმინაცია არ გამოიკვეთა.

6.2. რ.ფ. გ.მ. ვ.მ. თ.გ. და დ.ჩ. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ამ საქმეში განმცხადებელია 5 ტრანსგენდერი პირი. განმცხადებლებისთვის აუცილებელი სამედიცინო პროცედურების დაფინანსება არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ყველა განმცხადებელი დროებით უმუშევარია და, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, თავად გადაიხადონ სამედიცინო პროცედურების საფასური. განმცხადებლებმა ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების (რომლებიც უნდა ჩაეტარებინათ შპს ენდოკრინოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში) დაფინანსებისთვის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების თანახმად, მიმართეს „რეფერალური მომსახურების ფარგლებში“ პაციენტისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილ კომისიას. კომისიის გადაწყვეტილებით, მათ დაფინანსებაზე უარი ეთქვათ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

საქმის მნიშვნელობა: საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანების შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებოდეთ ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისებზე.

სამართლებრივი დასაბუთება: „რეფერალური მომსახურების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიისთვის მიმართვის უფლებამოსილებით სარგებლობს ნებისმიერი პირი, მიუხედავად იმისა, რა ტიპის სახელმწიფო დაზღვევას ექვემდებარება იგი ან, საერთოდ, სარგებლობს თუ არა ამგვარი დაზღვევით. მოპასუხის განმარტებით, დასახელებული პროგრამები წარმოადგენს რეალურ ალტერნატივას მოსარჩელეთა კატეგორიის პირებისთვის, მეტიც, უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან მიღებული დაფინანსება, შესაძლებელია, რიგ შემთხვევებში აჭარბებდეს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მისაღებ სარგებელს. ამასთან, კომისია ყოველ განაცხადს განიხილავს ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით და გადაწყვეტილებას იღებს მიზანშეწონილობის კრიტერიუმით. თუმცა, არსებობს პრაქტიკა, რომლითაც შეიძლება დადგინდეს, რა ტიპის სამედიცინო შემთხვევების დაფინანსება ხდება ყველაზე ხშირად. კომისია აფინანსებს ისეთი მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო მომსახურებას, როგორებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახები, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების დროს დაზარალებული ადამიანები, გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული პირები. ამგვარი პირების მოთხოვნათა განხილვა/დაკმაყოფილება და-

მოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იფარება მათი ხარჯები დაზღვევის ან სხვა სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით. დაფინანსების მეთოდი კი, ითვალისწინებს გარკვეულ ფარგლებში ბენეფიციართა მხრიდან თანაგადახდის ვალდებულებას.

დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში გუბერნატორის ადმინისტრაციის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შუამდგომლობების საფუძველზე, განაცხადის წარდგენაზე უფლებამოსილ პირებად აცხადებს აგრეთვე საქართველოს სხვა მოქალაქეებს, რომელთათვის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება, შესაძლოა, მოხდეს აუცილებელი საზოგადოებრივი ან/და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

იმავე მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად, პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული სამედიცინო დახმარების კომპონენტით მოსარგებლეთა ჩამონათვალის არსებობის მიუხედავად, კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება დაშვებული იყოს გამონაკლისი. ამგვარად, კომისიისთვის მიმართვის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, განურჩევლად იმისა, იგი სარგებლობს საბაზისო სადაზღვევო პაკეტით თუ ნაწილობრივ ან სრულად ეზღუდება მსგავსი პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, როგორც ამავე დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და მოპასუხეთა პოზიციიდან ირკვევა, კომისია დაფინანსების მაძიებელზე თანხის გაცემისას ხელმძღვანელობს მიზანშეწონილობის სტანდარტით, ითვალისწინებს რა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებულ გარემოებათა ერთობლიობას. საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარემ დაადასტურა, რომ არ არსებობს წინასწარ დადგენილი მკაფიო კრიტერიუმები, რომლებიც დაფინანსების მაძიებელს მისცემს შესაძლებლობას, წინსწრებით განსაზღვროს საკუთარი განაცხადის დაკმაყოფილების შანსები. არსებობს მხოლოდ კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სტატისტიკა, რომელიც, შესაძლოა, მხოლოდ ზოგად წარმოდგენას ქმნიდეს ამგვარ კრიტერიუმებზე.

„რეფერალური მომსახურების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისია ვალდებული იყო, განმცხადებლის განაცხადის განხილვისას მხედველობაში მიეღო მისი ინდივიდუალური თავისებურება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ასევე, გაეთვალისწინებინა ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები და მათი უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით იკრძალება ირიბი დისკრიმინაცია. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური – უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ გამორიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ვერ აკმაყოფილებენ რაიმე კრიტერიუმს. ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

მომჩივნის განცხადების განხილვისას კომისიას უნდა ემსჯელა განმცხადებლის ინდივიდუალურ თავისებურებაზე და პასუხი გაეცა კითხვაზე: ჰქონდა თუ არა განმცხადებელს საშუალება, სხვაგვარად მოეპოვებინა დაფინანსება ხსენებული სამედიცინო პროცედურებისთვის. ასევე, კომისიას გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გაეთვალისწინებინა ტრანსგენდერი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში და უარი დაესაბუთებინა კანონით დადგენილი წესით.

საქმის მიმდინარეობა: საანგარიშო პერიოდში ხუთმა ტრანსგენდერმა ადამიანმა მიმართა სახალხო დამცველს და ითხოვა ირიბი დისკრიმინაციის დადგენა, ასევე, უწყებათაშორისი კომისიისთვის რეკომენდაციით მიმართვა, რათა დაფინანსდეს ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურება, კერძოდ, დიაგნოსტიკური პროცედურები. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს საქმის განხილვა არ დაუსრულებია.

6.3. ლ.ბ. თ.კ. და სხვები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას და EMC-ს მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: 2017 წლის 25 აგვისტოს, გამთენიისას, ბათუმის ბულვარში, ლგბტი საკითხებზე მომუშავე „თანასწორობის მოძრაობის“ წევრებს ლ.ბ-ს და თ.კ-ს, რომლებიც თავს გეი თემს მიაკუთვნებენ, ასევე, მათ ორ მეგობარ ტრანსგენდერ ქალს თავს დაესხნენ უცნობი პირები. განმცხადებლები

პოლიციის თანამშრომლებისგან ითხოვდნენ დახმარებას, რომლებიც ხედავდნენ არსებულ ვითარებას, თუმცა, უმოქმედოდ შორიდან აკვირდებოდნენ. მოგვიანებით, პოლიციის თანამშრომლებმა ძალის გამოყენებით დააკავეს მხოლოდ თ.კ. და ლ.ბ. ამ უკანასკნელთა განმარტებით, პოლიციის თანამშრომლებმა მათ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ჰომოფობიური ნიშნით. დაკავებულთა ინფორმაციით, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი ჰქონდა პოლიციის განყოფილებაშიც, სადაც მათ რამდენიმე საათი დაჰყვეს. შემდგომ ისინი გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მთლიანად გააშიშვლეს და ბუქნები გააკეთებინეს.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ტრანსფობიური და ჰომოფობიური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას.

სამართლებრივი გარემოებები: სახალხო დამცველის ზოგად წინადადებაში აღნიშნულია: საქართველოს სახალხო დამცველმა 2015-2017 წლებში, მომართვის თუ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, შეისწავლა 30-ზე მეტი ფაქტი, რომლებიც ეხებოდა რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი, სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პროცესში არსებულ ხარვეზებს.

ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილით ჩადენილი ფაქტის გამოძიებისას, საგამოძიებო ორგანოს ცნობით, მცდელობის მიუხედავად, დისკრიმინაციული მოტივი არ გამოიკვეთა ან, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაიწყო. თუმცა, ბუნდოვანი რჩება, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ასეთი მოტივის იდენტიფიცირების მიზნით.

ზოგად წინადადებაში აღნიშნულია: სახალხო დამცველის წარმოებაში არის ასევე არაერთი განცხადება, რომლითაც განმცხადებლები სამართალდამცავთა მხრიდან მიყენებულ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე მიუთითებენ. ასეთი ფაქტები, ძირითადად, ვლინდება ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ – პოლიციელები იყენებენ ჰომოფობიურ გამონათქვამებს, ტრანსგენდერ ქალს ეპყრობიან, როგორც მამაკაცს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ტენდენცია გაუმჯობესებულია. კერძოდ, 2017 წელს სიძულვილის მოტივის შესწავლა მიმდინარეობდა 86 საქმეზე, საიდანაც 12 საქმეში იდენტიფიცირებული იყო სექსუალური ორიენტაციის ნიშანი, ხოლო 37 საქმეში – გენდერული იდენტობის ნიშანი.

სახალხო დამცველმა ზოგად წინადადებაში მიუთითა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების შესახებ“ შემუშავებულ სახელმძღვანელოზე, სადაც განმარტებულია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ცნება:

- სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება (ე.წ. ძირითადი დანაშაული);
- ქმედება/უმოქმედობა, რომელიც მოტივირებულია მსხვერპლის მიმართ გარკვეულ ნიშან-თვისებაზე (მათ შორის, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა) დაფუძნებული წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობით, ე.წ. სიძულვილის მოტივით – The bias motivation.

სახალხო დამცველის ზოგად წინადადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (არასათანადო მოპყრობისგან დაცვა) მუხლებიდან გამომდინარეობს ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება. გამოძიების ეფექტიანობა გულისხმობს საქმეზე ფაქტების დადგენას, პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და დასჯას. ეს წარმოადგენს არა შედეგის მიღების, არამედ გამოძიების წარმართვის ვალდებულებას, კერძოდ, ხელისუფლებამ ყველა საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩაატაროს გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნით. აღნიშნულ საკითხზე დარღვევის დადგენისთვის ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, მაგალითად, ის გარემოებები, რომ გამოძიება დაგვიანებით დაიწყო, პირი დაგვიანებით დაიკითხა და ა.შ.

როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ დანაშაული ჩადენილია რომელიმე დისკრიმინაციული საფუძვლით, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი დამატებით ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს – იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტიანად იყოს მიჩნეული, აუცილებელია, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით და ასეთი მოტივი არ დარჩეს სამართლებრივი რეაგირების მიღმა. ხელისუფლებამ არ უნდა დაფაროს ისეთი საეჭვო გარემოებები, რომლებიც სიძულვილის მოტივზე მიუთითებს. ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე – ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, სადაც აღნიშნულია, რომ კონ-

ვენციის მე-2 და მე-14 მუხლები სახელმწიფოს ავალდებულებს, სავარაუდო თავდამსხმელის მხრიდან მსხვერპლის მისამართით გაკეთებული დისკრიმინაციული მიმართვა გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოებისთვის დანაშაულის შესაძლო სიძულვილის მოტივით ჩადენის მანიშნებელი.

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის შემთხვევების ან სხვა ინციდენტების დროს ეფექტიანი, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება. ნებისმიერი ჰომოფობიური ან ტრანსფობიური მოტივი აუცილებლად უნდა იყოს იდენტიფიცირებული და, შესაბამისად, აღრიცხული სამართალდამცავი ორგანოების მიერ. დისკრიმინაციული ქმედების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის ფორმულირებისთვის.

გამოძიების დაწყების ფაქტი ვერ დააკმაყოფილებს ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თუ მას არ მოჰყვება რაიმე სწრაფი და ქმედითი საგამოძიებო მოქმედებები. იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიების ჩატარების ვალდებულება უკავშირდება მხოლოდ გამოსაყენებელ საშუალებებს და არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ან მსჯავრის დადების მიღწევის შეუზღუდავი უფლება, გამოძიების პროცესში არსებული ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც არსებითად ართულებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პროცესს, წინააღმდეგობაში მოდის ეფექტიანი გამოძიების ვალდებულებასთან.

სახალხო დამცველის აზრით, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- მოხდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეკრება და გასაჯაროება;
- წახალისდნენ დაზარალებული და მოწმე, რათა განაცხადონ საგამოძიებო ორგანოებში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თაობაზე;
- მოხდეს პოლიციელების, პროკურორების და მოსამართლეების გადამზადება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით;
- ჩატარდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება.

საქმის მიმდინარეობა: საიამ ლ.ბ-სა და თ.კ-სთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე სახალხო დამცველს მიმართა 2017 წლის 22 ნოემბერს. აღნიშნულ საკითხს, საკუთარი ინიციატივით, სწავლობდა სახალხო დამცველიც. საქმეში ასევე ჩართულია EMC. სახალხო დამცველმა ამ და სიძულვილით მოტივირებულ კიდევ სხვა საქმეებთან დაკავშირებით ზოგადი წინადადება გამოსცა 2018 წლის 15 აგვისტოს.

ზოგად წინადადებაში მთავარი პროკურატურის მიმართ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით პროკურატურის თანამშრომლების გადამზადება;
- სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოება.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროსაც. კერძოდ:

- შსს-ში ჩამოყალიბდეს სიძულვილის დანაშაულის გამომძიებელი სპეციალიზებული დაწესებულება (ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას, სახალხო დამცველმა არასაკმარისად მიიჩნია სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად);
- სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გადამზადება;
- დისკრიმინაციის საფუძვლების მითითებით მოხდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკის წარმოება.

7. დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე – გუჩა კვარაცხელია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ – მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „ასაკი არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში მითითებული დიფერენცირების ნიშანს".[11] ამის მიუხედავად, ეს იყო პირველი საქმე, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ დაწესებულების ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ასაკოვანი პირების დაცვა დისკრიმინაციისა და სტიგმატიზებისგან. ის ფაქტი, რომ, ზოგადად, ასაკის მატების თანმდევი შედეგია ადამიანის ფიზიკური ამტანობის შესუსტება და გარკვეული უნარების დაქვეითება, თავისთავად ვერ გახდება ასაკთან დაკავშირებული ნებისმიერი ბლანკეტური შეზღუდვის დაწესების თვითკმარი საფუძველი. ამგვარი მიდგომა გაუმართლებლად ფართო სივრცეს დატოვებდა ასაკის ნიშნით ადამიანების დიფერენცირებისთვის, რაც, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში არ იყოს განპირობებული რაციონალური და ობიექტური საჭიროებით და, შედეგად, მოახდინოს გარკვეულ ზღვრულ ასაკს მიღწეული ადამიანების თვითმიზნური დისკრიმინაცია".[12]

ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არის მოხსენიებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონში. ამ თავში მოცემულია როგორც ხანდაზმული ადამიანების ასაკობრივი დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, ისე ბავშვების დისკრიმინაცია საგანმანათლებლო და მართლმსაჯულების სფეროში, რაც ასევე ასაკობრივი დისკრიმინაციიდან გამომდინარე პრობლემას წარმოადგენს.

7.1. კ.შ. შპს „მოდუსის" წინააღმდეგ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე კ.შ-მ 2014 წელს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობა დაიწყო შპს „მოდუსში" დამლაგებლის თანამდებობაზე. ის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა. მის მიერ შესრულებული სამუშაოთი უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს. შპს „მოდუსში" თითქმის 3-წლიანი მუშაობის მანძილზე არც ერთხელ არ მიუღია შენიშვნა ან გაფრთხილება. მოვალეობის ზედმიწევნით კარგად შესრულებისთვის 2017 წლის 1-ლი მაისიდან ანაზღაურება 50 ლარით გაეზარდა.

2017 წლის 29 ივლისს შპს „მოდუსის" მენეჯერმა შეადგინა სამსახურებრივი ბარათი საწარმოს დირექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული იყო კ.შ-ს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისა და სამუშაოსთვის თავის არიდების ფაქტების შესახებ. აღნიშნული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, 2017 წლის 1-ლი აგვისტოს ბრძანებით (№190), კ.შ. სამსახურიდან გაათავისუფლეს. კ.შ-ს მხრიდან არც ერთხელ ადგილი არ ჰქონია ხელშეკრულებისა და შრომის შინაგანაწესის დარღვევას. საქმეში არ მოიპოვება მანამდე მის მიმართ პასუხისმგებლობის რომელიმე ზომის დაკისრების დამადასტურებელი რაიმე ცნობა. მენეჯერმა პირად საუბარში კ.შ-ს ღიად მიუთითა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს მისი ასაკი წარმოადგენდა (კ.შ. იყო 59 წლის, 2017 წლის სექტემბერში კი, 60 წლის ხდებოდა). მენეჯერის თქმით, აღნიშნულ სამუშაოზე მათ კ.შ-ს მსგავსი ასაკოვნები არ სჭირდებოდათ, შესაბამისად, დრო იყო, დაკავებული პოზიცია დაეტოვებინა და პენსიაზე გასულიყო. აღნიშნულს ადასტურებს მოწმე, რომელიც პირადად შეესწრო მათ შორის გამართულ საუბარს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მისი გათავისუფლების საფუძვლად ბრძანებაში მითითებული გარემოებები წინასწარ იყო შეთხზული მენეჯერისა და დირექტორის მიერ და მიზნად ისახავდა გათავისუფლების დისკრიმინაციული მოტივის (ასაკის გამო გათავისუფლების) დაფარვას.

ამასთან, დამსაქმებელმა კ.შ. განზრახ რამდენიმე თვით ადრე გაათავისუფლა, სანამ ის 60 წელს მიაღწევდა, რათა დისკრიმინაციული მოტივის ეჭვი არ გაჩენილიყო. კ.შ. არის ჯანმრთელი და აღნიშნული არ წარმოადგენს მისი გათავისუფლების რეალურ მიზეზს. მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა დასტურდება სასამართლოსთვის წარდგენილი ცნობითაც.

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე - გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-2 თავის მე-13 პუნქტი.

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე - გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-2 თავის 23-ე პუნქტი.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის, ხანდაზმული ადამიანების შესაძლებლობას, საკუთარი შრომით გამოიმუშაონ საარსებო საშუალებები.

სამართლებრივი დასაბუთება: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლით იკრძალება ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია. საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ასაკის გამო დისკრიმინაცია. მოცემულ საქმეში მოსარჩელე დავობს, რომ ის სამსახურიდან ასაკის გამო გაათავისუფლეს.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 7 აგვისტოს კ.შ-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელე ითხოვს: შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას, სამუშაოზე აღდგენას, განაცდურის ანაზღაურებას, დისკრიმინაციის დადასტურებას და მოპასუხისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას 4 000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში სასამართლოს ამ საქმეზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

7.2. ნ.ბ. შპს „მოდუსის" წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ნ.ბ. 2013 წლის 1-ლი დეკემბრიდან მუშაობდა შპს „მოდუსში" დამლაგებლის პოზიციაზე. ნ.ბ-ს ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 537 ლარს და 50 თეთრს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). 2017 წლის 1-ლი აგვისტოს №191 ბრძანებით მოსარჩელე სამსახურიდან დაითხოვეს. დათხოვნის საფუძვლად მითითებულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ვ" ქვეპუნქტი (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან) და ამავე მუხლის „ო" ქვეპუნქტი (სხვა ობიექტური გარემოება, რაც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას).

„მოდუსის" მენეჯერის სამსახურებრივ ბარათში მითითებული იყო, რომ ნ.ბ. არაჯეროვნად ასრულებდა და უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობებს, თვითნებურად ტოვებდა სამუშაო ადგილს და დიდი ხნით იმყოფებოდა მოსასვენებელ ოთახში, ხშირად იმიზეზებდა წნევას და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს, რის გამოც სხვა დამლაგებლებს უწევდათ მისი მოვალეობის შესრულება.

სამსახურიდან დათხოვნის მომენტში ნ.ბ. იყო 56 წლის. კომპანიიდან ასევე დაითხოვეს მეორე დამლაგებელი კ.შ. (იხილეთ ზემოთ საქმე – კ.შ. შპს „მოდუსის" წინააღმდეგ). შპს „მოდუსში" პოზიცია შეინარჩუნა დამლაგებელმა, რომელიც იყო 50 წლის.

კ.შ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მისცა ჩვენება, რომლის მიხედვითაც, ის მუშაობდა შპს „მოდუსში" დამლაგებლად მოსარჩელესთან ერთად. კ.შ-ს თქმით, არც მას არც სხვას არასოდეს შეუსრულებიათ ნ.ბ-ს შრომითი ვალდებულებები მისი ავადმყოფობის მიზეზით. მოწმის თქმით, 2017 წლის 28 ივლისს, კვირა დღეს, მათ მიმართეს მენეჯერ ნ. თევზაძეს 2017 წლის 1-ლი აგვისტოდან შვებულებაში გასვლის ნებართვის თაობაზე. ამის შემდეგ, დღის ბოლოს, მენეჯერმა დამლაგებლები დაიბარა და მოსთხოვა სამსახურიდან წასვლის განცხადებებზე ხელმოწერა იმ მოტივით, მას ახალგაზრდა დამლაგებლები სჭირდებოდა. დამლაგებლები საკითხის გარკვევას დირექტორთან შეეცადნენ, თუმცა, პასუხი ვერ მიიღეს. ამის შემდეგ ორივე მათგანი სამსახურიდან დაითხოვეს.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის, ხანდაზმული ადამიანების შესაძლებლობას, საკუთარი შრომით გამოიმუშაონ საარსებო საშუალებები.

სამართლებრივი დასაბუთება: თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ზაალ მარუაშვილი) 2018 წლის 16 მარტს მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე და სარჩელი სრულად დააკმაყოფილა, მათ შორის, დისკრიმინაციის დადგენის ნაწილში. პირველ რიგში, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა უზენაესი სასამართლოს 02/12/2015 განჩინებაზე (საქმე №ას-776-733-2015), სადაც აღნიშნულია: „შრომით სამართლებრივი დავები გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი მდგომარეობა განაპირობებს. მოსარჩელე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონო დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება იმაზე, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს დამსაქმებლისკენ, რომელსაც აკისრებს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას".

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის ბრძანება მოსარჩელესთან შრომითი

ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ეწინააღმდეგებოდა დასახელებულ ნორმებს და, როგორც კანონსაწინააღმდეგო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ცნობილი უნდა ყოფილიყო ბათილად, ვინაიდან საქმის განხილვისას არ დადასტურდა მასში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მითითებული გარემოებების (მოსარჩელის მიერ სამუშაო ადგილის თვითნებური დატოვება, ჯანმრთელობისა და პირადი პრობლემების ხშირი მომიზეზებით შრომითი ვალდებულებების შეუსრულებლობა) არსებობა.

მოპასუხემ ვერ დაადასტურა, რომ ავადმყოფობისა თუ სხვა პირადი მიზეზების გამო, მოსარჩელის შრომით ვალდებულებებს სხვა თანამშრომლები ასრულებდნენ, ასევე ის, თუ რატომ არ შეესაბამებოდა მოსარჩელის კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები დაკავებულ თანამდებობას, მაშინ, როცა ნ.ბ. კომპანიაში 2013 წლიდან მუშაობდა და არასოდეს მომხდარა მისთვის დისციპლინური სახდელის დადება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით, საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ხოლო მე-8 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასა ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.

მოსარჩელემ არა მხოლოდ უნდა განსაზღვროს შესადარებელ პირთა წრე, არამედ ასევე უნდა დააასაბუთოს აღნიშნულ პირებს შორის უთანასწორობა. კომპარატორის განსაზღვრაც და კომპარატორის სათანადოობის დასაბუთებაც მოსარჩელის მტკიცების სფეროში შემავალი გარემოებაა. შრომით ურთიერთობაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს განსხვავებულ მოპყრობას, თუმცა, აღნიშნული გამოწვეული იყოს სამუშაოს სპეციფიკით, დასაქმებულის უნარ-ჩვევებით, კვალიფიკაციით, შესრულებული სამუშაოს ხარისხით და ა.შ. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში დასაქმებულმა უნდა მიუთითოს ფაქტები, თუ რაში მდგომარეობდა მის მიმართ (ვისთან შედარებით) არათანაბარი მოპყრობა და რატომ იყო აღნიშნული მოპყრობა დისკრიმინაციული.

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ ვერ დაადასტურა, თუ რაში გამოიხატებოდა მოსარჩელის კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის სამუშაო ადგილთან, ანდა ობიექტური საფუძვლები, რასაც შეეძლო გამოეწვია მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. მოპასუხე ასევე არ აპელირებს სამუშაოს სპეციფიკაზე, როგორც განსხვავებული მოპყრობის ისეთ საფუძველზე, რომელიც დადასტურების შემთხვევაში, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციად ვერ ჩაითვლებოდა. თავის მხრივ, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზად მოსარჩელემ მიუთითა დისკრიმინაციულ საფუძველზე, რითაც შეიქმნა დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის პრეზუმფცია.

სასამართლოში საქმის განხილვისას **მოსარჩელემ, მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის ფარგლებში, დაადასტურა, რომ მის სამუშაო ადგილზე ახალგაზრდა თანამშრომლის მიღების სურვილის გამო, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე დაითხოვეს სამსახურიდან. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიმართ განხორციელდა არათანაბარი მოპყრობა – პირდაპირი დისკრიმინაცია, რაც გამოხატა ასაკის ნიშნით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტაში.**

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე საწარმოს მხრიდან მოსარჩელის მიმართ განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს ასეთი მოპყრობისთვის ობიექტური და გონივრული გამართლება კანონით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 16 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩლის შემდეგი მოთხოვნები: ბათილად ცნო შპს „მოდუსის“ დირექტორის გასაჩივრებული ბრძანება, ნ.ბ. აღადგინა დამლაგებლის პოზიციაზე; შპს მოდუსს ნ.ბ-ს სასარგებლოდ დააკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება: 2017 წლის 1-ლი აგვისტოდან 2017 წლის 1-ლ სექტემბრამდე – 600 ლარის (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) ოდენობით, ხოლო 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან – ყოველთვიურად

537 ლარისა და 50 თეთრის ოდენობით. ასევე, სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „მოდუსის“ მხრიდან ნ.ბ-ს მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას.

ეს გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. საანგარიშო პერიოდში სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ საჩივარზე არ უმსჯელია.

7.3. PHR საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების[13] მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სართულზე უნდა არსებობდეს ტუალეტები ბიჭებისა და გოგონებისთვის და ამ ტუალეტებს უნდა ჰქონდეს კარებიანი კაბინები (ჩამკეტის გარეშე).

ზოგადი, გავრცელებული სტანდარტით, ყველა სხვა საჯარო დაწესებულებაში საპირფარეშოს, რომლითაც სრულწლოვანი პირები სარგებლობენ, აქვს ჩამკეტი და, ასევე, ყველა საჯარო სკოლაში არსებობს ცალკე საპირფარეშო ჩამკეტით, აკადემიური პერსონალისთვის. ჩამკეტის არსებობა არსებითია და დაკავშირებულია ადამიანის პირად ცხოვრებასთან, რადგანაც პირადი ცხოვრების უფლების განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ადამიანის ელემენტარული ფიზიოლოგიური საჭიროებებით უზრუნველყოფა განახორციელოს უსაფრთხოების და პერსონალურობის/პირადულობის დაცვის მაღალი ხარისხით.

საქმის მნიშვნელობა: განსხვავებული მოპყრობა ეხება განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებს – ბავშვებს – მათი პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობისას.

სამართლებრივი დასაბუთება: გასაჩივრებული ნორმა ითვალისწინებს განსხვავებულ მოპყრობას ასაკის ნიშნით. სრულწლოვანთა საპირფარეშოების სტანდარტია ჩამკეტის არსებობა, რითაც უზრუნველყოფილია მათი პირადი სფეროს დაცულობა. რაც შეეხება ბავშვებს, სკოლის მოსწავლეების საპირფარეშო არ ითვალისწინებს ჩამკეტის არსებობას, რითაც მათი პირადი ცხოვრება ხდება დაუცველი.

სანიტარიული წესების დაცვის შესახებ გაეროს ბავშვთა ფონდი გარკვეულ სტანდარტებს აწესებს და ამბობს, რომ სკოლის ტუალეტებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრივატულობა და დაცულობა. ამაზე აპელირებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც და მიუთითებს, რომ ტუალეტების ადგილმდებარეობა ყურადღებით უნდა იყოს შერჩეული ძალადობის რისკების (სექსუალური ძალადობის ჩათვლით) შემცირების და პრივატულობის საკმარისად უზრუნველყოფისთვის. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში პირდაპირ ვხვდებით ჩანაწერს საპირფარეშოს ჩამკეტის აუცილებლობაზე – „ტუალეტი უნდა იკეტებოდეს შიგნიდან (მისი გამომყენებლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად)“.

ფიზიოლოგიური საჭიროებებით უზრუნველყოფა პირადი ცხოვრების უფლების განხორციელების ისეთი კატეგორიაა, რომელიც ასაკის მიხედვით ადამიანთა დაყოფას არ უნდა ითვალისწინებდეს, რადგანაც ყველა ასაკის ადამიანს თანაბრად აქვს საჭიროება, საპირფარეშოთი სარგებლობისას მისი უსაფრთხოება და პირადი სივრცე დაცული იყოს. არსებული რეგულაცია წარმოადგენს მოსწავლეებს პირადი ცხოვრების უფლების განხორციელებაში ინტენსიურ ჩარევას. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, რეგულაციის მიზანს წარმოადგენდეს მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც უდავოდ მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. თუმცა, სახელმწიფოს მიერ ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებშიც კი, ეს ჩარევა ობიექტურობისა და აუცილებლობის ტესტს ვერ დააკმაყოფილებს, რადგან აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის უზრუნველყოფა შესაძლებელია იმგვარად, რომ არ შეილახოს მოსწავლეთა პირადი ცხოვრების უფლება.

საქმის მიმდინარეობა: PHR-მა 2018 წლის 26 მარტს მიმართა სახალხო დამცველს და მოითხოვა დისკრიმინაციის დადგენა ასაკის ნიშნით, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრისთვის რეკომენდაციით მიმართვა, ცვლილება შეიტანოს შესაბამის ნორმატიულ აქტში და სკოლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი საპირფარეშო უზრუნველყოფილი იყოს ჩამკეტით. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს ამ საკითხზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ მიუღია.

[13] N308/ნ ბრძანება - „ჰიგიენური მოთხოვნები მოსწავლეთა სწავლების პირობებისადმი სხვადასხვა ტიპის თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სანიტარული წესები და ნორმები“, მუხლი 5, პუნქტი 40.

7.4. ნ.ბ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ

ფაქტობრივი გარემოებები: 2017 წლის 17 სექტემბერს PHR-ს დაუკავშირდა 17 წლის არასრულწლოვანი ნ.ბ. და ითხოვა სამართლებრივი დახმარება. არასრულწლოვანი 2016 წლის 18 სექტემბრიდან იმყოფებოდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში. ის იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, რაც დასტურდებოდა მოძალადის – დედის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერით. 2017 წლის 19 სექტემბერს ორგანიზაციის იურისტები პირადად შეხვდნენ არასრულწლოვანს და თავშესაფრის იურისტს. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში ნ.ბ-სა და ორგანიზაციის იურისტს შორის მოხდა შეთანხმება, რომ PHR-ის იურისტები გაუწევდნენ იურიდიულ დახმარებას და, სხვადასხვა სამართლებრივი პროცედურის განხორციელებისას, იმოქმედებდნენ მისი ინტერესების დასაცავად. იმის გამო, რომ ნ.ბ. არის არასრულწლოვანი, საჭირო იყო მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, რათა გაფორმებულიყო მინდობილობა წარმომადგენლობის შესახებ, თუმცა, მას არ ჰყავდა დანიშნული კანონიერი წარმომადგენელი.

ორგანიზაციამ კანონიერი წარმომადგენლის დაუყოვნებლივ დანიშვნის მოთხოვნით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელმაც აღნიშნული მოთხოვნა რეაგირების გარეშე დატოვა. პარალელურად, არასრულწლოვანმა დამოუკიდებლად მიმართა ნოტარიუსს, განუმარტა მისი ფაქტობრივი მდგომარეობა და დააფიქსირა სურვილი, გაეცა რწმუნებულება ორგანიზაციაზე, თუმცა, ნოტარიუსმა აღნიშნული სანოტარო მოქმედების განხორციელებაზე უარი განაცხადა. ნოტარიუსის წერილობითი უარის სასამართლო წესით გასაჩივრება შეუძლებელი გახდა, რადგან თავშესაფრის მისამართის კონფიდენციალურობის გამო, არასრულწლოვანს აღნიშნული უარი ვერ ჩაჰბარდა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, როდესაც ბავშვის ინტერესების დაცვა არ ხდება მშობლების მიერ, მის ინტერესებს იცავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელმაც, თავის მხრივ, არ იმოქმედა შესაბამისად და არ მისცა ბავშვს შესაძლებლობა, თავისი შეხედულებისამებრ აერჩია წარმომადგენელი.

მაშინ, როდესაც ბავშვი დავობს მშობლის წინააღმდეგ, ხოლო მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და არ იცავს ბავშვის ინტერესებს სასამართლოში, არასრულწლოვანს რჩება შემდეგი გამოსავალი – თავად შეადგინოს სარჩელი და წარადგინოს სასამართლოში, რისი გაკეთებაც მას არ შეუძლია. არასრულწლოვანი მოკლებულია შესაძლებლობას, მოიპოვოს მტკიცებულებები ან ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რაც საქმისთვის მნიშვნელოვანია. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ორგანიზაციამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ირიბი დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით. ნეიტრალური კანონმდებლობა ერთნაირად სთხოვდა სრულწლოვანსაც და არასრულწლოვანსაც სარჩელის შედგენას და მტკიცებულების მოგროვებას, მაშინ როცა ამ ორი ჯგუფის წარმომადგენელი ერთსა და იმავე მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.

საქმის მნიშვნელობა: ბავშვების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე.

სამართლებრივი დასაბუთება: სახალხო დამცველმა თავის რეკომენდაციაში ერთმანეთისგან გამიჯნა 14 წლამდე არასრულწლოვანისა და 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანის საპროცესო ქმედუნარიანობა. სახალხო დამცველმა ამ ორი კატეგორიის არასრულწლოვანთან დაკავშირებით პარლამენტის მიმართ განსხვავებული რეკომენდაციები გასცა.

14 წლამდე არასრულწლოვანთან მიმართებით სახალხო დამცველმა განაცხადა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოონ, რაც ასევე გულისხმობს ბავშვის ინტერესების წარმოდგენას მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სოციალური მუშაკის მიერ. 14 წლამდე ბავშვებისათვის, ზრდასრულთაგან განსხვავებით, წარმომადგენლის მეშვეობით სასამართლოსთვის მიმართვა ერთადერთი შესაძლებლობაა, ხოლო თუ მისი წარმომადგენელი – მშობელი, მეურვე ან სახელმწიფო უარს იტყვის ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად მოქმედებაზე, ბავშვი სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გარეშე დარჩება.

ირიბი დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოს ავალდებულებს, არ გამოიყენოს ბლანკეტური მიდგომა და განსხვავებულად მოეპყროს განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს. მართალია, კანონმდებელი შეეცადა, არ დაეშვა ბლანკეტური მიდგომა და დააწესა 14 წლამდე ბავშვების მიმართ სპეციალური რეგულაცია, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რიგ შემთხვევებში ის ნაკლებ ეფექტურია. ბავშვების დაცვის მიზნით, კანონმდებელმა ზედმეტად შეზღუდა და დაავიწროვა ბავშვების საპროცესო წარმომადგენლების არჩევის უფლება. ამ რეგულაციის მიღებისას კანონმდებლის სავარაუდო ლეგიტიმური მიზანი იყო ბავშვის უფლებების ეფექტიანი დაცვა სასამართლოს გზით და საპროცესო წარმომადგენლების მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკის შემცირება. თუმცა, შესაძლოა, მშობელმა არ მიმართოს

სასამართლოს ბავშვის უფლების დასაცავად და თუკი არც ბავშვი მიმართავს სოციალური დაცვის სააგენტოს, მისი უფლება დაუცველი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი სააგენტოს ჩართვით ცდილობს თავიდან აიცილოს არასრულწლოვანის ინტერესების შელახვის საფრთხე, ეს მექანიზმი პრაქტიკაში არაეფექტურია რამდენიმე მიზეზის გამო. კერძოდ, საქმეში არ არიან ჩართულნი იურისტები, ხოლო სააგენტოს წარმომადგენელს შეიძლება არ ჰქონდეს საპროცესო წარმომადგენლისთვის საჭირო სათანადო უნარ-ჩვევები, რაც განაპირობებს პროცესუალურ შეცდომებს, რომლებიც შემდგომ ინსტანციებში ვეღარ გამოსწორდება. ასევე, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებებს, შესაძლოა, თავად სახელმწიფო არღვევდეს, რაც გულისხმობს, რომ სააგენტო ვეღარ იქნება მიჩნეული ობიექტურ და მიუკერძოებელ წარმომადგენლად.

საბოლოოდ, 14 წლამდე ასაკის ბავშვებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა გასცა შემდეგი ტიპის რეკომენდაცია: ბავშვის უფლებების სრულყოფილი რეალიზაციის მიზნით, აუცილებელია, კანონი იყოს მოქნილი – განიხილოს ბავშვის სასამართლოში წარმომადგენლობა მისი ნათესავის, სხვა ახლობელი ადამიანის ან ადვოკატის მიერ, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები. ამასთან, განსაკუთრებით მწვავეა იმ ბავშვების მდგომარეობა, რომელთაც არ ჰყავთ ახლობელი ადამიანები და ცხოვრობენ სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ ან – მის გარეშე. ასეთ შემთხვევებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მსგავსად, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს ბავშვის წარმომადგენლობის უფლება ჰქონდეთ.

სახალხო დამცველმა ცალკე ადგილი დაუთმო 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანების სასამართლოსთვის მიმართვის უფლების განხორციელებას. 14 წლამდე ასაკის ბავშვისგან განსხვავებით 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანს უფლება აქვს, კანონიერი წარმომადგენლისგან დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს. მას შემდეგ, რაც 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი სასამართლოს მიმართავს, სასამართლო მას საპროცესო წარმომადგენელს უნიშნავს.

14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანებთან მიმართებით სახალხო დამცველმა განაცხადა: ამ ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საპროცესო წარმომადგენელი არასრულწლოვანს ენიშნება მოგვიანებით და ის ვალდებულია, დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს. არასრულწლოვანს კანონი ეპყრობა ისევე, როგორც სრულწლოვანს სარჩელის შეტანის ეტაპზე და მას აკისრებს ვალდებულებას, განახორციელოს საკმაოდ რთული პროცედურები – შეავსოს სარჩელის ფორმა, ამომწურავად აღწეროს ფაქტობრივი გარემოებები და მოიპოვოს შესაბამისი მტკიცებულებები.

14-18 წლის არასრულწლოვანი არის სრულწლოვანისგან არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირი და სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, მას მოეპყროს განსხვავებულად. საკანონმდებლო რეგულაცია მას, ისევე როგორც სრულწლოვანს, აძლევს უფლებას, მიმართოს სასამართლოს, მაგრამ, იმავდროულად, აკისრებს ვალდებულებას, თავად მოიძიოს მტკიცებულებები და მოამზადოს სარჩელი. თუმცა, სრულწლოვანისგან განსხვავებით, არასრულწლოვანს არ ეძლევა უფლება, საწყის ეტაპზევე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, ჰყავდეს ადვოკატი. მას წარმომადგენელი მხოლოდ მოგვიანებით, სასამართლოს მიერ ენიშნება.

არსებული რეგულაცია 14-18 წლის ბავშვებს აკისრებს ვალდებულებას, განახორციელონ მათთვის საკმაოდ რთული პროცედურები – მოამზადონ სარჩელი და მოიპოვონ შესაბამისი მტკიცებულებები. ამ ფუნქციების შესრულებაში თავდაპირველ ეტაპზე მათ სხვა პირი ვერ დაეხმარება, რადგან არ აქვთ წარმომადგენლობის გაფორმების უფლება. შესაბამისად, ეს რეგულაცია ხელს უშლის არასრულწლოვანს, ეფექტიანად განახორციელოს სამართალწარმოება, რაც მოპასუხესთან შედარებით მას არათანასწორ პირობებში აყენებს. მართალია, კანონი განსაზღვრავს არასრულწლოვანისთვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნას სასამართლოს მიერ, თუმცა, ვინაიდან წარმომადგენლის ჩართვა ხდება მოგვიანებით, გამორიცხული არ არის, არასრულწლოვანის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის დოკუმენტები შეიცავდეს გარკვეულ ხარვეზებს. შესაბამისად, არასრულწლოვანს ესაჭიროება იურისტის დახმარება სარჩელის შეტანის ეტაპზევე, რაც, პოზიტიური ვალდებულებებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ.

სახალხო დამცველის რეკომენდაციაში მითითებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე, სადაც ადვოკატი წარმოადგენდა სამი არასრულწლოვანის ინტერესებს, რომელთა უფლებებიც ილახებოდა მშობლების მხრიდან. რეკომენდაციაში აღნიშნულია: „არსებობდა თუ არა სხვა ან უფრო შესაფერისი წარმომადგენელი; წარმომადგენელსა და ბავშვებს შორის არსებული კავშირი; ადვოკატის მიერ ბავშვების სახელით წარდგენილი საჩივრის მიზანი და მოცულობა; ხომ არ არსებობდა მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი... ალტერნატიული წარმომადგენლობის შესაძლებლობის შეფასებისას კომისიამ მიიჩნია, რომ მშობლები ბავშვების მიმართ არავითარ ინტერესს არ

იჩენდნენ, სახელმწიფოს ქმედებები კი, სოციალური მუშაკების ჩართულობის სახით, კომისიის წინაშე კრიტიკის საგანი იყო. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბავშვების წარმომადგენლობის სხვა შესაძლებლობა არ არსებობდა."

სახალხო დამცველის რეკომენდაციით: სასამართლომ უნდა განიხილოს 14 წლიდან ბავშვის ინტერესების დაცვის შესაძლებლობა სასამართლოში მისი ნათესავის, სხვა ახლობელი ადამიანის ან ადვოკატის მიერ, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები. სასამართლოს ასევე უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, თავად დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი 14-18 წლის არასრულწლოვანს, სასამართლოში მარტივი ფორმით განცხადების შეტანისთანავე. კერძოდ, უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, ბავშვი, უფლების დარღვევის შემთხვევაში, მარტივი განცხადებით მიმართავს პირდაპირ სასამართლოს, ხოლო სასამართლო დანიშნავს საპროცესო წარმომადგენელს, რომელიც მოამზადებს სარჩელს და მოიპოვებს მტკიცებულებებს.

საქმის მიმდინარეობა: PHR-მა სახალხო დამცველს მიმართა 2017 წლის 24 ოქტომბერს. სახალხო დამცველმა რეკომენდაცია შეიმუშავა 2018 წლის 5 მარტს.

7.5. PHR საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლი განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მუხლის თანახმად, შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ექვს თვემდე. როგორც ნორმის დეფინიციიდან ვხედავთ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დადგომისთვის საკმარისია მხოლოდ მშვილებლის თანხმობის არქონა და სრულად უგულებელყოფილია თავად ნაშვილების ინტერესი, სურს თუ არა მას, სხვა პირებისთვის ცნობილი გახდეს მისი პირადი ინფორმაცია.

საქმის მნიშვნელობა: ბავშვის დაცვა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისგან მისი თანხმობის გარეშე.

სამართლებრივი გარემოებები: შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნების საკითხის მხოლოდ მშვილებლის ნებაზე დაქვემდებარება და თავად ნაშვილები პირის სურვილის უგულებელყოფა, როდესაც ამ პირისთვის ცნობილია, რომ იგი არის ნაშვილები, შეიცავს პირდაპირი დისკრიმინაციის ელემენტებს. კერძოდ, საკითხის გადაწყვეტა მინდობილია შვილად აყვანის ურთიერთობის მონაწილე მხოლოდ ერთ მხარეზე, მაშინ, როდესაც არსებობს ამ ურთიერთობის მონაწილე მეორე პირიც, რომლის ინტერესებსაც უშუალოდ ეხება მშვილებლის მიერ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნორმა არ შეიცავს ჩანაწერს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ნაშვილები პირის ინტერესების გათვალისწინების სავალდებულო ხასიათზე.

საქმის მიმდინარეობა: PHR-მა განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს 2018 წლის 14 მარტს. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

7.6. ლ.ღ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის N170 საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ლ.ღ. სკოლამდელი აღზრდის განათლების მიღების მიზნით ირიცხებოდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის N170 საბავშვო ბაგა-ბაღის 3 წლამდე ასაკის აღსაზრდელთა ჯგუფში. აღნიშნულ ჯგუფში ყოფნა ბავშვისთვის აღმოჩნდა დამაზიანებელი, ვინაიდან სტრესის შედეგად განუვითარდა ლოგონევროზი. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, დედა იძულებული გახდა, ბავშვი გამოეყვანა ბაღიდან, ემკურნალა და მსგავსი შემთხვევის პრევენციის მიზნით გადაეყვანა მოზრდილთა ჯგუფში. აღსანიშნავია, რომ ბავშვის სხვა ჯგუფში გადაყვანა არ მომხდარა თვითნებურად და ამასთან დაკავშირებით ინფორმირებულნი იყვნენ ბაღის თანამშრომლები. მოზრდილთა ჯგუფში ჩარიცხვა ბავშვზე დადებითად აისახა.

ამის შემდეგ, ბაღის დირექტორმა ქ.დ-მ, ლ.ღ-ს დედა – ს.ღ. დაიბარა თავის კაბინეტში, სადაც ასევე იმყოფებოდა ნ.კ. დირექტორმა ს.ღ-ს მოსთხოვა ბავშვის გადაყვანა სხვა ჯგუფში, ვინაიდან, მისი განმარტებით, ჯგუფში ირიცხებოდა ისეთი ბავშვი, რომელთანაც არ უნდოდა, რომ შეხება ჰქონოდა ლ.ღ-ს. უკმაყოფილება და ბავშვის სხვა ჯგუფში გადაყვანის მოთხოვნა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ს.ღ. იყო მარტოხელა დედა და მას ქორწინების გარეშე ჰყავდა გაჩენილი შვილი. ამასთან, ნ.კ. რომელიც

შეხვედრას ესწრებოდა და რომელიც იყო ლ.ღ-ს სხვა ჯგუფში გადაყვანის ინიციატორი, არის ლ.ღ-ს ბიოლოგიური მამის ცოლის მამიდა, ხოლო ბავშვი, რომელსაც დირექტორი ასახელებდა – მისი ოჯახის წევრი. ს.ღ. არ დაეთანხმა დირექტორის მოთხოვნას და მოითხოვა კონკრეტულად განმარტება, თუ ვის და რის გამო იჩაგრებოდა ბავშვი. ამას მოჰყვა დირექტორისა და ნ.კ-ს გაღიზიანება, რომლებმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ს.ღ-ს და მისი პირადი ცხოვრება გააკრიტიკეს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შემთხვევა ხდებოდა ბაღის თანამშრომელთა თანდასწრებით.

ამ ინციდენტის შემდეგ, ს.ღ. იძულებული გახდა ლ.ღ. დაებრუნებინა ისევ 3 წლამდე ასაკის ბავშვების ჯგუფში, სადაც ბავშვს კვლავ გაუჭირდა გარემოსთან ადაპტაცია. ლ.ღ. უარს აცხადებდა ბაღის შენობაში შესვლაზეც კი, იმდენად არ უნდოდა ჯგუფში მოხვედრა. ვინაიდან ბავშვისთვის კვლავ სტრესული აღმოჩნდა ბაღში სიარული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, დედამ ის საერთოდ გამოიყვანა ბაღიდან.

საქმის მნიშვნელობა: მცირეწლოვანი ბავშვის ნორმალური განვითარება.

სამართლებრივი დასაბუთება: დირექტორის მხრიდან ს.ღ-სთვის ბავშვის სხვა ჯგუფში გადაყვანის მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ ამ ჯგუფში ჩარიცხული ერთ-ერთი ბავშვის ოჯახისთვის მიუღებელი იყო ლ.ღ-ს იმავე ჯგუფში ყოფნა, შეიცავს ოჯახური მდგომარეობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ნიშნებს, ვინაიდან, სწორედ ის ფაქტი, რომ ს.ღ. იყო მარტოხელა დედა და შვილი გაჩენილი ჰყავდა ქორწინების გარეშე, გახდა მსგავსი მოპყრობის მიზეზი. რაც შეეხება ნ.კ-ს ქმედებას, ის წარმოადგენს დისკრიმინაციის წაქეზებას, ვინაიდან სწორედ ნ.კ-ს ჰქონდა პრეტენზია ლ.ღ-სა და მისი მშობლის მიმართ.

რაც შეეხება ლ.ღ-ს უფროსი ასაკის ბავშვებთან უკანონოდ მოთავსებას, უნდა აღინიშნოს, რომ ლ.ღ-ს ჩარიცხვა სხვა ჯგუფში თვითნებურად არ მომხდარა, არამედ განხორციელდა ბაღის თანამშრომლებთან შეთანხმებით. ასევე, დირექტორისთვის ცნობილი იყო, რომ ბავშვს თავისი ასაკის აღსაზრდელების ჯგუფში ყოფნისას, გარემოსთან შეუგუებლობის გამო, განუვითარდა ლოგონევროზი, რასაც მკურნალობა დასჭირდა. სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვდა ლ.ღ-სთვის მის განვითარებაზე მორგებული სერვისის შეთავაზებას – უფროს კლასში ჩარიცხვას, ვინაიდან მისი ასაკის ბავშვებთან ყოფნა ლ.ღ-სთვის დამაზიანებელი აღმოჩნდა.

საქმის მიმდინარეობა: ს.ღ-მ სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა 2018 წლის 21 ივნისს. საანგარიშო პერიოდში განსახილველ საქმეზე სახალხო დამცველმა შეწყვიტა წარმოება. ამის მიზეზი გახდა ის, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებდა განმცხადებლის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ლ.ღ. ვერ ეგუებოდა მის ასაკობრივ ჯგუფს და აღნიშნულის გამო განუვითარდა ლოგონევროზი. ამასთან, არ არსებობდა მტკიცებულება, თუ რა ღონისძიებები განახორციელეს განმცხადებელმა და მოპასუხემ იმისთვის, რომ ლ.ღ-სთვის ბაღში სიარული არ ყოფილიყო სტრესული. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა ლ.ღ-ს უფროს ასაკობრივ ჯგუფში გადაყვანის კანონიერება, თუმცა, იკვეთებოდა, რომ ს.ღ-სა და ნ.კ-ს შორის არსებობდა პირადი ხასიათის უთანხმოება, რომელსაც სახალხო დამცველი დისკრიმინაციის ჭრილში ვერ შეაფასებდა.

8. დისკრიმინაცია პროფესიის ნიშნით

ასაკის მსგავსად, არც პროფესიის ნიშნით დისკრიმინაციაა პირდაპირ მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში. სამაგიეროდ, ეს ნიშანი გვხვდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში. ისეთი ნიშნებისგან განსხვავებით, როგორიც არის რასა და სექსუალური ორიენტაცია, პროფესიის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა უმეტეს შემთხვევაში შეიძლება გამართლებული იყოს, როდესაც ამას შესასრულებელი სამუშაო მოითხოვს. ამაზე პირდაპირ მიუთითებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტი, სადაც აღნიშნულია: „დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასა ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.“ ამგვარად, კონკრეტულ სამუშაოსთან მიმართებით პროფესიის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის დისკრიმინაციად მისაჩნევად, საჭიროა იმის დამტკიცება, რომ ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი არ არის კონკრეტული პროფესიული ცოდნიდან გამომდინარე უნარების არსებობა. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი პროფესიის ნიშნით დისკრიმინაციის მტკიცება.

8.1. ე.ფ. საქართველოს პარლამენტის, პარლამენტის აპარატის უფროსისა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: ე.ფ. არის პროფესიით ჟურნალისტი. 2017 წლის 27 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ სოფიო კილაძემ კაბინეტში დაიბარა სამი თანამშრომელი - ე.ფ. თ.მ. და რ.ც. და მოსთხოვა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა. სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნას სოფიო კილაძე ხსნიდა იმით, რომ აღნიშნული პირები არ იყვნენ პროფესიით იურისტები. ე.ფ-მ უარი განაცხადა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერაზე, რაზეც სოფიო კილაძემ უთხრა, რომ ნებით თუ არ წავიდოდა, დისციპლინური წარმოების საფუძველზე გაათავისუფლებდა სამსახურიდან, კერძოდ, მისცემდა მას ისეთ დავალებებს, რომლებსაც, როგორც არაიურისტი, ვერ შეასრულებდა. ამის მიუხედავად, ე.ფ. სამსახურიდან ნებაყოფლობით წასვლაზე არ დასთანხმდა. 2017 წლის 4 მაისს სოფიო კილაძემ ე.ფ-ს მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება მოითხოვა იმ საფუძვლით, თითქოს ე.ფ-მ უარი თქვა მისი დავალების შესრულებაზე, თუმცა, დისციპლინური გადაცდომა არ დადასტურდა. 2017 წლის 25 ივლისს სოფიო კილაძემ კიდევ ერთხელ მოითხოვა დისციპლინური წარმოების დაწყება (მათ შორის, იმ ფაქტების შესწავლის მიზნით, რომლებიც ერთხელ უკვე იყო განსჯის საგანი და მაშინ დისციპლინური გადაცდომა არ დადასტურდა). 2017 წლის 22 სექტემბრის ბრძანებით, ე.ფ-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდა საყვედური.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება პროფესიის ნიშნით დისკრიმინაციას, რაც ჯდება სხვა ნიშანში, რომელიც პირდაპირ არ არის კანონით გათვალისწინებული.

სამართლებრივი დასაბუთება: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასა ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული პოზიციის დასაკავებლად მოქალაქეს არ მოეთხოვება იურისტის კვალიფიკაცია. მსგავსი ფუნქციური დატვირთვის თანამდებობაზე არაიურისტები მუშაობენ პარლამენტის სხვა კომიტეტებშიც. ე.ფ-ს მიმართ ადგილი ჰქონდა შევიწროებას პროფესიული ნიშნით. კომიტეტის თავმჯდომარე ახორციელებდა თავდასხმას ე.ფ-ს ნორმალურ სამუშაო სიტუაციაზე, დროის მცირე მონაკვეთში შესასრულებლად აძლევდა იმგვარ დავალებებს, რომ მოსარჩელეს მათი შესრულება ვერ მოეხერხებინა. მიუხედავად შექმნილი მტრული, სტრესული ვითარებისა, არასამუშაო საათებში მუშაობის ხარჯზე, ე.ფ. ასრულებდა მიცემულ დავალებებს, თუმცა, თავმჯდომარე მუდმივად იწუნებდა მათ ხარისხს.

საქმის მიმდინარეობა: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსარჩელე ითხოვდა დისკრიმინაციული მოპყრობის შეწყვეტას. სასამართლომ მოსარჩელე მხარეს არასწორად დააკისრა მტკიცების ტვირთი შესრულებული სამუშაოს ხარისხიანობის დასასაბუთებლად მაშინ, როდესაც მოპასუხე მხარემ დაადასტურა, რომ არ არსებობდა კანონის პროექტზე დასკვნების მომზადების ერთიანი ინსტრუქცია. შესრულებულ დოკუმენტებში არ არის ფაქტობრივი შეცდომა, ამიტომ გაუგებარია, როგორ შეიძლება, სასამართლო დაეყრდნოს სუბიექტურ შეფასებას, როდესაც დისციპლინურ დარღვევას დადასტურებულად მიიჩნევს. სასამართლო დისკრიმინაციის გამოსარიცხად იყენებს კომპა-

რატორებს, მაშინ, როდესაც სარჩელი წარდგენილია შევიწროების, როგორც დისკრიმინაციის ფორმის დადგენის მოთხოვნით, რა დროსაც კომპარატორის საჭიროება არ არსებობს.

მოსამართლე მტკიცების ტვირთს დისკრიმინაციის საქმეში სწორად არ ანაწილებს. არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივ გარემოებას (სოფიო კილაძის მოთხოვნას, არაიურისტი თანამშრომლები წასულიყვნენ სამსახურიდან საკუთარი განცხადებით) დადგენილად არ მიიჩნევს იმ მოწმეების ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებიც სოფიო კილაძის დიდი ხნის მეგობრები და ამჟამადაც მის დაქვემდებარებაში მყოფი პირები არიან. ამასთან, მოსამართლემ ისე იჩქარა საქმის განხილვა, რომ არ მიიღო ყველა ზომა, რათა სხდომაზე ნეიტრალური მოწმეები გამოცხადებულიყვნენ და სასამართლოსთვის ჩვენება მიეცათ. ასევე, სასამართლომ, გაუგებარი მიზეზით, საქმეს არ დაურთო წერილობითი მტკიცებულებები, რომლითაც დგინდებოდა, რომ სოფიო კილაძემ ე.ფ-ს სამსახურიდან წასვლა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების გზით გათავისუფლებით დაემუქრა.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ამავე პერიოდში საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო უზენაესმა სასამართლომ.

9. სხვა ნიშნით დისკრიმინაცია

2018 წლის 16 დეკემბრიდან ამოქმედდა კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომლის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. „სხვა ნიშნებით“ დისკრიმინაცია ასევე იკრძალება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველი მუხლითაც. საანგარიშო პერიოდში კოალიცია თანასწორობა აწარმოებდა საქმეებს განათლების მიღების ფორმის, იძულებით გადაადგილების და პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნებით, რაც პირდაპირ არც კონსტიტუციასა და არც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში არ არის მოხსენიებული, თუმცა, აშკარად განეკუთვნება სხვა დაცულ საფუძველს.

9.1. დისკრიმინაცია იძულებით გადაადგილების ნიშნით

9.1.1. ი.მ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ი.მ. არის იძულებით გადაადგილებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი. 2018 წლის თებერვალში, მან განცხადებით მიმართა ააიპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ზუგდიდის კავშირს“ და მოითხოვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის გათვალისწინებული ყოველთვიური საპენსიო დანამატი 200 ლარის ოდენობით. ვეტერანთა კავშირიდან მიღებულ წერილობით პასუხში აღნიშნულია, რომ, ვინაიდან ი.მ. არის აფხაზეთიდან დევნილი, ვერ მიიღებდა „ადგილობრივი“ (ზუგდიდელი) ომის ვეტერანებისთვის გათვალისწინებულ დანამატს.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება დევნილების ინტეგრირებას მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამართლებრივი დასაბუთება: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ადგენს განსხვავებულ მოპყრობას იძულებით გადაადგილების ნიშნით. მოსარჩელე ფაქტობრივად ცხოვრობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, თუმცა, მისი იურიდიული მისამართია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საიდანაც ის 1992-1993 წლების ომის შედეგად გამოდევნეს. სადავო ნორმა არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ დევნილ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს იმ ვეტერანებთან შედარებით, რომელთა იურიდიული მისამართიც არის ზუგდიდში და არ არიან იძულებით გადაადგილებული პირები. სადავო ნორმა ადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას წარმოშობის და დევნილის სტატუსის ნიშნით.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 24 აპრილს ი.მ-მ მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. მოსარჩელე ითხოვდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ჩანაწერის - „ადგილობრივი“ - ბათილად ცნობას, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას. მოსამზადებელი სხდომის ჩანიშვნამდე ზუგდიდის საკრებულომ ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და 200-ლარიანი დანამატის მიღების უფლება მისცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს. საქმე გრძელდება მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

9.2. განათლების მიღების ფორმა

9.2.1. ბ.კ. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ბენეფიციარი ჩაირიცხა კიევის სლავურ უნივერსიტეტში და 2011 წელს დაამთავრა „პერსონალის მართვის სარეგიონთაშორისო აკადემია“. მომჩივანმა გაიარა უმაღლესი საბაზო განათლების კურსი სამართლის სპეციალობით და, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2011 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით, მიენიჭა სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაცია. 2017 წლის 6 მარტს მიმართა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განცხადებით და მოითხოვა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება.

2017 წლის 7 მარტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია ბენეფიციარის მიერ 2007–2012 წლებში საზღვრის კვეთის თაობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 10 მარტის პასუხით, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეცნობა, რომ ბენეფიციარის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის ფაქტი სასაზღვრო გამტარი პუნქტების გავლით 2007 წლის 1-ლი იანვრიდან 2013 წლის

1-ლ იანვრამდე არ დაფიქსირებულა. მიუხედავად წარდგენილი დოკუმენტაციისა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 12 აპრილის პასუხით, ბ.კ-ს უარი ეთქვა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე. უარის მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ უკრაინაში სწავლის პერიოდში ბენეფიციარს არ უფიქსირდებოდა სახელმწიფო საზღვრის კვეთა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ დისკრიმინაცია უკავშირდება განათლების უფლებას.

სამართლებრივი დასაბუთება: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად“.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა პირდაპირი დისკრიმინაცია. კერძოდ, მინისტრის ბრძანება მიუთითებს დისტანციური სწავლების შედეგად მიღებული განათლების არაღიარებაზე. ბრძანება უშვებს განათლების აღიარებას, თუ სწავლის პერიოდში სტუდენტი ცოტა ხნით მაინც იმყოფებოდა იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა, ასეთი განათლებით მიღებული დიპლომი არ განსხვავდება ბენეფიციარის მიერ აღებული დიპლომისგან. ე.ი. ორივე შემთხვევაში სახეზეა აკრედიტებული უნივერსიტეტი, რომელიც გასცემს განათლების დამადასტურებელ იდენტურ დოკუმენტებს. იმის გამო, რომ ბენეფიციარს არ უფიქსირდება სახელმწიფო საზღვრის კვეთა და განათლება მიიღო დისტანციურად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაუსვლელად, მას უარს ეუბნებიან აღნიშნული ფორმით მიღებული განათლების აღიარებაზე. შესაბამისად, სახეზეა 2 ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირი - პირი, რომელმაც გარკვეული პერიოდი გაატარა ამ უნივერსიტეტის ქვეყნის ტერიტორიაზე და ბენეფიციარი, რომელსაც სწავლის პერიოდი არ გაუტარებია საზღვარგარეთ, თუმცა, მიიღო შინაარსობრივად იგივე სახის მომსახურება და, საბოლოოდ, უნივერსიტეტისგან ორივეს გადაეცა ერთნაირი დიპლომები.

საქმის მიმდინარეობა: პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო მინისტრის ბრძანება, თუმცა, სარჩელი დისკრიმინაციის ნაწილში არ დააკმაყოფილა. საანგარიშო პერიოდში სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

9.3. დისკრიმინაცია პროფკავშირის წევრობის გამო

საანგარიშო პერიოდში კოალიციას „თანასწორობისთვის“ წარმოებაში ჰქონდა პროფკავშირის წევრობის ნიშნით დისკრიმინაციის ორი საქმე. მართალია, ეს ნიშანი არ არის პირდაპირ მოხსენიებული არც საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში და არც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში, თუმცა, კონსტიტუციის 26-ე მუხლის მეორე პუნქტით საგანგებოდ არის აღიარებული პროფესიული კავშირების შექმნისა და მის საქმიანობაში თავისუფლად მონაწილეობის უფლება. 2019 წელს შეიცვალა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონიც, სადაც პროფკავშირის წევრობის ნიშნით დისკრიმინაცია საგანგებოდ აიკრძალა. კერძოდ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე დასაქმებულთა ორგანიზაციის, დამსაქმებელთა ორგანიზაციის ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით. ამგვარად, იმის მიუხედავად, რომ კანონის პირველ მუხლში პირდაპირ არ წერია პროფკავშირის წევრობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში ჩნდება სპეციალური ჩანაწერი პროფკავშირის წევრობასთან დაკავშირებით თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის თაობაზე.

თანასწორობის კანონმდებლობის ნაწილია შრომის კოდექსიც, რომელიც პრაქტიკაში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონთან ერთად გამოიყენება და, გარკვეულწილად, ავსებს მას. შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიე-

რთობებში, მათ შორის ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია ... საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების ... გამო".

9.3.1. ვ.პ. „ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის" საქართველოს ფილიალის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: 2016 წლის მაისში კომპანია „ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის" საქართველოს ფილიალმა გამოაცხადა ვაკანსია მშენებლობის მენეჯერის პოზიციაზე. ვ.პ. სრულად აკმაყოფილებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ამასთან, გააჩნდა ხსენებულ კომპანიაში მუშაობის გამოცდილება 2010 წლიდან და უშუალოდ მშენებლობის მენეჯერად მუშაობის სამწლიანი გამოცდილება.

2015 წლის ნოემბერში, დამსაქმებლის მხრიდან სოციალური საკითხების მოუგვარებლობის გამო, კომპანიის თანამშრომლების ნაწილმა შექმნა პირველადი პროფკავშირი - Pipeline Union და გაწევრიანდნენ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაში. ვ.პ. აირჩიეს პირველადი პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილედ. კომპანია „ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის" საქართველოს, თბილისის ფილიალის მენეჯერმა ჯერ კიდევ 2015 წლის ბოლოს დააფიქსირა თავისი ნეგატიური განწყობა პროფკავშირების შექმნაზე. „ბი-ფი უპირატესობას მიანიჭებდა, თანამშრომლები არ გაწევრიანებულიყვნენ პროფკავშირში, თუმცა, პატივს სცემდა თანამშრომლების კანონიერ უფლებას".

აღნიშნული პოზიცია კომპანიამ მოგვიანებითაც დააფიქსირა გაზეთ „Georgia Todays"-სთვის მიცემულ კომენტარში და სატელევიზიო ბრიფინგზე. ვ.პ.-მ წერილობით მიმართა კომპანიას, განემარტათ დასაქმებაზე უარის თქმის მიზეზი, თუმცა, უშედეგოდ. მოგვიანებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ მშენებლობის მენეჯერის პოზიცია დაიკავა იმ თანამშრომელმა, რომელიც არ იყო პროფესიული კავშირის წევრი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ.პ. მიიჩნევს, რომ მისთვის მშენებლობის მენეჯერის პოზიციის დაკავებაზე უარის თქმა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ის არის პროფესიული კავშირის - Pipeline Union - წევრი. პირველადი პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილის სამაგალითო გათავისუფლებას მალევე მოჰყვა წევრების მხრიდან პროფკავშირის მასობრივი დატოვება და ამ უკანასკნელის დაშლა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება საკუთარი შრომითი უფლებების დაცვის გამო პირის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციულ ქმედებას, პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით.

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-2 მუხლის თანახმად, როგორც შრომით, ისე წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია ... პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების გამო. ასევე, საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, იკრძალება პირდაპირი დისკრიმინაცია.

შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში წინასახელშეკრულებო ურთიერთობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, წარმოადგენს რა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების უშუალო წინაპირობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ არცერთ საკანონმდებლო აქტში არ გვხვდება „წინასახელშეკრულებო ურთიერთობების" ცალსახა დეფინიცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი მსგავსი სახის ურთიერთობას სამართლებრივი რეგულირების ქვეშ აქცევს და მიუთითებს, რომ ნების გამოვლენა ასევე წარმოადგენს გარიგებას, რომელიც შესაძლოა იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი და მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ. მხოლოდ კონტრაქტუალური ურთიერთობების რეგულირება არ იქნებოდა სრულყოფილი, რომ არ რეგულირდებოდეს შრომაზე ხელმისაწვდომობა და, შესაბამისად, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, როგორც შრომითი ხელშეკრულების დადებისა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების წარმოშობის წინაპირობა. აქედან გამომდინარე, პოტენციურ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ვალდებულებები ასევე არსებობს წინასახელშეკრულებო ეტაპზე, რომელიც ეყრდნობა მხარეთა შორის ნდობას და კეთილსინდისიერების პრინციპს. წინასახელშეკრულებო ეტაპზე ვალდებულების წარმოშობას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლები, რომლებიც ორივე მხარეს აკისრებს უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულებას, რაც, შესაძლოა, ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი).

ამ შემთხვევაში უფლება, რომლით სარგებლობაშიც პირს ხელი ეშლება, არის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის თავისუფლება. განმცხადებელი არახელსაყრელ პირობებში იმყოფება იმ პირთან მიმართებით, რომელმაც გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა, ვინაიდან გამარჯვებული კანდიდატი არ იყო პროფკავშირის წევრი.

მომჩივან მხარეს მიაჩნია, რომ არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. ვ.პ-ს დასაქმებაზე უარის მიზეზი იყოს „ბი-ფი"-ს საქართველოს ოფისის მენეჯერის უარყოფითი წინასწარგანწყობა პროფკავშირების მიმართ. მომჩივანმა მიუთითა განსხვავებულ მოპყრობაზე (სამსახურში აყვანაზე უარის თქმა), დისკრიმინაციის ნიშანზე (პროფკავშირის წევრობა), კომპარატორზე (კონკურენტი, რომელიც კონკურსის შედეგად შეარჩიეს და რომელიც არ იყო პროფკავშირის წევრი). აღნიშნულის გათვალისწინებით, იმის მტკიცების ტვირთი, თუ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა განსხვავებული მოპყრობა, უნდა გადავიდეს მოპასუხეზე.

საქმის მიმდინარეობა: ვ.პ-მ სახალხო დამცველს მიმართა 2018 წლის 16 აპრილს. განმცხადებელი ითხოვს პროფესიული კავშირის წევრობის გამო დისკრიმინაციის დადგენას. სახალხო დამცველმა ორჯერ მიმართა კომპანია „ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის" საქართველოს ფილიალს და გამოითხოვა ინფორმაცია. კომპანიას, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სახალხო დამცველისთვის მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად არ მიუწოდებია. ასევე, 2019 წლის 18 იანვარს სახალხო დამცველმა ჩაატარა ზეპირი მოსმენა მხარეების მონაწილეობით. საანგარიშო პერიოდში ამ საქმეზე სახალხო დამცველს შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ მიუღია.

9.3.2. ს.ბ. თ.ნ. თ.ქ. და სხვები ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელეები (სულ 18 პირი) 2011 წლის 16 თებერვლიდან 5 წლის ვადით იყვნენ არჩეულნი საოლქო საარჩევნო კომისიაში. 2015 წლის 5 აგვისტოს მოსარჩელეებმა, სხვა პირებთან ერთად, დააფუძნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული კავშირი". ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად, საჯარო რეესტრის მონაცემებით, განისაზღვრა ნინო დათუაშვილი, ხოლო გამგეობის წევრებად: ივანე ბურდული, იოსებ თათარაშვილი და აკაკი ხუსკივაძე.

ნინო დათუაშვილმა პროფკავშირის სადამფუძნებლო დოკუმენტები გადაუგზავნა ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას და, „პროფესიული კავშირების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ითხოვა ფართისა და ინვენტარის გამოყოფა. აღნიშნული პროფკავშირის დაფუძნების შესახებ თამარ ჟვანიამ ცესკოს სხდომაზე ინფორმაცია მიაწოდა ცესკოს სხვა წევრებსაც.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, შენიშვნა, გამოიყენა პროფკავშირის ორი წევრის მიმართ, რომელსაც, იმავდროულად, ეკავა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა. ამის მიზეზი გახდა „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული კავშირის" პრესკონფერენცია, რომელზეც გაჟღერდა ბრალდებები ცესკოს მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება ხდება პარტიული და ნათესაურ/მეგობრული ნიშნით. ორი პირი, რომელსაც ცესკომ შენიშვნა გამოუცხადა, აღნიშნულ პრესკონფერენციას ესწრებოდა, თუმცა, სადავო განცხადებები არ გაუკეთებია. ამის მიუხედავად, ცესკოს აზრით, მათ თავიდან უნდა აეცილებინათ ცესკოს რეპუტაციისთვის ზიანის მიმყენებელი განცხადებები.

ამ ორი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად ცნო თბილისის საქალაქო სასამართლომ. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს ზედა ინსტანციის სასამართლოებმაც. 2015 წლის 13 ნოემბერს „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიულ კავშირს" ცესკომ უარი უთხრა ფართის და ინვენტარის გამოყოფაზე, ვინაიდან წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა „პროფესიული კავშირების შესახებ" კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2015 წლის ბოლოს მოსარჩელეთა პოზიციაზე გამოცხადდა კონკურსი - უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებით. მოსარჩელეებმა კვლავ მიიღეს აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა, თუმცა, ცესკოს წევრების ხმათა არასაკმარისი რაოდენობის გამო არც ერთი მათგანი ვაკანტურ თანამდებობაზე არ იყო არჩეული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირი, რომელმაც პროფკავშირი დატოვა, გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე აირჩიეს.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებულ თანამდებობაზე თანაბარი და სამართლიანი წვდომის შესაძლებლობას. ასევე, მნიშვნელოვანია ცესკოს ხელმძღვანელობის უარყოფითი დამოკიდებულების წარმოჩენა პროფკავშირული საქმიანობის მიმართ.

სამართლებრივი დასაბუთება: ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განაცხადა: „გაერთიანების წევრობის ნიშანი აკრძალულ ნიშანთა შორის პირდაპირ არ არის მოხსენიებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის შესახებ" საქართველოს კანონის პირველ მუხლში, თუმცა, მასში მითითებული აკრძალული ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მოიცავს სხვა ნებისმიერ დისკრიმინაციულ ნიშანს, რასაც მოწმობს ჩამონათვალის ღია დაბოლოება, კერძოდ, ფორმულირება - „ან სხვა ნიშნის მიუხედავად,"

სასამართლოსვე თქმით, „ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ აკრძალულ ნიშანს, რომელსაც დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლო საფრთხე მოიცავს, წარმოადგენს გაერთიანების წევრობა ... საქართველოსთვის უშუალო მოქმედების ძალა აქვს საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივნისის №2144 დადგენილებით რატიფიცირებულ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №87 კონვენციას „ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის დაცვის შესახებ." მას უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით.

კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებულია, ყოველგვარი განსხვავებისა და წინასწარი ნებართვის გარეშე, დასაქმებულთა გაერთიანების დაფუძნებისა და მისი წევრობის უფლება. აღნიშნული კონვენცია ეხება საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირსაც, ვინაიდან კონვენციის მე-9 მუხლი კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების მოქმედებიდან გამონაკლისს ადგენს მხოლოდ შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის მიმართ... ამგვარად, მოსარჩელეთათვის პროფესიული კავშირის დაფუძნების და მასში გაწევრიანების უფლება გარანტირებულია და დაუშვებელია მათი დისკრიმინაცია ამ ნიშნით.

უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციული მოპყრობისთვის ყოველთვის დამახასიათებელია ქმედების კონკრეტული მოტივი – შევიწროება ან არათანაბარი მოპყრობა იმის გამო, რომ კონკრეტულ პირს ან კონკრეტულ ჯგუფს კონკრეტული დისკრიმინაციული ნიშანი ახასიათებს. შესაბამისად, დისკრიმინაციული ქმედების ჩამდენი პირისთვის ცნობილი უნდა იყოს ამ ნიშნის არსებობა. დისკრიმინაციული ნიშანი უნდა იყოს შეცნობადი. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მოტივაციის არსებობაზე მსჯელობა აზრს მოკლებულია.

სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის კლასიკური წესისგან განსხვავებით, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მიმართ კანონი განსხვავებულ რეგულირებას ადგენს. კერძოდ, დისკრიმინაციული მოპყრობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსარჩელეს აკისრებს მხოლოდ გონივრული ვარაუდის შექმნის ვალდებულებას, მოპასუხეს კი – ამ ვარაუდის გაქარწყლების ტვირთს. მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება განპირობებულია იმით, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა ხშირ შემთხვევაში ხდება ფარულად, მოპასუხის გამგებლობის ქვეშ არსებულ სფეროში და მოსარჩელეს არ მიუწვდება ხელი მოპასუხის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე. მოპასუხისთვის კი, საპირისპიროდ, ხელმისაწვდომია მტკიცება იმის თაობაზე, თუ არა დისკრიმინაციული ნიშნით, მაშინ რა მოტივით განახორციელა კონკრეტული ქმედება. შედეგად, მოპასუხეს უწევს თავისი ქმედების მართლზომიერების მტკიცება და თუკი მართლზომიერებას სარწმუნოდ ვერ დაადასტურებს, ასეთ შემთხვევაში დადასტურებულად ჩაითვლება მოსარჩელის მიერ შექმნილი ვარაუდი, რომ ქმედება განხორციელდა სწორედ დისკრიმინაციული ნიშნით."

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხემ: „ა) უნდა დაამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არარსებობა; ბ) უნდა გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული არგუმენტებით, რომლებიც გადაწონის განსხვავებულ მოპყრობას და გამართლებული იქნება დემოკრატიული ღირებულებებით."

იქვე სასამართლო მიუთითებს, თუ რა გარემოებები უნდა დაამტკიცოს მოსარჩელე მხარემ დისკრიმინაციის საქმეზე: „მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული ქმედება კონკრეტული ნიშნით, რომელიც მას ახასიათებს და, ამასთან, უნდა დაამტკიცოს ამ ნიშნის არსებობა (მაგალითად, რომ არის განსაზღვრული გაერთიანების წევრი).

მოსარჩელემ ამ საქმეში დაამტკიცა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების გონივრული ვარაუდი იმით, რომ პროფესიული გაერთიანების 24 წევრიდან არც ერთი არ აირჩიეს ვაკანტურ თანამდებობაზე. მხოლოდ ერთი წევრი, რომელმაც დატოვა პროფესიული კავშირი, ცესკომ აირჩია საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად. ამასთან, ცესკოს წევრებს არასახარბიელო დამოკიდებულება ჰქონდათ პროფესიული კავშირის მიმართ. პროფკავშირული აქტივობის განხორციელების გამო, მათ დისციპლი-

ნური პასუხისმგებლობა დააკისრეს პროფესიული კავშირის ორ წევრს (ეს ორი წევრი არ იყო ამ საქმეში მოსარჩელე). სასამართლომ ამ გარემოებების დამტკიცების შემდეგ მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე გადაიტანა.

სასამართლომ დაჰკითხა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ის წევრები, რომლებმაც ხმა მოსარჩელეთა წინააღმდეგ მისცეს. მათი თქმით, იცოდნენ, რომ არსებობდა „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული კავშირი“, მაგრამ უცნობი იყო ის ფაქტი, რომ მოსარჩელეები, რომელთა დანიშვნის წინააღმდეგაც ხმა მისცეს, ამ პროფკავშირის წევრები იყვნენ. მოწმის სახით დაკითხული ცესკოს კომისიის წევრები აცხადებდნენ, რომ ისინი არ გასცნობიან ცესკოში პროფკავშირთან დაკავშირებით შესულ კორესპონდენციას, სადაც მითითებული იყო იმის შესახებ, რომ მოსარჩელეები პროფკავშირის წევრები იყვნენ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გამორიცხა ამ საქმეში დისკრიმინაციის არსებობა, ვინაიდან ცესკოს წევრთა უმრავლესობამ არ იცოდა, რომ მოსარჩელეებს დისკრიმინაციული ნიშანი – გაერთიანების წევრობა ახასიათებდათ. სასამართლოს თქმით, ის, რომ მოსარჩელეები პროფკავშირის წევრები იყვნენ, იცოდა ერთადერთმა პირმა – ცესკოს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ. სწორედ მას გაუგზავნა პროფკავშირის თავმჯდომარემ დოკუმენტები, სადაც მითითებული იყო, რომ მოსარჩელეები პროფკავშირის დაფუძნებაში მონაწილეობდნენ. იმავდროულად, თამარ ჟვანიამ თავად ხმა მისცა მოსარჩელეთა უმრავლესობის სასარგებლოდ. ასევე, სასამართლომ ვერ დაადგინა ის გარემოება, რომ თამარ ჟვანია თავის კოლეგებს სხდომაზე ესაუბრა მოსარჩელეების პროფკავშირის წევრობის თაობაზე. ამასთან, ცესკოს წევრების უმრავლესობა არ გასცნობია პროფკავშირის თავმჯდომარის მიერ თამარ ჟვანიასთვის გაგზავნილ კორესპონდენციას.

ამ გარემოებებზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ცესკოს წევრთა უმრავლესობამ, რომელმაც ხმა მისცა მოსარჩელეთა წინააღმდეგ, არ იცოდა მოსარჩელეების პროფკავშირის წევრობის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ დისკრიმინაცია ვერ დაადგინა და სარჩელი არ დააკმაყოფილა.

საქმის მიმდინარეობა: სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო 2018 წლის 20 ივლისს. მოსარჩელეებმა სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით აღარ გაასაჩივრეს.

თავი II

ამ თავში მიმოხილულია ის ზოგადი პრობლემური საკითხები, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა კოალიციის მიერ წარმოებულ საქმეებში. ასევე საუბარია ბოლო პერიოდში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებზე. ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის, საერთო სასამართლოების, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიმართ იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებსაც კოალიციის წევრები საქმეთა წარმოების პროცესში აწყდებოდნენ.

1. შევიწროება

საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრები აწარმოებდნენ სამუშაო ადგილზე შევიწროების საქმეებს. საიას საქმე ეხებოდა პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ამავე კომიტეტში დასაქმებული პირისთვის დროის მოკლე პერიოდში არაგონივრულად დიდი მოცულობის სამუშაოს მიცემას, რისი შეუსრულებლობის გამო ე.ფ-ს გამოეცხადა საყვედური. ასევე, აღსანიშნავია EMC-ს საქმე, რომელიც არ არის მოცემული პირველი თავში, ვინაიდან დისკრიმინაცია არ განხორციელებულა კონკრეტული ნიშნით.

EMC საანგარიშო პერიოდში იცავდა ორი პირის – თ.ა-ს და რ.რ-ს ინტერესებს მათი დამსაქმებლის შპს „ბლექსი გრუპის“ წინააღმდეგ. შპს „ბლექსი გრუპის“ დირექტორის მოადგილის კომუნიკაცია თანამშრომლებთან გამოირჩეოდა დამამცირებელი დამოკიდებულით, ყვირილითა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით და, ხშირ შემთხვევაში, იყო ადამიანის ღირსების შემლახველი. დირექტორის მოადგილე კომპანიის თანამშრომლებთან, მათ შორის განმცხადებლებთან, ხშირად იყენებდა ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: „შე დებილო“, „შე იმბეცილო“, „მაჩვო“ და სხვა, თანამშრომლებს მოიხსენიებდა სხვა დამამცირებელი და ღირსების შემლახველი სიტყვებითაც. გარდა ამისა, კომპანიის დირექტორის მოადგილე, სხვადასხვა წესის შემოღებით, ქმნის სტრესულ გარემოს დასაქმებულებისთვის. მაგალითად, მისი ინიციატივით კომპანიაში დადგენილია საუბრის წესები და ხმამაღალი საუბრისთვის დაწესებულია ჯარიმა 20 ლარის ოდენობით. ჯარიმაა დაწესებული ასევე დაგვიანებისთვის და, მაგალითად, ჩაიდნის ცარიელი დატოვებისთვის.

განმცხადებლების უშუალო შევიწროვება უკავშირდება 2018 წლის ნოემბრის ეპიზოდს, როდესაც შპს „ბლექსი გრუპის“ დირექტორის მოადგილემ ერთ-ერთი განმცხადებლის საქმიანი კომუნიკაციის ფორმა არაეთიკურად გააკრიტიკა („ტვინი წაიღო“) და ამის გამო მისთვის დისციპლინური წარმოების დაწყებაზე გასცა მითითება ელექტრონულ მიმოწერაში, რომელშიც, კომპანიის სხვა თანამშრომლების გარდა, ჩართულნი იყვნენ მესამე პირებიც – კომპანიის კონტრაქტორები. მეორე განმცხადებლის თ.ა-ს მიერ პირველი განმცხადებლის რ.რ-ს მხარდაჭერის შემდგომ, დირექტორის მოადგილის უშუალო მითითებით და დავალებით, ორივე მათგანს შეეზღუდა წვდომა სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტაზე. განმცხადებელთა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დირექტორის მხრიდან ამ ფაქტს არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ორივე განმცხადებლის მიმართ კომპანიამ დაიწყო დისციპლინური საქმისწარმოება და ერთ-ერთ მათგანს – თ.ა-ს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, ორივე მათგანთან დამსაქმებელმა შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა.

„ბლექსი გრუპის“ საქმეზე შევიწროება არ განხორციელებულა რაიმე ნიშნის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შევიწროება თავად წარმოადგენს დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას და მას არც რაიმე დაცულ ნიშანსა ან კომპარატორზე მითითება სჭირდება, განსხვავებით პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციისგან. შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში (რაც მოქმედებდა საანგარიშო პერიოდში და მოქმედებს დღესაც) აღნიშნულია: „დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით“.

ამგვარად, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი შედგება ორი ალტერნატიული – „ან“ კავშირით გამოყოფილი – წესისგან. პირველი წესის მიხედვით, პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება უნდა იწვევდეს პირისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. მეორე ალტერნატიული წესის მიხედვით, შევიწროებად ჩაითვლება ისეთი პირობების შექმნა, რაც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას ანალოგიურ მდგომარეობაში

მყოფ სხვა პირთან შედარებით, მაგრამ ეს მოპყრობა არ უნდა იწვევდეს დასაქმებულისთვის მტრული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

ამ ნორმის ანალიზიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: როდესაც დამსაქმებელი დასაქმებულს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ და ღირსების შემლახველ გარემოს უქმნის, ასეთ შემთხვევაში დასაქმებულს აღარ მოეთხოვება კომპარატორზე მითითება, ანუ იმის მტკიცება, რომ სხვა ადამიანთან შედარებით მას მტრული და დამაშინებელი გარემო შეუქმნეს. მტრული და დამამცირებელი გარემოს შექმნა არის შევიწროება და, მაშასადამე, დისკრიმინაცია. კომპარატორის მითითება მხოლოდ მაშინ არის აუცილებელი, როდესაც დასაქმებულს მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი გარემო არ შეუქმნეს, მაგრამ სხვაგვარად ჩააყენეს არახელსაყრელ მდგომარეობაში. მაგალითად, იმავე მდგომარეობაში მყოფი თანამშრომლისგან განსხვავებით, არ მისცეს პრემია ან დანამატი, რაც არ მიუთითებს მტრული და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნაზე, მაგრამ აშკარად აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

დროის მოკლე პერიოდში არაგონივრულად დიდი რაოდენობის დავალების მიცემა აშკარად არის სტრესული და მტრული გარემოს შემქმნელი, ისევე, როგორც გამონათქვამები – „შე დებილო“, „შე იმბეცილო“, „მაჩვო“ – არის შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი. ამ შემთხვევაში, დამსაქმებელს, რომელსაც ამგვარად მიმართეს, შრომის კოდექსის მიხედვით, არ უნდა მოეთხოვოს არც კომპარატორის მითითება, არც კონკრეტული დაცული ნიშნის დასახელება. ამგვარი ქცევა უკვე დასრულებული დისკრიმინაციაა.

აღსანიშნავია, რომ მტრული, დამაშინებელი, ღირსების შემლახველი გარემო შეიძლება შეიქმნას რამდენიმე დასაქმებულის მიმართ, რომლებსაც არ ახასიათებთ საერთო ნიშნები. მაგალითად, დამსაქმებელმა „დებილო“ „მაჩვო“ „იმბეცილო“ შეიძლება დაუძახოს როგორც დასაქმებულ მამაკაცს, ასევე ქალს. ამგვარი მიმართვის ადრესატი შეიძლება გახდეს სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი. ამიტომ შევიწროების მტკიცებისას აუცილებელი არ არის არა მარტო კომპარატორზე მითითება, არამედ ასევე არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის მტკიცება, თუ რა ნიშნით ამოირჩია დამსაქმებელმა კონკრეტული დასაქმებული, ვის მიმართაც მსგავსი ეპითეტი გამოიყენა.

ის, რომ შევიწროების თაობაზე დავისას არ არის აუცილებელი დისკრიმინაციის ნიშანზე მითითება, გამომდინარეობს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შედარებითი ანალიზიდანაც. შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავს შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციას და ჩამოთვლის კონკრეტულ დაცულ საფუძვლებს (რასა, კანის ფერი, სექსუალური ორიენტაცია და ა.შ.), რის გამოც ამგვარი დისკრიმინაცია იკრძალება. ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტი დამატებით საუბრობს შევიწროებაზე, როგორც დისკრიმინაციის ცალკე ფორმაზე, რომლის დასადგენადაც აუცილებელია მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ პირს დამაშინებელი, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, მტრული და ღირსების შემლახველი გარემო შეუქმნეს. შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, ამავე მუხლის მესამე პუნქტისგან განსხვავებით, არ მიუთითებს რაიმე დაცული საფუძვლის არსებობის აუცილებლობაზე, ანუ იმაზე, რომ მტრული და დამამცირებელი გარემოს შექმნის მიზეზი მსხვერპლისთვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიშანი უნდა გახდეს. ამგვარი გარემოს შექმნას სრულიად საკმარისად მიიჩნევს კანონმდებელი იმისათვის, რომ შევიწროება და, შესაბამისად, დისკრიმინაცია დასრულებულად იყოს მიჩნეული, კონკრეტული ნიშნის გამოკვეთის გარეშე.

ბუნებრივია, არ გამოირიცხება ის, რომ მსხვერპლისთვის მტრული და დამამცირებელი გარემოს შექმნა მისი რელიგიური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო მოხდეს. უბრალოდ, კანონმდებლის არჩევანს წარმოადგენს ის, რომ მოსარჩელე გაათავისუფლოს ამგვარი ნიშნის არსებობის მტკიცების ვალდებულებისგან და, ასევე, რეაგირების გარეშე არ დარჩეს შევიწროების შემთხვევები, რომლებიც მსხვერპლის ჯგუფურ კუთვნილებას არ ეფუძნება.

მისასალმებელია, რომ 2019 წლის 19 თებერვალს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება და აღნიშნული კანონის მე-2 მუხლს დაემატა მე-3[1] პუნქტი, რომლითაც განისაზღვრა შევიწროების ცნება, რაც ნიშნავს: „ნებისმიერი ნიშნით პირის დევნას ან იძულებას ან/და პირის მიმართ არასასურველ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.“

ამ ნორმიდან ჩანს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი არ ითხოვს რაიმე ნიშნის არსებობის დამტკიცებას შევიწროების შემთხვევაში.

2. მიგრაცია

საანგარიშო პერიოდში უცხოელების მიმართ გამოიკვეთა დისკრიმინაციული პოლიტიკა, რაც გამოიხატება ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლასა და ბინადრობის ნებართვის გაგრძელებაზე უარის თქმაში. სახელმწიფო ამგვარ ღონისძიებას მიმართავს ოჯახის ერთიანობის პრინციპის დარღვევის გზით. კოალიციის მიერ წარმოებული საქმეებიდან ირკვევა, რომ კამერუნის რესპუბლიკის მოქალაქე ი.ნ.ა-ს უარი უთხრეს მუდმივი ბინადრობის უფლებაზე, მაშინ, როდესაც სერვისების განვითარების სააგენტოსთვის მიმართვის მომენტისთვის განმცხადებელი ქორწინებაში იმყოფებოდა საქართველოს მოქალაქესთან და ჰყავდა საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვანი შვილი.[14] ეთნიკური აზერბაიჯანელი, რუსეთის მოქალაქე ზ.მ, რომელსაც ჰყავს საქართველოს მოქალაქე ქმარი და შვილი, საქართველოს საზღვრიდან უკან გააბრუნეს.[15]

ბინადრობის ვადის გაგრძელებაზე უარის საფუძველს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები. აღნიშნული ნორმების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ: არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოში მისი ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, თუ რა შემთხვევები მიიჩნევა უცხოელი სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის საფრთხის შემქმნელად. ეს არის შემთხვევები, როდესაც: პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებსა ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან, სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან, ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან, ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელის საქართველოში ყოფნა მიზანშეუწონელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, გასცემს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუსი), ხოლო საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტო. ვინაიდან სუსის დასკვნა, რომლითაც უცხოელი საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, სასამართლოში ადმინისტრაციული წესით საჩივრდება სერვისების განვითარების სააგენტოს უარი ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. სასამართლო სუსის დასკვნის საფუძვლად არსებულ სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მქონე მტკიცებულებებს იკვლევს დახურულ სხდომაზე, მხარეთა დასწრების გარეშე.

ის გარემოება, რომ ადამიანს არ აქვს იმ მტკიცებულების გაცნობის და მისი ავთენტურობის, სანდოობის და კანონიერების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების შესაძლებლობა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ პირის უფლებების შეზღუდვის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ეწინააღმდეგება შეჯიბრებითი პროცესის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი არის სამართლიანი პროცესის უფლების შემადგენელი ნაწილი. შეჯიბრებითობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სასამართლოში მხარეთა თანაბარი შესაძლებლობების პრინციპთან.[16] შეჯიბრებით პროცესზე უფლება გულისხმობს მხარის შესაძლებლობას, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებზე იცოდეს სასამართლოსთვის წარდგენილი ყველა მტკიცებულების თაობაზე და კომენტარი გააკეთოს მასზე იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.[17]

მოცემულ შემთხვევაში, როდესაც უცხოელისთვის უცნობია ის ძირითადი მტკიცებულება, რომელიც მისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი გახდა, შეუძლებელია ვისაუბროთ იმაზე, რომ სასამართლო პროცესი, რაც ამ უარის წინააღმდეგ წარმოებს, შეესაბამება სამართლიანი

[14] იხილეთ პირველი თავის 1.3. ქვეთავი.

[15] იხილეთ პირველი თავის 1.5. ქვეთავი.

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე **REGNER v. THE CZECH REPUBLIC; 146-ე პუნქტი; http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-177299**.

[17] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე **RUIZ-MATEOS v. SPAIN; 63-ე პუნქტი; http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57838.**

სასამართლოს პრინციპებს, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი უარი უშუალო გავლენას ახდენს უცხოელის ოჯახურ ცხოვრებაზე საქართველოს მოქალაქესთან.

სერვისების განვითარების სააგენტო ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საერთო სასამართლოები კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წარმოებულ საქმეებზე აცხადებენ, რომ სერვისების განვითარების სააგენტო არ გასცილებია თავისი დისკრეციის ფარგლებს. როდესაც დისკრეციული გადაწყვეტილების მიღება ხდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჯარო ინტერესების დასაცავად, არც სერვისების განვითარების სააგენტო, არც საერთო სასამართლოები საერთოდ არ აბალანსებენ ამ ინტერესს უცხოელის ოჯახური ცხოვრების კერძო ინტერესთან. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. საერთო სასამართლოები საერთოდ არ იკვლევენ, უცხოელის ოჯახური ცხოვრების ინტერესი ხომ არ აღემატება სუსის მიერ დასახელებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის ზიანის თავიდან აცილების ინტერესებს.

უცნობია, რა მოცულობით აქვს თავად სერვისების განვითარების სააგენტოს და სასამართლოს წვდომა იმ ინფორმაციასთან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უცხოელი საფრთხეს უქმნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანო, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, დაუსაბუთებლად არ უნდა ზღუდავდეს პირის კანონიერ უფლებებს. ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი დასაბუთების არანაირ სტანდარტებს არ პასუხობს, მათ შორის მაშინაც, როცა ამით იზღუდება ადამიანის ოჯახური ცხოვრების უფლება.

ოჯახის ერთიანობის პრინციპი გარანტირებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით. ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის მიზნით, უცხოელისთვის ქვეყანაში ცხოვრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – როდრიგეს და სილვა და ჰუგკამერი ნიდერლანდების წინააღმდეგ.[18] ამ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბრაზილიის მოქალაქე კანონიერად ჩავიდა ჰოლანდიაში და დაიწყო ცხოვრება ჰოლანდიის მოქალაქე ჰუგკამერთან. თანაცხოვრების განმავლობაში მომჩივანმა ვერ შეძლო ნიდერლანდებში ბინადრობის ნებართვის მიღება, ვინაიდან მის პარტნიორს არ ჰქონდა იმ ოდენობის შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც შეძლებდა უცხოელი პარტნიორის რჩენას.[19] ჰოლანდიაში ჩასვლიდან ორი წლის განმავლობაში მომჩივანს თავისი პარტნიორისგან ეყოლა შვილი – რეიჩელი, რომელსაც მიენიჭა ჰოლანდიის მოქალაქეობა მას შემდეგ, რაც მამამ აღიარა.[20] როცა მომჩივანი თავის პარტნიორს დაშორდა, ჰოლანდიურმა სასამართლოებმა ბავშვზე მეურვეობა მიაკუთვნეს მის მამას,[21] ხოლო განმცხადებელს უარი განუცხადეს ქვეყანაში ცხოვრების ნებართვის მინიჭებაზე.[22]

ჰონალდიურმა სასამართლოებმა განაცხადეს, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ უკრძალავდა სახელმწიფოს, რეიჩელი მიეკუთვნებინა მამისა ან დედისთვის. რეიჩელის ოჯახური ცხოვრება ერთნაირად იქნებოდა დაცული, ის მამასთან ჰოლანდიაში დარჩებოდა, თუ დედა წაიყვანდა მას ბრაზილიაში.[23]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: სახელმწიფომ თავისი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების განხორციელებისას უნდა დაიცვას ბალანსი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. ამ კუთხით სახელმწიფოს აქვს განსაზღვრული დისკრეცია. კონვენციის მე-8 მუხლის არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებას, პატივი სცეს მიგრანტის არჩევანს, იცხოვროს მის ტერიტორიაზე. კონვენციის მე-8 მუხლი არც სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოელის ოჯახის გაერთიანების უფლებას იცავს. ამის მიუხედავად, როცა ერთდროულად საქმე ეხება მიგრაციას და ოჯახურ ცხოვრებას, იმ პირის შემოსაშვებად, რომლის ნათესავებიც ცხოვრობენ აღნიშნულ ქვეყანაში,

[18] http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-72205

[19] როდრიგეს და სილვა და ჰუგკამერი ნიდერლანდების წინააღმდეგ გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი.

[20] როდრიგეს და სილვა და ჰუგკამერი ნიდერლანდების წინააღმდეგ გადაწყვეტილების მე-11 პუნქტი.

[21] როდრიგეს და სილვა და ჰუგკამერი ნიდერლანდების წინააღმდეგ გადაწყვეტილების მე-12 პუნქტი.

[22] როდრიგეს და სილვა და ჰუგკამერი ნიდერლანდების წინააღმდეგ გადაწყვეტილების მე-16 პუნქტი.

[23] როდრიგეს და სილვა და ჰუგკამერი ნიდერლანდების წინააღმდეგ გადაწყვეტილების მე-20 პუნქტი.

მხედველობაში უნდა იყოს მიღებული აღნიშნულ პირთან დაკავშირებული ყველა გარემოება და საზოგადოების ინტერესი. ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული: უცხოელის გაძევებით ხომ არ დაინგრევა ოჯახური ცხოვრება, რამდენად მნიშვნელოვანი ბმა არსებობს ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან, ოჯახურ ცხოვრებას გადაულახავი დაბრკოლება ხომ არ შეექმნება მაშინ, თუკი უცხოელს მარტო ან მის ნათესავთან ერთად ამ უცხოელის წარმოშობის სახელმწიფოში გაუშვებენ, ხომ არ არსებობს საემიგრაციო კანონმდებლობის დარღვევის ისტორიები ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესები, რომლებიც ამართლებს უცხოელის გაძევებას. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის ფაქტი, ოჯახური თანაცხოვრების დაწყებისას, უცხოელის საემიგრაციო სტატუსიდან გამომდინარე, ხომ არ უნდა სცოდნოდა ამ ოჯახურ ცხოვრებაში მონაწილე პირს, რომ მათი ოჯახური თანაცხოვრების შემდგომი გაგრძელება მასპინძელ სახელმწიფოში თავიდანვე სათუო იყო.[24]

ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ჰოლანდიურმა სასამართლოებმა რეიჩელზე მეურვეობა მამას მიაკუთვნეს. რეიჩელის ბრაზილიაში წასაყვანად როდრიგეს და სილვას ესაჭიროებოდა მამის თანხმობა, რომლის მიღებაც დედას არ შეეძლო.[25] რეიჩელს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დედასთან. ბინადრობის ნებართვაზე უარი და პირველი მომჩივნის ბრაზილიაში გაძევება გამოიწვევდა ოჯახური კავშირის გაწყვეტას. დედა-შვილს აღარ ექნებოდა მუდმივი კონტაქტი ერთმანეთთან. ეს გარემოება მძიმე შედეგს გამოიწვევდა სამი წლის ბავშვისთვის, რომელსაც დედის მხრიდან მზრუნველობა სჭირდებოდა[26] (გადაწყვეტილების 42-ე პუნქტი).

უცხოელის ოჯახური ცხოვრების ინტერესი – მის მიერ საქართველოში მცხოვრები შვილის მოვლა – არის ის, რაც მხედველობაში უნდა მიიღოს საქართველოს ხელისუფლებამ, როდესაც უცხოელს უარს ეუბნება ბინადრობის ნებართვაზე, ან საზღვრიდან უკან აბრუნებს. თუმცა, ეს გარემოება არასოდეს ხდება არც სერვისების განვითარების სააგენტოს და არც სასამართლოების მსჯელობის საგანი. არადა, სწორედ მათ მოვალეობას წარმოადგენს, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესი დააბალანსონ უცხოელისა და მისი საქართველოს მოქალაქე შვილების ან ოჯახის სხვა წევრების კერძო ინტერესებით. ცხადია, რომ ზოგიერთ საქმეში, უსაფრთხოების ინტერესებმა, შესაძლოა, დაძლიოს ოჯახური ცხოვრების კერძო ინტერესი, თუმცა, კოალიციის წარმოებაში არსებულ საქმეებში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ამგვარი დასკვნის საფუძვლებს ნაკლებად იძლევა.

კოალიციის წარმოებაში არსებულ საქმეებში უცხოელები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ საქართველოში. ამ პერიოდის განმავლობაში მათ არ დაურღვევიათ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები. ბინადრობის ნებართვის მოთხოვნამდე ისინი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის. ამ საფრთხეზე მიუთითებს სუსის ინფორმაცია, რომლის სანდოობის შემოწმების არანაირი საპროცესო საშუალება არ გააჩნია იმ უცხოელს, რომელსაც აძევებენ. ამასთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის შექმნა დაკავშირებულია ძალიან მძიმე დანაშაულის ჩადენასთან: ტერორიზმთან, ნარკოტიკების ბრუნვასთან, ტრეფიკინგთან. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს რეაგირება ასეთ ბრალდებებთან დაკავშირებით შემოიფარგლება მხოლოდ ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმით. არც ერთ საქმეში სახელმწიფო ამაზე შორის არ მიდის და არ იყენებს სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებს ტერორიზმის, ტრეფიკინგის, ნარკოტიკული საშუალებით ვაჭრობის თაობაზე ინფორმაციის დასადასტურებლად ან გასაქარწყლებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ქმედებების სავარაუდოდ ჩამდენ პირს სახელმწიფო აძლევს ქვეყნის თავისუფლად დატოვების შესაძლებლობას. ეს გარემოება დამატებით ეჭვქვეშ აყენებს სუსის დასკვნის სანდოობას და წინა პლანზე აყენებს უცხოელის ოჯახური ცხოვრების დაცვის ინტერესს.

ასევე, დაუშვებელია, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვის მიზეზი გახდეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. ამ უკანასკნელის თანახმად, უცხოელს საქართველოს ვიზის გაცემასა ან საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“. სახალხო დამცველის 2017 წლის 15 ნოემბრის წინადადება მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია „კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების“ ჩანაწერს პრაქტიკაში საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის დამოუკიდებელ, თვითკმარ საფუძვლად იყენებს და უფლების შეზღუდვის რაიმე დამატებით, კანონმდებლობაში მითითებულ შემთხვევას არ უკავშირებს. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგა კანონს, ვინაიდან განსახილველი ნორმა თავისი ბუნებით მიმთითებელი ხასიათისაა.

[24] როდრიგეს და სილვა და ჰუგკამერი ნიდერლანდების წინააღმდეგ გადაწყვეტილების 39-ე პუნქტი.

[25] როდრიგეს და სილვა და ჰუგკამერი ნიდერლანდების წინააღმდეგ გადაწყვეტილების 41-ე პუნქტი.

[26] როდრიგეს და სილვა და ჰუგკამერი ნიდერლანდების წინააღმდეგ გადაწყვეტილების 42-ე პუნქტი.

„კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები“ არ გულისხმობს შესაბამისი რეგულირების გარეშე მისი გამოყენების შესაძლებლობას და, აქედან გამომდინარე, იგი ცალკე აღებული არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს“.[27]

მოცემულ შემთხვევაში უცხოელისთვის უცნობია მიზეზი, რის გამოც მას სახელმწიფომ ქვეყანაში შემოსვლაზე უარი უთხრა. შესაბამისად, ის ვერ შეძლებს საკუთარი ქმედებით ამ მიზეზების აღმოფხვრას და ამით საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ეს კი, წარმოშობს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ბუნდოვანი ნორმებით ჩარევის საფრთხეს.

3. დისკრიმინაციის დადგენის პრობლემატურობა სასამართლოში

როგორც სტატისტიკა აჩვენებს, კოალიციის 37 საქმიდან 6 საქმეში სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა „კოალიცია თანასწორობისთვის“ სარჩელები. თუმცა, სარჩელები დაკმაყოფილდა სხვა სამართლებრივი საფუძვლით და არა – „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე. ამ თავში განვიხილავთ რამდენიმე ასეთ საქმეს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან ბადრი ონიანის გათავისუფლების საქმეზე მოსარჩელე წყალტუბოს მაგისტრატი მოსამართლისგან ითხოვდა გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, მოსარჩელის სამსახურში აღდგენას, განაცდური ხელფასის ანაზღაურებას, დისკრიმინაციის დადგენას და, დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებას 500 ლარის ოდენობით. ამ საქმეში ბადრი ონიანის გათავისუფლება მოხდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით. მაგისტრმა მოსამართლემ დაადგინა, რომ ამ ბრძანების გამოცემას წინ არ უძღოდა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის შემოწმება. შესაბამისად, სასამართლოსთვის უცნობი დარჩა ის გარემოება, თუ რაში გამოიხატებოდა ბადრი ონიანის მიერ მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობა.

მაგისტრმა მოსამართლემ ამ საქმეში დაადგინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის დარღვევა, ვინაიდან ბადრი ონიანის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა სათანადო მიზეზების გამოკვლევის გარეშე. გარდა ამისა, მაგისტრმა მოსამართლემ დაადგინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის დარღვევა, ვინაიდან ბადრი ონიანს არ მიეცა მისი გათავისუფლების მიზეზებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. მოსამართლემ ბათილად ცნო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაავალა, საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, ახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება.

ამ საქმეში მაგისტრმა მოსამართლემ პასუხი არ გასცა დისკრიმინაციასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ წარდგენილ არგუმენტებს. მოსარჩელე აცხადებდა, რომ თანამდებობიდან მისი გათავისუფლება იყო პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია. ამის დასადასტურებლად მან წარადგინა მტკიცებულება 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში „ეროვნული ფორუმის“ მაჟორიტარობის კანდიდატად მონაწილეობის თაობაზე. მაგისტრ მოსამართლეს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში პასუხი არ გაუცია მოსარჩელის მიერ დასმული საკითხისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ჰქონდა ადგილი ბადრი ონიანის მიმართ დისკრიმინაციას მაშინ, როდესაც სასამართლომ უკვე დაადგინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი პროცედურის დარღვევა მოსარჩელის გათავისუფლებისას.

კიდევ ერთი საქმე, რომელშიც დისკრიმინაცია არ დადგინდა, იყო ქობულეთის პანსიონის საქმე. ამ საქმეში მოსარჩელე მხარე დავობდა, რომ პოლიციამ არ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება და არ აღკვეთა კერძო პირების ქმედებები, რომელთა შედეგად მუსლიმ თემს ხელი ეშლებოდა ქობულეთში ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე პანსიონით სარგებლობაში. საქმე ეხებოდა ქალაქ ქობულეთში მომხდარ ინციდენტებს, როდესაც დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებმა ქალაქ ქობულეთში ლერმონტოვის ქუჩაზე მუსლიმთა პანსიონის გახსნის საწინააღმდეგოდ პანსიონის შენობას ღორის თავი მიაჭედეს და მიმდებარე ტერიტორიაზე ჯვარი აღმართეს. ქრისტიანმა მოსახლეობამ პანსიონის მიმდებარე ტერიტორიაზე დააწესა მორიგეობა და მუსლიმებს პანსიონის შენობაში არ უშვებდნენ. მოსარჩელე ამ საქმეში დავობდა, რომ პოლიციამ არ აღკვეთა დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთა ძალადობრივი ქმედებები. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მართლმადიდებელი მოსახლეობის ქმედებაში დაადგინა დისკრიმინაცია, ხოლო პოლიციის ქმედება დისკრიმინაციად

[27] http://ombudsman.ge/geo/tsinadadebebi/saxalxo-damcveli-saqartveloshi-shemosvlaze-uaris-tqmis-praqtikis-shecvlas-itxovs.

არ მიიჩნია. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. მოსარჩელემ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ პოლიციის უმოქმედობა, რის შედეგადაც მუსლიმი თემი ვერ სარგებლობდა ქობულეთში მდებარე პანსიონით, იყო დისკრიმინაციული. პოლიციის უმოქმედობაში დისკრიმინაცია ვერ დაინახა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის 2018 წლის 15 მარტის განჩინებაში.

ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია: „განსახილველ შემთხვევაში კასატორები ვერ ადასტურებენ, რომ **რელიგიურმა სიძულვილმა განაპირობა პოლიციის მხრიდან მათ (მუსლიმთა) მიმართ არასათანადო მოპყრობა.** საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობა ფიზიკური პირების წინააღმდეგობის გამო. კასატორთა მხრიდან დასახელებული გარემოებები კი მიუთითებს პოლიციის ქმედებათა არასათანადოობაზე და არ ადასტურებს პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საქმეზე დადგენილია გარემოება, რომ პოლიციის მხრიდან ხდებოდა მორიგეობა 24 საათის რეჟიმში (რასაც არც მოსარჩელეები უარყოფენ). ამასთან, ის გარემოება, რომ, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება ჩართული იყო დაპირისპირებულ მხარეთა მორიგების პროცესში, ასევე ის გარემოება, რომ ქ.ქობულეთში, რუსთაველის გამზირზე შეუფერხებლად ფუნქციონირებს მსგავსი ტიპის პანსიონი, გამირიცხავს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოსარჩელეთა მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.

ამასთან, განსხვავებით იეჰოვას მოწმეთა მიმართ განხორციელებული საყოველთაოდ ცნობილი ძალადობის არაერთი ფაქტისა ... აჭარის რეგიონში მრავალი წელია თანაცხოვრობენ ქართველი მუსლიმები, განხორციელდა ათობით მეჩეთის მშენებლობა, რაც ასევე გამორიცხავს ქართველი მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციის მიერ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების სათანადო შეუსრულებლობის პირობებშიც კი, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ვალდებულების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით, რაც გამორიცხავს მოცემულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორთა მითითებას ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებზე... სადაც ადგილი ჰქონდა მოცემული დავისგან რადიკალურად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რასაც შედეგად მოჰყვა ევროსასამართლოს შესაბამისი შეფასებები. დასახელებულ საქმეებში, ერთ შემთხვევაში (იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ) დადგინდა პოლიციის სრული უმოქმედობა, ხოლო მეორე შემთხვევაში (ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ) თავად პოლიცია ახდენდა მომჩივანთა უფლებების დარღვევას. მითითებულ საქმეებში პოლიციის ორგანოებს არანაირი ზომა არ მიუღიათ მომჩივანთა ინტერესების დასაცავად, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია".[28]

ამ საქმეში უზენაესი სასამართლო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისას აუცილებელ პირობად ასახელებს, მოსარჩელემ დაამტკიცოს, რომ პოლიციის უმოქმედობა, დაეცვა მისი რწმენის თავისუფლება კერძო პირების მხრიდან ხელყოფისგან, განპირობებული იყო თავად პოლიციის ან სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური შეუწყნარებლობით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დისკრიმინაციის დასადგენად დისკრიმინაციული მოტივის დადასტურებას თანასწორობის უფლების არც კონსტიტუციური და არც ევროპული სტანდარტი არ ითხოვს.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 4 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „დისკრიმინაციას წარმოადგენს არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლების მოქმედება პირდაპირ ისახავდა მიზნად პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას, არამედ ისეთიც, რომელსაც შედეგად მოჰყვა მათი *de facto* დისკრიმინაცია".[29] იმის მიუხედავად, რომ არ მტკიცდება პოლიციის მხრიდან სიძულვილი მუსლიმთა მიმართ, თავად უზენაესმა სასამართლომ საქმე დაუბრუნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს იმ გარემოების გასარკვევად, მაშინდელი მდგომარეობით, უზრუნველყო თუ არა პოლიციამ პანსიონით სარგებლობისთვის კერძო პირებისგან მომდინარე ხელშეშლის აღმოფხვრა. თუკი დადგინდა, რომ პოლიციას არ აღმოუფხვრია ქობულეთის პანსიონით სარგებლობისთვის ხელშეშლა, შედეგის თვალსაზრისით, მუსლიმთა თემი არახელსაყრელ მდგომარეობაშია ჩაყენებული იმის მიუხედავად, რომ პოლიციას ეს განზრახვა არ ჰქონია.

[28] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის განჩინება №ბს-864-860 (კ-17).

[29] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"; მე-2 თავის 23-ე პუნქტი.

ასევე აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა კონვენციის მე-3 მუხლთან (არასათანადო მოპყრობა) კავშირში. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და პოლიცია წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი ლგბტ თემის განზრახვასთან დაკავშირებით, ჩაეტარებინათ მარში 2012 წლის 17 მაისს თბილისის ცენტრში. მარშის ორგანიზატორებმა მოითხოვეს, რომ პოლიციას ისინი დაეცვა ჰომოფობიური და ტრანსფობიური შეხედულებების მქონე ადამიანების მხრიდან მოსალოდნელი პროტესტისგან. უფრო მეტიც, საქართველოში ლგბტ თემის მიმართ საზოგადოების მხრიდან მტრობის ისტორიის გათვალისწინებით, ეროვნულმა ხელისუფლებამ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, იმ რისკების შესახებ, რომლებიც მოწყვლადი თემის თაობაზე საჯარო მოვლენას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ამიტომ სახელმწიფო ვალდებული იყო, გაძლიერებული დაცვა უზრუნველეყო“.[30]

იმის ნაცვლად, რომ მოპასუხე სახელმწიფოს განეხორციელებინა თავისი პოზიტიური ვალდებულებები და მშვიდობიანი დემონსტრანტები უმაღლესი ღონისძიებებით დაეცვა სხვა კერძო პირების მხრიდან თავდასხმისგან, ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ საპატრულო პოლიციის მცირე რაოდენობის ოფიცერი დისტანცირებული იყო შემთხვევის ადგილიდან იმ დროს, როდესაც თავდასხმა დაიწყო. ამით პოლიციამ დაუშვა ის, რომ ადგილზე არსებული დაძაბულობა გადაზრდილიყო ფიზიკურ ძალადობაში. როდესაც პოლიციამ ჩარევა გადაწყვიტა, მომჩივნები და მარშის სხვა მონაწილეები უკვე დამცირებულნი, შეურაცხყოფილნი და ნაცემნი იყვნენ... [31]

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ უზრუნველყო 13 განმცხადებელი კერძო პირის დაცვა სიძულვილით მოტივირებული თავდასხმისგან 2012 წლის 17 მაისს.[32]

უზენაესი სასამართლოსგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ უთხოვია მომჩივნებისგან იმის დასაბუთება, რომ, ვინაიდან პოლიციამ არ იმოქმედა სწრაფად, დროულად და ადეკვატურად არ დაიცვა დემონსტრანტები დისკრიმინაციული განწყობის მქონე კონტრდემონსტრანტებისგან, ეს განპირობებული იყო პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციული მოტივით. ამის დამტკიცებას ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ იმისთვის, რომ დაადგინოს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმით აღიარებულ უფლებებთან კავშირში. სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციის დასადგენად სრულებით საკმარისია იმის დამტკიცება, რომ სახელმწიფომ ვერ იმოქმედა ადეკვატურად და ვერ დაიცვა ადამიანი დისკრიმინაციულად მოტივირებული თავდასხმისგან.

ამ საქმეში კერძო პირების მხრიდან დისკრიმინაცია უკვე დადგენილია მუსლიმი თემის მიმართ. უზენაესმა სასამართლომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დაავალა იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, არის თუ არა განგრძობადი პანსიონით სარგებლობაში ხელშეშლა და იჩენს თუ არა უმოქმედობას პოლიცია კერძო პირების მხრიდან აღნიშნული უკანონო ქმედებების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ მართლზომიერ მფლობელს ხელი ეშლება პანსიონით სარგებლობაში და ამასთან დაკავშირებით პოლიცია უმოქმედოა, დისკრიმინაციის გამორიცხვა მხოლოდ მოსარჩელის მხრიდან იმის აუხსნელობის გამო, რომ პოლიციის უმოქმედობა მისი დისკრიმინაციული წინასწარგანწყობით არის განპირობებული, არ მოდის შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.

კიდევ ერთი საქმე ეხებოდა 2011 წელს უკრაინის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში დისტანციურად მიღებული განათლების აღიარებას. ამ საქმეში განათლების ხარისხის აღიარების ეროვნულმა ცენტრმა მოსარჩელეს მოსთხოვა საქართველოს საზღვრის კვეთის დამადასტურებელი დოკუმენტი. მოსარჩელეს უარი უთხრეს მისი დიპლომის აღიარებაზე, ვინაიდან საქართველოს განათლების მინისტრის 2016 წლის ბრძანების მიხედვით, უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომების აღიარება მოხდება მაშინ, თუ პირს უშუალო კონტაქტი ექნებოდა საზღვარგარეთ არსებული უმაღლესი დაწესებულების მასწავლებლებსა და სტუდენტებთან.

ამ საქმეში მოსარჩელე დავობდა იმაზე, რომ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა იმ პირებს, რომლებმაც გადალახეს საზღვარი და ფიზიკურად იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო პროცესში იმ პირებთან შედარებით, რომლებმაც საზღვრის გადალახვის გარეშე,

[30] „იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილების 72-ე პუნქტი, http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-154400.

[31] იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილების 74-ე პუნქტი, http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-154400.

[32] იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილების 75-ე პუნქტი, http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-154400.

დისტანციურად მიიღეს განათლება. პირველი ინსტანციის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში პასუხს არ სცემს კითხვაზე, რამდენად იმყოფება ეს ორი შესადარებელი ჯგუფი ერთსა და იმავე მდგომარეობაში. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის გარეშე, თბილისის საქალაქო სასამართლო აცხადებს: „სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის დამადასტურებელი რეალური ფაქტები. სასამართლო კვლავ უთითებს, რომ დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასა ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება. მხოლოდ ის გარემოება, რომ საკანონმდებლო დანაწესის შესასრულებლად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილია გარკვეული შეზღუდვა, ვერ განიხილება დისკრიმინაციის რომელიმე ფორმის განხორციელებად. რაც შეეხება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აღნიშნული აქტის კანონიერება სასამართლოს მსჯელობის საგანია. მოსარჩელე მხარეს არ მიუთითებია ნორმატიული დანაწესის სხვა პირთა მიმართ სხვაგვარად გამოყენების რაიმე ფაქტზე. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ სადავო აქტებთან მიმართებით დისკრიმინაციულ მიდგომას მოსარჩელის მიმართ ადგილი არ ჰქონია“. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლომ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით.

ამგვარად, დისკრიმინაციის დადგენისას საერთო სასამართლოების პრობლემა მდგომარეობს შემდეგში:

- ცალკეულ საქმეებში ისინი პასუხს არ სცემენ სარჩელში მითითებულ დისკრიმინაციის დამადასტურებელ მტკიცებულებებს;
- სასამართლო არ აკმაყოფილებს დისკრიმინაციის ნაწილში სარჩელს ისე, რომ პასუხს არ სცემს მოსარჩელის არგუმენტს, რამდენად იმყოფებიან ერთსა და იმავე მდგომარეობაში სარჩელში დასახელებული შესადარებელი ჯგუფები;
- სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა ან სამართალდარღვევაზე პოლიციის უმოქმედობის შემთხვევაში სასამართლო მოსარჩელისგან ითხოვს იმის დასაბუთებას, რომ პოლიციის უმოქმედობაც დისკრიმინაციული განზრახვით იყო განპირობებული. ამ შემთხვევაში დისკრიმინაციული მოტივის დასაბუთების აუცილებლობას არ ითხოვს დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებული არც კონსტიტუციური, არც საერთაშორისო სტანდარტი.

ამის პარალელურად, არსებობს წარმატებული საქმე, როცა დადგინდა დისკრიმინაცია 56 წელს მიღწეული დამლაგებლის სამსახურიდან გათავისუფლების საქმეზე. მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, რომ მოსარჩელე არაჯეროვნად ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას. ამის შემდეგ, სასამართლომ ივარაუდა, რომ მოსარჩელის დამლაგებლის პოზიციიდან გათავისუფლების ერთადერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მისი ასაკი, ვინაიდან მოპასუხემ ვერ შეძლო სხვა ობიექტური მიზეზით მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების გამართლება. ამის გამო სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია.

4. სექსუალური შევიწროება

საანგარიშო პერიოდში კვლავ განსაკუთრებულ პრობლემად რჩებოდა სამუშაო ადგილზე ქალთა მიმართ შევიწროების ფაქტები. ქალებმა დაიწყეს საუბარი დამსაქმებლების და სამუშაო ადგილზე გავლენის მქონე პირების მხრიდან მათთვის არასასურველი სექსუალური ქცევის თაობაზე. სექსუალური შევიწროების ახალი ფაქტების გასაჯაროების პარალელურად, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ გამოწვევის წინააღმდეგ საბრძოლველად: განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაცია სექსუალური შევიწროების საქმეებზე და, ასევე, ამგვარი შევიწროების მტკიცების სტანდარტები. სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით პირველი საქმე იყო მოგებული საერთო სასამართლოში.[33]

საანგარიშო პერიოდში ერთადერთი შიდასამართლებრივი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც სექსუალურ შევიწროებას არეგულირებდა, იყო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი. ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, სიტყვა „სექსუალური შევიწროების“ ხსენების გარეშე, შრომით ურთიერთობებში კრძალავდა: „სექსუალური ხასიათის ნებისმიერ არასასურველ სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“. მართალია, ეს კანონი არ შეიცავდა ამ აკრძალვის აღსრულების ინსტიტუციურ მექანიზმს, ეს ჩანაწერი გამოიყენეს საერთო სასამართლოებმა შალვა რამიშვილის წინააღმდეგ შრომით ურთიერთობებში სექსუალური შევიწროების დასადგენად.

[33] იხილეთ თავი 4.9.

2019 წლის 19 თებერვალს ცვლილება შევიდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში. კანონის მე-2 მუხლის მე-3[2] პუნქტით განისაზღვრა სექსუალური შევიწროების ცნება, როგორც სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. იმის მიუხედავად, რომ ამ ცვლილებამდეც სახალხო დამცველი სექსუალურ შევიწროებას დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განიხილავდა და, ამის გამო, რეკომენდაციებსაც გამოსცემდა, აღნიშნული ცვლილებით საკანონმდებლო დონეზე გაფორმდა სახალხო დამცველის მანდატი – ებრძოლოს სექსუალურ შევიწროებას, როგორც პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციისგან განსხვავებული დისკრიმინაციის ფორმას.

სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის გადამწყვეტი ნაბიჯი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2019 წლის 3 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც საზოგადოებრივ ადგილებში პირის სექსუალური შევიწროება გახდა დასჯადი. პირველ ჯერზე სექსუალური შევიწროების ჩადენა იწვევს ჯარიმას 300 ლარის ოდენობით. განმეორებით, ერთი წლის განმავლობაში, ამ ქმედების ჩადენა გამოიწვევს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოს 1 თვემდე. თუ სექსუალური შევიწროება ჩადენილია არასრულწლოვანის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ან ნებისმიერი პირის მიმართ სექსუალური შევიწროების ჩადენას ესწრება არასრულწლოვანი, სამართალდამრღვევს დაეკისრება ჯარიმა 500-დან 800 ლარამდე. ამ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ სექსუალური შევიწროების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში გამოიწვევს ჯარიმას 800-დან 1000 ლარამდე, გამასწორებელ სამუშაოს 1 თვემდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღემდე ვადით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-60[1] პუნქტის საფუძველზე, სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, იღებს სასამართლო.

აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს წინ უძღოდა სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ გამოცემული 2018 წლის 1-ლი ნოემბრის რეკომენდაცია, სადაც დადგინდა სექსუალური შევიწროების მტკიცების სტანდარტი. სახალხო დამცველის რეკომენდაციაში *აღნიშნულია: სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემული საქმეების განხილვისას გამოყენებული უნდა იყოს შევიწროების ფაქტის ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (reasonable woman standard), რომელიც მხედველობაში იღებს სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ აღქმებს. აღნიშნული სტანდარტი სექსუალური შევიწროების ფაქტს განიხილავს ქალის პერსპექტივიდან და წარმოადგენს გენდერულად სენსიტიურ მიდგომას. სექსუალური შევიწროების ფაქტის ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (reasonable women standard) გამორიცხავს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტი უნივერსალურად მიღებული წესით განისაზღვროს და შეფასდეს ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქმედება. სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ მსჯელობისას, საჭიროა, ასევე იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ხდება ქცევა და სწორედ ამ სოციალური კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა სექსუალური ქცევის აღქმა მსხვერპლის მიერ.*[34]

ზოგადი მიდგომის გამოყენებამ ისეთ საზოგადოებაში, სადაც სოციალურად განსაზღვრული გენდერული ნორმები არსებობს, შესაძლოა, დისკრიმინაციული შედეგი გამოიწვიოს. როგორც სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშშია აღნიშნული, სექსუალური შევიწროვება ქალთა მიმართ უფლების დარღვევის ყველაზე გავრცელებულ და, იმავდროულად, დაფარულ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც აკნინებს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას. საქართველოში დღემდე არსებობს უარყოფითი გენდერული სტერეოტიპები, რომლის თანახმად, დასაქმების ადგილზე თუ სხვა სიტუაციაში არასასურველი მოპყრობის გამომწვევი არის თავად ქალი. ამის გამო, ქალებს აქვთ მოლოდინი, რომ კაცის მხრიდან შევიწროების შემთხვევაში, საზოგადოებამ, ოჯახმა თუ კოლეგებმა ის შესაძლოა საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ პრინციპებთან შეუსაბამო ქცევაში დაადანაშაულონ. აქედან გამომდინარე, ქალის მოწყვლადობის ხარისხი კიდევ უფრო იმატებს და პრობლემა დაფარული რჩება, ვინაიდან შევიწროვების მსხვერპლს ვიქტიმიზაციის შიში აქვს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სექსუალური შევიწროების შემთხვევები, როგორც წესი, გამოირჩევა ფარულობით, შესაბამისად, რთულდება მოწმეების ან/და მატერიალური მტკიცებულებების მოპოვება.[35]

[34] სახალხო დამცველის 2018 წლის 1-ლი ნოემბრის №13/13851 რეკომენდაცია.

[35] სახალხო დამცველის 2018 წლის 1-ლი ნოემბრის №13/13851 რეკომენდაცია.

ფაქტის დადგენისას მსგავს საქმეებში მხედველობაში მიიღება მხარეთა მიერ წარმოდგენილი სუბიექტური მტკიცებულებები. როდესაც სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით სავარაუდო მსხვერპლის სანდოობის საკითხი განიხილება, შესაძლებელია, შეფასდეს სხვადასხვა კონკრეტული ფაქტის მსგავსება, მაგალითად, ქცევის საერთო მახასიათებელი. მსგავსი მტკიცებულება გამოსადეგი და დამხმარე საშუალებაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშესახები პირდაპირი მტკიცებულებების მოძიება ვერ ხერხდება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, წინამდებარე საქმეების ფარგლებში გათვალისწინებული იყოს ქალთა მიმართ ქვეყანაში არსებული დისკრიმინაციის წამახალისებელი სოციალური კონტექსტი. შესაბამისად, განსახილველი შემთხვევები სწორედ სექსუალური შევიწროების ფაქტების ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტით (reasonable women standard) შეფასდება.[36]

5. სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციული მანდატის გაძლიერება

„კოალიცია თანასწორობისთვის" წინა წლების ანგარიშში დაჟინებით მოითხოვდა სახალხო დამცველის მანდატის გაფართოებას. კოალიციის პირველივე ანგარიშში აღნიშნულია: „იმისათვის, რომ კერძო სექტორში თანასწორობის უფლების დაცვაზე ზედამხედველობის მექანიზმი იყოს ეფექტიანი, მიზანშეწონილია, კერძო პირზე გავრცელდეს საჯარო დაწესებულების რეჟიმი: ინფორმაციის წარდგენა გახდეს სავალდებულო. სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა, შესაძლოა, გახდეს სახალხო დამცველის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი, ხოლო სასამართლოს მხრიდან – ასეთი კერძო პირი, შესაძლოა, დაჯარიმდეს".[37]

ამ კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს ჰქონდა ადგილი 2019 წლის 3 მაისს. ცვლილება შევიდა „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში. ამ კანონის მე-18 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს, შემოწმების ჩატარებისას: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საჯარო დაწესებულებას ან თანამდებობის პირს, ხოლო **დისკრიმინაციის საქმესთან დაკავშირებით – აგრეთვე ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს, სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, პირთა გაერთიანებას იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტს მოსთხოვოს და დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა მიიღოს შემოწმებისთვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი და სხვა მასალა.** ამგვარად, ნებისმიერი არასახელმწიფო, კერძო პირისა თუ დაწესებულებისთვის, საქმის შესწავლის მომენტში, სავალდებულო გახდა სახალხო დამცველისთვის მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება.

2019 წლის 3 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს არა მარტო საქმის შესწავლის მომენტში ევალებათ სახალხო დამცველთან თანამშრომლობა, არამედ ისინი ვალდებულნი არიან, ასევე, პასუხი გასცენ სახალხო დამცველის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას – რეკომენდაციას. „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, **ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტი,** რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებებს ან რეკომენდაციებს მიიღებს, **ვალდებულია**, განიხილოს ისინი და საქართველოს სახალხო დამცველს 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს განხილვის შედეგები".

ამგვარად, კერძო პირები ვალდებულნი არიან, 10 დღის ვადაში მიაწოდონ სახალხო დამცველის აპარატს მოთხოვნილი ინფორმაცია. მართალია, კერძო პირები, ისევე, როგორც საჯარო დაწესებულებები და თანამდებობის პირები არ არიან ვალდებულნი, გაიზიარონ სახალხო დამცველის რეკომენდაციები დისკრიმინაციის დადგენასთან დაკავშირებით, თუმცა, კერძო პირებს 20 დღის ვადაში ეკისრებათ სახალხო დამცველისთვის პასუხის გაცემის ვალდებულება იმის თაობაზე, იზიარებენ თუ არა რეკომენდაციას. აღნიშნული ვალდებულება გააჩნიათ ასევე საჯარო დაწესებულებებს. რა მოხდება მაშინ, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირები 10 დღის ვადაში არ მიაწოდებენ სახალხო დამცველს მოთხოვნილ ინფორმაციას ან 20 დღის ვადაში არ უპასუხებენ დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე მათთვის გაგზავნილ რეკომენდაციას? ასეთი ქმედება მიჩნეული იქნება სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობად, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[4]-ე პუნქტით გათვალისწი-

[36] სახალხო დამცველის 2018 წლის 1-ლი ნოემბრის №13/13851 რეკომენდაცია.

[37] ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება, ერთი წლის შედეგები, 48-ე გვერდი, https://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Geirgia%20Association%20/Report_210x270mm.pdf.

ნებულ სამართალდარღვევას და ითვალისწინებს ჯარიმას – შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე (800 ლარიდან 2000 ლარამდე).[38]

კანონში გაჩნდა სახალხო დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დამატებითი მექანიზმიც. „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-14 პრიმა მუხლს 2019 წლის 3 მაისს დაემატა „თ" პრიმა პუნქტი, რომლის მიხედვითაც, დისკრიმინაციის საქმეებზე სახალხო დამცველი უფლებამოსილია, როგორც მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარჩელით მიმართოს სასამართლოს, თუ იურიდიულმა პირმა, სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა, პირთა გაერთიანებამ იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტმა მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს.

სახალხო დამცველს შეუძლია, სამოქალაქო წესით სასამართლოში უჩივლოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, ინდივიდუალურ მეწარმეს და კომერციულ იურიდიულ პირებს, არარეგისტრირებულ კავშირს, თუ ისინი არ შეასრულებენ სახალხო დამცველის რეკომენდაციას. სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლო წესით აიძულოს ფიზიკურ პირი, რომელიც არ არის ინდმეწარმე, შეასრულოს რეკომენდაციები. შესაბამისად, ამგვარი ფიზიკური პირების მიმართ სახალხო დამცველის ზემოქმედების ბერკეტები კვლავაც სუსტი რჩება. სახალხო დამცველს შეუძლია, დააჯარიმოს ასეთი ფიზიკური პირი, თუ 10 დღის ვადაში არ მიაწოდებს მოთხოვნილ ინფორმაციას ან 20 დღის ვადაში არ უპასუხებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას. თუმცა, სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლოსათვის მიმართვის გზით აიძულოს ფიზიკური პირი, შეასრულოს მისი რეკომენდაცია და აღმოფხვრას დისკრიმინაცია. ცხადია, ეს წარმოადგენს ამ საკანონმდებლო ცვლილებების ხარვეზს და საჭიროა მომავალში მისი აღმოფხვრა.

6. სასამართლოსთვის მიმართვის ვადა

„კოალიცია თანასწორობისთვის" პირველ 2014-2015 წლების ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ სამთვიანი ვადა, შესაძლოა, არ აღმოჩნდეს საკმარისი სასამართლოსთვის მიმართვისთვის. **ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა იქნება ვადის ერთ წლამდე გაზრდა.** 3 თვე ძალიან მცირე დროა იმისთვის, რათა დისკრიმინაციის მსხვერპლმა გაიაზროს, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლი სწრაფად გააანალიზებს დისკრიმინაციის ფაქტს და გადაწყვეტს, დაიცვას საკუთარი უფლებები, ფაქტის დასადასტურებლად სხვადასხვა მტკიცებულების მოპოვებაა საჭირო. დისკრიმინაციის განმახორციელებელმა მხარემ შეიძლება მსხვერპლს წინააღმდეგობები შეუქმნას და დროულად არ მიაწოდოს საჭირო მტკიცებულებები.[39]

2019 წლის 3 მაისს ცვლილება შევიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[2]-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 1 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც პირი გაიგებს, ან უნდა გაეგო, იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია. მისასალმებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა „კოალიცია თანასწორობისთვის" წლების წინ გაწეული რეკომენდაცია. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება ის გარემოება, რომ ადამიანს არ შეუძლია ერთდროულად მიმართოს სახალხო დამცველის აპარატსა და საერთო სასამართლოს. მართალია, ერთ წლამდე ვადით სასამართლოსთვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადის გაზრდით, გარკვეულწილად, უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს, რომ სასამართლოსთვის მიმართვამდე დისკრიმინაციის მსხვერპლმა მიიღოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და ამის შემდეგ მიმართოს სასამართლოს, თუმცა, არც ის შესაძლებლობა გამოირიცხება, რომ სახალხო დამცველმა ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში ვერ მიიღოს გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით და პირმა სასამართლოსთვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადა გაუშვას. ამ სიტუაციიდან შესაძლოა გამოსავალს წარმოადგენდეს – სახალხო დამცველის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლოსთვის მიმართვის ერთწლიანი ვადის დინების შეჩერება.

„კოალიცია თანასწორობისთვის" მიესალმება მისი რეკომენდაციის გათვალისწინებას და სასამართლოსთვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადის ერთ წლამდე გაზრდას.

[38] საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულების მე-3 პუნქტის თანახმად, ხელფასის მინიმალური ოდენობა ჯარიმების მიზნებისთვის შეადგენს 40 ლარს.

[39] ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება, ერთი წლის შედეგები, მე-60 გვერდი, https://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Geirgia%20Association%20/Report_210x270mm.pdf.

7. დისკრიმინაციის აკრძალვა საჯაროდ ხელმისაწვდომ საქონელსა და მომსახურებაზე

„კოალიცია თანასწორობისთვის“ 2016-2017 წლების ანგარიშში აღნიშნულია, რომ კანონმდებლობა პირდაპირ უნდა ითვალისწინებდეს იმ პირის დაცვის შესაძლებლობას, რომელსაც დაცული საფუძვლით უარი უთხრეს მისთვის სასურველი და ბაზარზე საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების ყიდვაზე.[40]

2019 წლის 19 თებერვალს ცვლილება შევიდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელსაც დაემატა მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტი, სადაც აღნიშნულია: თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება, აგრეთვე, საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით). ამგვარად, საქართველოს პარლამენტმა „კოალიცია თანასწორობისთვის“ კიდევ ერთი რეკომენდაცია გაითვალისწინა.

ამ ცვლილებამდეც დისკრიმინაცია იკრძალებოდა ყველა სფეროში. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის დაცვის ვალდებულება ეკისრებოდა როგორც საჯარო დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს. ამის მიუხედავად, ძალიან მნიშვნელოვანია კანონში იმის პირდაპირ ჩაწერა, რომ დისკრიმინაცია იკრძალება საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიწოდებისას.

ანტიდისკრიმინაციულ კანონში გაკეთებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ადამიანს უფლება აქვს, დაცული ნიშნის გამო უარი არ უთხრან საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლის, მომსახურების შეძენაზე, მათ შორის, ბინის დაქირავებაზე, გარკვეულწილად ზღუდავს სამოქალაქო კოდექსით აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპსაც, რაც, მათ შორის, კონტრაჰენტის თავისუფალი არჩევის უფლებასაც გულისხმობს. კონტრაჰენტის თავისუფალი არჩევის უფლება არ არსებობს მაშინ, როცა ადამიანი გახდებოდა კონკრეტული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, მას რომ არ ახასიათებდეს კონკრეტული დაცული ნიშანი – რასა, კანის ფერი, სქესი, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა ან ა.შ. ასეთია კანონმდებლის გადაწყვეტილება საქონლის, მომსახურების, მათ შორის, საცხოვრებლის მიწოდებაზე თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სახალხო დამცველის 2018 წლის 9 იანვრის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, კერძო ფიზიკურმა პირებმა მათ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართი არ მიაქირავეს ლგბტ ორგანიზაციას, თუმცა, სხვა ორგანიზაციას (რომელიც არ იყო ლგბტ) იმავე ფართის მიქირავებაზე თანხმობა უთხრეს. მართალია, ეს რეკომენდაცია ამ საკანონმდებლო ცვლილებებამდე იყო გამოცემული, თუმცა, სახალხო დამცველმა მაინც დაადგინა დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროს ნიშნით. სახალხო დამცველის რეკომენდაციაში აღნიშნულია:

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლში გაწერილია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – ხელშეკრულების დადების თავისუფლება. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში, თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებების შინაარსი. ამ მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართალში მოქმედებს კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლება... მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, იგი შეიძლება იმპერატიული ნორმების საფუძველზე შეიზღუდოს. ეს შეზღუდვები შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების სხვადასხვა ელემენტს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში. შესაბამისად, კანონმდებელმა ანტიდისკრიმინაციულ კანონში გაითვალისწინა საგამონაკლისო შემთხვევა, რომელიც იმპერატიულად კრძალავს ყველა სფეროში დისკრიმინაციას, მათ შორის, წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში“.

ამგვარად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონმა კიდევ ერთხელ დააკონკრეტა, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს არ შეიძლება, უარი ეთქვათ საჯაროდ ხელმისაწვდომ საქონელსა და მომსახურებასთან, მათ შორის საცხოვრებელთან, დაკავშირებით გარიგების დადებაზე იმის გამო, რომ კონტრაჰენტს ახასიათებს ის ნიშანი, რომელიც გათვალისწინებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველი მუხლით (რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და ა.შ.).

[40] კოალიცია „თანასწორობისთვის“ საქმიანობის ანგარიში, 2016-2017, გვერდი 80, https://www.osgf.ge/files/2018/Publications/CE_report_geo.pdf.

დასკვნა

ამგვარად, საანგარიშო პერიოდში კვლავაც პრობლემას წარმოადგენდა საერთო სასამართლოების მიერ დისკრიმინაციის დადგენა. სერიოზულ გამოწვევად რჩება უცხოელების მიმართ დისკრიმინაციული საფუძვლით ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმა და ბინადრობის ნებართვაზე უარი. აქვე მისასალმებელია ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ეხებოდა: შევიწროების და სექსუალური შევიწროების აკრძალვას; სახალხო დამცველის მანდატის გაძლიერებას კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებით; სასამართლოსთვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადის გაზრდას; დისკრიმინირებული ჯგუფების შესაძლებლობას, შეიძინონ ბაზარზე საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონელი და მომსახურება. ამის მიუხედავად, კვლავაც დიდი სამუშაოა გასაწევი საიმისოდ, რომ ეს პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებები სათანადოდ იყოს იმპლემენტირებული საერთო სასამართლოების პრაქტიკაში.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს

- საქართველოს კანონმდებლობაში განახორციელოს იმგვარი ცვლილებები, რომლებიც პირს შესაძლებლობას მისცემს, დისკრიმინაციის შემთხვევაში, ერთდროულად მიმართოს როგორც სახალხო დამცველის აპარატს, ისე საერთო სასამართლოს;
- მისცეს სახალხო დამცველს უფლებამოსილება, კერძო ფიზიკური პირის მიმართ გაცემული რეკომენდაცია აღასრულოს სამოქალაქო წესით დავის გზით;
- უცხოელს, რომელსაც უარი უთხრეს ბინადრობის ნებართვაზე სუსის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, შეუქმნას ჯეროვანი პროცესის სათანადო საკანონმდებლო გარანტიები სასამართლოში ამ დასკვნის სანდოობის დადგენის მიზნით.

საერთო სასამართლოებს

- შეცვალონ პრაქტიკა, რომლითაც კერძო პირის მიერ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი ქმედების მიმართ პოლიციის არაადეკვატური რეაგირების დისკრიმინაციად კვალიფიკაციისთვის, მოსარჩელეს ავალდებულებენ, დაამტკიცოს, რომ პოლიციას დისკრიმინაციული განზრახვის გამო ჰქონდა არაადეკვატური რეაგირება კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით;
- საბოლოო გადაწყვეტილებებში პასუხი გასცენ დისკრიმინაციის თაობაზე სარჩელში მითითებულ არსებით არგუმენტებს იმ საქმეებზე, სადაც მოპასუხის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების დადგენა ერთ-ერთ, და არა ერთადერთ, მოთხოვნას წარმოადგენს;
- შეცვალონ პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სამუშაო ადგილზე მტრული, შეურაცხმყოფელი, დამაშინებელი და ღირსების შემლახველი გარემოს შექმნის ფორმით შევიწროების შემთხვევაში დისკრიმინაციის დასადგენად მოსარჩელისგან ითხოვენ კომპარატორის დასახელებას;
- საქმეებში, რომლებიც ეხება უცხოელისთვის ბინადრობასა ან ქვეყანაში შემოშვებაზე უარს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ოჯახის ერთიანობის პრინციპს;
- ცილისწამებისგან დაცვის თაობაზე კანონით გათვალისწინებული პრივილეგია გაავრცელოს იმ ადამიანებზე, რომლებმაც სექსუალური შევიწროების შესახებ სახალხო დამცველთან განაცხადეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას

- „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი (უცხოელისთვის ქვეყანაში შემოშვებაზე უარის თქმა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში) გამოიყენოს მხოლოდ სხვა ნორმასთან ერთად, რომელიც უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს, რა შემთხვევაში არსებობს უცხოელის ქვეყანაში შემოშვებაზე უარის საფუძველი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს

- უცხოელისთვის ბინადრობაზე უარის თქმის თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას სათანადოდ დაასაბუთოს, რის გამო ანიჭებს უპირატესობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჯარო ინტერესს უცხოელის ოჯახური ცხოვრების კერძო ინტერესთან შედარებით.